# საერთო გაზეთი

№45 (229) ● 31.X.-6.XI.2012 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი


## 365 dRed gawerili gmiroba



ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირია, რომელმაც ქართველ ხალხთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ოცწლიანი ციკლი გამარჯვებით დააგვირგვინა!

## ხალხი მოითხოვს:

## `nacionaluri moZraoba~ cixeSi! saswrafod!

## ლადო ბედუკაძის



## skandaluri aRiarebiTi Cveneba

**ვაჟა ბეჩიძე:**

## `nacionalebis~ biujeti es iyo usieri tye, sadac mtaceblebi daTareSobdnen...

**დავით ფაცაცია:**

## საკაშვილის დაბრუნება ხელისუფლებაში გამორიცხულია

**ზაზა შათირიშვილი:**

## gmirobidan kvazigmirobamde

**მერაბ შათირიშვილი:**

მაქვს ინფორმაცია, ფოთის ყოფილ მერს — ლემონჯავას ფოთის ბიუჯეტიდან უკანონოდ აქვს გადარიცხული მილიონი ლარი მერაბიშვილისთვის

## მასალები ქართული „ნიურნბერგის პროცესისთვის“

**გულნარა ვაჩიბერაძე:**

## yofilma mosamarTlem, paata qobulaZem, mTeli qoneba wamarTva da udanaSaulo adamiani 7 wliT cixeSi Camsva

**ნინო წითელაშვილი:**

ჩემს მეუღლეს, გენერალ ტრისტან წითელაშვილს, მისჯილი აქვს 7 წელი და 6 თვე. მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეასრულა უკანონო მოთხოვნები

## ვინ აკონტროლებს „seqsindustrias“ საქართველოში?

ISSN 2233-3983

## `nacionalebi~, rogorc qveynis moRalateebi, parlamentidan unda gavaZevoT!



## რედაქტორის რუბრიკა

**ხანდახან ვფიქრობ, ალყაში ხომ არ ვარ-მეთქი?**

თორმეტი წელია ამ „ნაციონალურ“ ჭირს ვებრძვი, ანუ თორმეტი წელია ალყაში ვარ და ახლა, 1 ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, რომელშიც „საერთო გაზეთს“ მცირე, სულ მცირე წვლილი მაინც მიუძღვის, ისევ ალყაში რატომ უნდა ვგრძნობდე თავს?

„ნაციონალური მოძრაობა“ ჯერ კუბოში არ გაციებულა, მაგრამ იქიდან უკვე ამოხტნენ ამ მოძრაობის ყოფილი მეხოტბეები, თანამებრძოლები, თანამოაზრეები და გაშლილი ხელებით და გაბრწყინებული თვალებით მოიწევენ „ქართული ოცნებისკენ“ — დღედაღამ თქვენზე ვლოცულობდით... მოგვეცით უფლება, თქვენს გვერდით დავდგეთ და ერთგულად გემსახუროთ.

რაც თავი მახსოვს, სულ მაწვალებს ეს კითხვა — რატომ არის საქართველოში, ამ პატარა ქვეყანაში, ამდენი მლიქვნელი, ამდენი მედროვე. რომლებიც ახერხებენ ყველა გამარჯვებულს ტკიპასავით და ბალინჯოსავით მიეკრან.

მსოფლიოს ტკიპოლოგიურ-ბაღლინჯოლოგიური მეცნიერება ამტკიცებს, რომ ქართული ტკიპა და ქართული ბაღლინჯო ეს არის განსაკუთრებული ჯიშის ტკიპა და ბაღლინჯო, რომელსაც ადაპტაციის საოცარი უნარი აქვს და ნებისმიერი ჯგუფის სისხლს დედის რძესავით ირგებს.

**რატომ ხდება ასე? ყველა დროსა და ყველა სიტუაციაში რატომ არის ასე დაფასებული ფარისეველთა ფარისევლობა, უზნეოთა უზნეობა?**

თორმეტი წელია ისინი არ ჩამოდიან ტელეეკრანებიდან, თორმეტი წელია ქართველ ერს მოძღვრავენ და ჭკუას ასწავლიან. ერთი და იგივე ადამიანები, ერთიდაიგივე ორგანიზაციები, ერთი და იგივე დემაგოგიით, ერთი და იმავე სინტაქსით, ერთი და იმავე მზაკვრობით.

„თავისუფლების ინსტიტუტი“, თითქოს გაქრა და იატაკქვეშა მდგომარეობაში გადავიდა, მაგრამ ამ ინსტიტუტს ახლა სხვა „ინსტიტუტები“ ჩაენაცვლა, რომლებიც აბსოლუტურად იგივეს აკეთებენ, რასაც „თავისუფლების ინსტიტუტი“ აკეთებდა, ოღონდ აკეთებენ უფრო შეფარვით, უფრო შენიღბულად, უფრო დახვეწილად.

ისინი, ერთ კლანად, ერთ კორპორაციად შეკრულნი, ღიად და დაუფარავად ახდენენ ზეწოლას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესზე, ღიად და დაუფარად ერევიან საკადრო პოლიტიკაში, იწონებენ და იწუნებენ ადამიანებს იმის მიხედვით, რამდენად ერგებიან ეს ადამიანები მათ მიერ დადგენილ ნორმებს და კლიშეებს.

მათ არ ადარდებთ და არ ანაღვლებთ ის ამბავი, რომ „ნაციონალების“ მიერ გატარებული პოლიტიკის წყალობით ქართველები საკუთარ სამშობლოში, საქართველოში, ყველაზე უუფლებო, ლამის კანონგარეშე მასად იქცნენ, სამაგიეროდ, განგაშს ტეხენ და ბოდიშის მოხდას აიძულებენ, თუ ვინმეს წამოსცდება, რომ რძლად რაჭველს ირჩევდა და არა რომელიმე აფრიკული წარმოშობის მანდილოსანს.

**ისინი, ეს ფსევდოლიბერალები, ეს ფსევდოდემოკრატები, ეს ფსევდოჰუმანისტები, მთელ ერს აშანტაჟებენ და საკუთარი თავის, საკუთარი სამშობლოს დაცვის სურვილს დანაშაულად გვითვლიან და ქსენოფობიას გვაბრალებენ.**

ვის ეუბნებით თქვენ ამას, ვის უბედავთ თქვენ ამას — ქართველ ხალხს, რომელსაც თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, არასოდეს, არავინ არ უდევნია ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით?

არასამთავრობო ორგანიზაციათა ელიტურმა ნაწილმა საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობა ეჭვქვეშ დააყენა და სადაო და საკამათო საკითხად გამოაცხადლა, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ისინი „ნაციონალების“ ფარული მოკავშირეები იყვნენ, არიან და ასეთად დარჩებან ბოლომდე.

**მჯერა, დარწმუნებული ვარ, რომ ესენი, ეს პროფესიონალი მოღალატეები და გამყიდველები, დრო მოვა და თუ გაუვიდათ პირველნი ჩასცემენ ზურგში დანას ქართველ ხალხს.**

მე და ჩემისთანები, შეიძლება, მაშინ მოგვიძიოს ვილაცამ, მაგრამ უკვე გვიანი იქნება — **ჩვენ ალყაში მოვკვდით...**

**ვახტანგ ხარჩილავა**

## Tbi l ise l ebo!



**ძვირფასო თანამოქალაქენო,**

მე ერთ-ერთი თქვენგანი ვარ და მიტომაც ვბედავ მოგმართოთ თქვენ, ყველას, ამ მრავალეროვანი, უძველესი ქალაქის მაცხოვრებლებს, რომელთაც ყოველთვის გქონდათ ღირსებისა და ურთიერთთანადგომის განცდა: მოვიცილოთ ის დიდი სირცხვილი და ჩვენი ქალაქისთვის სრულიად შეუფერებელი ყოფა, რაც ამ ქალაქის ე.წ. თავკაცის — ქალაქის მერის, გარყვნილ და გადაგვარებულ პერსონაშია გამჟღავნებული!

მოგმართავთ თბილისის საპატიო მოქალაქეებს, ვისაც შეგვრჩა მისხალი თავმოყვრეობის და ღირსების განცდა, შევიკრიბოთ და შევქმნათ საინიციატივო ჯგუფი, რათა ამ გიგი უგულავას, „კმარელების“ გაცვეთილ ინსტრუქტორს, ბოკერიების, თარხნიშვილების, მინაშვილების, დარჩიაშვილების და მათნაირი გახრწნილების პირწავარდნილ ნატეხს თავი ტალახში წავარგვევინოთ და შემდეგ კისერზე ჯაჭვით იქ მივაბრძანოთ, სადაც ეკუთვნის.

გავერთიანდეთ და მოვითხოვოთ, რომ დაინგრეს ეს გველის ბუდე, რათა დედაქალაქმაც საბოლოოდ გაიხაროს და ამოისუნთქოს.

„ბრძოლა გამარჯვების შემდეგ იწყება!“ — ეს ჩემი სიტყვები არაა, ეს სიტყვები საფრანგეთის მამას ვიქტორ ჰიუგოს ეკუთვნის.

ამოიღეთ ხმა, თბილისელებო!

**რეზო ამაშუკელი**
30 ოქტომბერი, 2012 წ.

განათლების ეროვნული კავშირი სახალხო დამცველის პოსტზე მხარს უჭერს **დიმიტრი ლორთქიფანიძის** კანდიდატურას.

**განათლების ეროვნული კავშირი**

## Semcirdeba Tu ara tarifebi saqarTveloSi da rogor sagadasaxado politikas gvTavazobs axali xelisufleba?

ვესაუბრებით საქართველოს პარლამენტის საფინანსო ეკონომიური და საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ **დავით ონოფრიშვილს**.

**- ბატონო დავით, თქვენ ერთ - ერთ ინტერვიუში თქვით, რომ გადასახადები არ შემცირდება, რამაც გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია, თუმცა, თქვენ აქ არ გულისხმობდით ტარიფების შემცირებას, რას გვეტყვით, მასთან დაკავშირებით?**

- სამწუხაროდ, პრესაში ხშირად ხდება, როდესაც არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებენ რაიმე მოსაზრებას, ასე მოხდა ამჯერადაც. ჩემი ნათქვამი ეხებოდა გადასახადებს, როგორიც არის დამატებითი ღირებულების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, საწარმოთა მოგების გადასახადი და სხვ. ეს გადასახადები საქართველოში ითვლება ლიბერალურად, საკმარისად შემცირებულად და ჩვენ პროგრამაში გვიწერია, რომ ქვეყანაში ბევრ სოციალურ პროგრამას თუ დახმარებებს გავზრდით. ამიტომ ფიქრობდნენ, რომ თუ ამ გადასახადებს შევამცირებთ, ამ პროგრამებს ველარ განვახორციელებდით. სულ სხვა საკითხია, როდესაც ვსაუბრობთ ტარიფებზე, ანუ წყლის ან გაზის გადასახადზე. ამ საკითხთან დაკავშირებით „ქართულ ოცნებას“ თავისი პოზიციები აქვს, კერძოდ ის, რომ გაზზე და დენზე გადასახადები უნდა შემცირდეს. ჩვენ გვაქვს ექსპერტთა დასკვნები, საიდანაც ჩანს, რომ დიდი ნაწილი ტარიფების დათვლებში უჭირავს გამანაწილებელ კომპანიებს, ანუ შუალედურ კომპანიებს, რომელთა ჯიბეებშიც მიდის თანხების დიდი ნაწილი. აქედან ჩანს, რომ ერ-



თეულები მდიდრდებიან ასეთი წესით, ხალხი კი ლატაკდება. ამ წესს აუცილებლად გადახედავს ახალი ხელისუფლება. ასევე, აუცილებლად გადავხედავთ მარეგულირებლის შემადგენლობას, ვინც არ იმსახურებს, იქ აღარ დარჩება, ამ საქმეს გააკეთებენ მხოლოდ პროფესიონალები და მოსახლეობა იგრძნობს შეღავათს. რაც შეეხება გადასახადებს, ამ მხრივ არც მოსახლეობას ჰქონია პრეტენზიები. საშემოსავლო გადასახადები კი 20-დან 18 პროცენტამდე ჩამოვა უახლოეს მომავალში, დამატებითი ღირებულება კი 18 პროცენტია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მოგების გადასახადი 15 პროცენტია და ესეც დაბალია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კომუნალური ტარიფები უნდა ეფუძნებოდეს რეალურ გათვლებს, შეესაბამებოდეს გაწეული მომსახურების ხარისხს და ხელმისაწვდომი იყოს ქვეყნის მოქალაქეებისათვის. უმოკლეს ვადაში მოხდება ტარიფების ხელახალი და სამართლიანი გადაანგარიშება, ვიმეორებ, შემცირების მიმართულებით. არ დავუშვებთ ტარიფების ზრდას სუბიექტური, უსამართლო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების საფუძველზე. ასევე არ დავუშვებთ ბიზნესისათვის კაბალურ ტარიფებს, რაც აძვირებს პროდუქციას და ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას. გაუქმდება კოლექტიური მრიცხველები, სხვადასხვა კომუნალური გადასახადების ერთმანეთზე მიბმა და სხვა ნებისმიერი მექანიზმი, როდესაც უპირატესობა ენიჭება მომსახურების საფასურის ამოღებას და არა მომხმარებელთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. დავაკანონებთ შეღავათებს მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი ფენებისათვის.

**- როგორი იქნება საპენსიო სისტემა?**

- დღეს ქვეყანას არ გააჩნია არც სახელმწიფო და არც კერძო საპენსიო დაზღვევის ერთიანი სისტემა, პენსიის ოდენობა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ნება-სურვილზე. ყოველი უმნიშვნელო მატება ემთხვევა პოლიტიკურ კალენდარს და იღებს ხელისუფლების წყალობის ფორმას. საჭიროა ჩამოყალიბდეს დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომლითაც მოქალაქის მიერ პენსიის მიღების საფუძველი იქნება მისი საპენსიო შენატანებით დაგროვილი სახსრები. ყველა კატეგორიის პესიონერი მიიღებს პენსიას არანაკლებ საარსებო მინიმუმისა რაც შესაბამისი კანონით იქნება გარანტირებული. ასევე, გაორმაგდება უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარების ოდენობა. გაიზრდება დახმარების მიმღებთა რაოდენობაც.

**- საქართველოს ბოლო წლებში ჯარიმების ქვეყანასაც ეძახდნენ, ბიუჯეტში ამ კუთხით 90 მილიონი ლარი შევიდა, რამდენად სწორი იყო ჯარიმის დღევანდელი ტარიფები, 1-ლარიან პროდუქციას 500 ლარით უნდა აჯარიმებდნენ? ეს არის ბიზნესისათვის ხელის შეწყობა?**

- დღის წესრიგში დღესაც დგას საშემოსავლო გადასახადი, რომელიც თავის დროზე 12 პროცენტი იყო და ნაციონალურმა მოძრაობამ ის 25 პროცენტამდე ასწია, ასევე გააუქმეს საპენსიო ანარიცხები და პენსია მხოლოდ ბიუჯეტზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ჯარიმებს, ცხადია, ის გადაიხედება და იქნება იმის შესაბამისი, თუ რა სახის დარღვევაა და ჯარიმაც შესაბამისი იქნება. ვეცდებით, რომ საქართველო ჯარიმებით კი არ ავსებდეს ბიუჯეტს, არამედ იყოს ქვეყანაში განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესი, უზრუნველვყოფთ ამ სექტორში ინვესტიციებისა და ინოვაციების ზრდას. შეიქმნება საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი.

**- როგორი იქნება ახალი საგადასახადო პოლიტიკა?**

- საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, უზრუნველვყოფთ სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებულ დაბეგვრის მექანიზმს. მოვაწესრიგებთ მოგების გადასახადში გამოქვითვების სისტემას, გადაიხედება აქციზური საქონლის ნომენკლატურა და დაიბეგრება ძირითადად, ფუფუნების საგნები. გაუქმდება ქონების გადასახადში შეფასების სისტემა და შენარჩუნდება რეალური 1-პროცენტიანი განაკვეთი. ახალი ხელისუფლება შეამცირებს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაწეული მომსახურების საფასურსა და ბაჟს. შემცირდება და გონივრულ ფარგლებში მოექცევა საგადასახადო და ადმინისტრირების სფეროში მოქცეული ჯარიმები და გადასახადები.

**ეთერ კასრელიშვილი**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# 365 dRed gawerili gmiroba



## ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირია, რომელმაც ქართველ ხალხთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ოცწლიანი ციკლი გამარჯვებით დააგვირგვინა!

**ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირია!**

ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირია და ამ სიტყვებში არ არის იოტისოდენა გადაჭარბება და გაზვიადება — ის ნამდვილად ეროვნული გმირია.

**ეს თავმდაბალი და ძალზე შინაურული კაცი ერთი შეხედვით სულაც არ ჰგავს გმირის იმ სტერეოტიპს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველი კაცის წარმოსახვაში ყალიბდებოდა, არ ჰგავს, მაგრამ ის ნამდვილად გმირია.**

საოცარი ის არის, რომ მან ეს გმირობა ისე უბრალოდ, ისე უშუალოდ, ყოველგვარი პომპეზურობისა და ჰეროიკულობის გარეშე ჩაიდინა, თითქოს გმირობას კი არ სჩადიოდა, არამედ რაღაც ჩვეულებრივ საქმეს აკეთებდა.

ვფიქრობ, ქართველ ხალხს ჯერჯერობით ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული ის, რაც 1 ოქტომბერს მოხდა.

**ფაქტობრივად, ეს იყო არა რიგითი საპარლამენტო არჩევნების დღე, არამედ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გადამწყვეტი, დამაგვირგვინებელი ეტაპი და, მერწმუნეთ, არც ამ სიტყვებშია რაიმე გადაჭარბებული და გაზვიადებული.**

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლაო, როცა ვამბობთ, იგულისხმება, რომ არსებობს მტერი, დამპყრობელი, რომლისგანაც ქვეყანა უნდა გათავისუფლდეს.

1 ოქტომბრიდან მხოლოდ ერთი თვე გავიდა, მაგრამ იმდენი შემაძრწუნებელი ფაქტი დაიდო უკვე წინა ხელისუფლების ავკაცური საქმიანობიდან, რომ, ცხადია, ასე მხოლოდ დამპყრობელი იქცევა.

შინაური დამპყრობელი იყო წინა ხელისუფლება, ქვეყნის მაოხარი შინაური მტერი, გარედან შემოსეულ მტერზე გაცილებით სასტიკი და დაუნდობელი.

გულახდილად ვამბობ, მე ბოლომდე არ მჯეროდა, თუ ამ მტრის ძლევა არჩევნებით, მშვიდობიანი გზით, უსისხლოდ შეიძლებოდა.

მე კი არა, ძალიან ბევრს არ სჯეროდა ეს, მაგრამ

**ბიძინა ივანიშვილმა შეუძლებელი შეძლო და ქართველი ხალხის მრავალწლიანი ბრძოლა თავისუფლებისთვის გამარჯვებით დააგვირგვინა.**

ბიძინა ივანიშვილმა საოცარი გაკვეთილი ჩაუტარა მთელ ქართველ ხალხს და პირადი მაგალითით, დაგვარწმუნა, რომ გმირობა წამიერად, აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი ერთჯერადი აქტი კი არ არის, მხოლოდ, არამედ თავდადებული შრომა დასახული მიზნის მისაღწევად და ამავე დროს თავგანწირვისთვის მუდმივი მზადყოფნა.

**ვაღიაროთ, რომ ჩვენ ამგვარი და ამნაირი გმირობის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდით, რადგან აქამდე პოლიტიკურ ასპარეზზე სულ სხვა ყაიდის გმირები ჩანდნენ — გმირები ხუთი წუთით, გმირები ერთი საათით, ერთი სამიტინგო გამოსვლით, რომლებსაც ეგონათ, რომ ერთი შეძახილით შეძლებდნენ მტრის ძლევას, მტრის დაშინებას და დამარცხებას.**

ეს გმირები პეპლებივით იყვნენ — ერთი დღით ცოცხლობდნენ და მერე ქრებოდნენ.

ქართული პოლიტიკის სარკოფაგი მათი ფერფლითაა სავსე.

და, აი, მოვიდა ადამიანი, რომელმაც გმირობის სულ სხვა, საქართველოსთვის აქამდე უცნობი მაგალითი გვაჩვენა.

**პოლიტიკაში შემოსვლის პირველი დღიდან 1 ოქტომბრამდე, მთელი ერთი წელიწადი, მთელი 365 დღე, ბიძინა ივანიშვილი ყოფნა-არყოფნის ბეწვის ხიდზე გადიოდა.**

**ეს 365 დღე გმირობის 365 დღეა...**

ბიძინა ივანიშვილს რომ მოენდომებინა და პოლიტიკაში მოსვლის პირველსავე დღეს ქართველი ხალხისთვის ქუჩაში გამოსვლისკენ რომ მოეწოდებინა, დარწმუნებული ვარ, მთელი საქართველო დადგებოდა მის გვერდით, მაგრამ მან ეს არ გააკეთა.

**მან აირჩია სხვა გზა — მან ეს ერთი გმირობის აქტი თითქოს 365 დღედ გაწერა და გადაანაწილა, რომ ამ დროში ქართველ ხალხთან ერთად გაევლო ქართული უდაბნო.**

მასთან ერთად 365 დღე მოვანდომეთ ჩვენ ამ უდაბნოს გავლას, რითაც ბიძინა ივანიშვილმა თავისი გმირობის თანამონაწილე, თანამოაზრე გაგვხადა.

ხანდახან ეჭვი გამკრავს, საგანგებოდ ხომ არ გააკეთა ეს ბიძინა ივანიშვილმა, საგანგებოდ ხომ არ გვატარა ამ რთული და დამღლელი გზით, რომ ჩვენთვის, ვისაც გამარჯვების მოპოვება ერთი ხელის დაკვრით, ერთბაშად უნდა, ეჩვენებინა და მიეხვედრებინა, რომ გამარჯვებას გარჯა, ოფლის ღვრა და რაც მთავარია, იმ უდაბნოს გადავლა სჭირდება, რომელიც ჩვენს სულშია, ჩვენშია.

**ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირია!**

**გმირია ქართველი ხალხი, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში წარმოუდგენელი სიმტკიცე, შეუპოვრობა და სულიერი მხნეობა გამოიჩინა.**

როცა ვიღაცებს ეგონათ, რომ უკვე მკვდრები ვიყავით, ჩვენ გავცოცხლდით, საფლავები ამოვანგრიეთ და მთელი მსოფლიოს გასაგონად კიდევ ერთხელ დავიქუხეთ: — **საქართველოს გაუმარ-ჯოს!**

**დიდება შენ, უფალო, ამ სასწაულისთვის!**






**ეკა ბესელია:** თქვენ შექმენით ვითარება, რომ საქართველო პირველ ადგილზეა ევროპაში პატიმართა რაოდენობით. ეს არის ლაქა მთელი ერისთვის, თქვენ ჩრდილი მიაყენეთ ქართველ ხალხს, რომელსაც ნამდვილად არ აქვს მიდრეკილება დანაშულისკენ. ეს არის იმ პოლიტიკის შედეგი, რასაც პრეზიდენტი ახორციელებდა, რომ ყველანი ციხეში. ასევე თქვენი გუშინდელი განცხადებების შემდეგ, უცნაურია ერთი რამ, მთავრობის ახალი შემადგენლობა წარმოადგინა თქვენმა ლიდერმა და თქვენ მას მხარს არ უჭერთ, უცნაურ მდგომარეობაში ხომ არ აღმოაჩინეთ საკუთარი თავი?! გარდა იმისა, რომ მუდმივად ეწინააღმდგებით ხალხის განწყობებს, ახლა უკვე საკუთარ ლიდერსაც ოპოზიციაში უდგახართ. საკუთარ ხალხს მუდმივად ოპოზიციაში უდგახართ, რისი შედეგიც არის ის უსამართლობა და უკიდურესი გაჭირვება, რაც ქვეყანაში დაამკვიდრეთ. ახლა საკუთარ ლიდერსაც ოპოზიციაში უდგახართ? დაფიქრდით, უცნაურ მდგომარეობაში ხომ არ ხართ? სად ხართ? დარჩით წარსულში?



**ზაქარია ქუცნაშვილი:** ჩვენმა კოალიცია ბიძინა ივანიშვილის თავკაცობით ქართველ ხალხს სარგებელი უკვე მოუტანა. "მეტი სარგებელი" იყო თქვენი დანაპირები და ძალიან დიდი სარგებელი მოუტანა უკვე ქართველ ხალხს ივანიშვილმა, რადგან ამ უსამართლობის ეპოქას წერტილი დაესვა. ჯერჯერობით, ფორმალურად, რეალურად კი ამას დრო დასჭირდება. შესაბამისად, ხალხისთვის იქნება ის, რომ სიტყვები – "თავისუფლება" "სამართლიანობა" და "შესაძლებლობები" იქცევა ცხოვრების ნაწილად. მე ხაზს ვუსვამ ამ სამი სიტყვის მნიშვნელობას და ვფიქრობ, თავისუფლება არის ყველაზე დიდი სიკეთე, რომელიც ხელისუფლებას შეუძლია ხალხს მოუტანოს.



**მანანა კობახიძე:** დღეს მოვისმინეთ ნუგზარ წიკლაურის ისტორიული წიაღსვლები და ცოტა აქეთაც გაიხსენეთ, გაიხსენეთ 26 მაისი, გაიხსენეთ, რომ სწორედ თქვენი მთავრობიდან არის გაქცეული სამი მინისტრი, შეიძლება, უფრო მეტიც, რომელთა სახეც საზოგადოებას არც კი უნახავს წლებია, ადეიშვილს ვგულისხმობ. ისინი გაექცნენ პასუხისმგებლობას და აუცილებლად მოეთხოვებათ მათ პასუხი იმ ქმედებებისთვის, რომლებიც ჩაიდინეს. თქვენს მთავრობაზეა გირგვლიანის და კიდევ არაერთი უკანონოდ დაღუპული ადამიანის საქმე.





**კობა დავითაშვილი:** ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტია და არჩეულია 5 წლის ვადით. მინდა, შეგახსენოთ, რომ 5 წელი გადის 5 იანვარს და დავამთავროთ მაშინ მისი საპრეზიდენტო ვადა, როცა დრო გადის. ასე მოვიქცეთ?! მერე, რომ მოგვიწოდებთ, ჩვენი გზა გააგრძელეთო, სწორ გზაზე მივდიოდით და კურსი არ შეცვალოთო. კარგად უფიქრდებით რას ნიშნავს ეს? მართლა გავაგრძელოთ?! უმრავლესობის წევრები როგორ გახდნენ შევარდნაძის მაჟორიტარები, მე ძალიან კარგად მახსოვს და იმ გზით გავაგრძელოთ სიარული?!

**დავით საგანელიძე:** სანამ პოლიტიკაში ვიქნები, ვერასოდეს მივცემ ჩემს თავს იმის უფლებას, რომ არ შევცვალო ის, რასაც არჩევნების გაყალბება ჰქვია. თქვენ აქ ვიღაცები შემთხვევით გაჩნდით, მე კი ოპოზიციიდან მოვიგე ყველა არჩევნები.



ბოლო არჩევნებში რომ ვნახე, მთლიანად გაყალბდა არჩევნები, დავდე მანდატი, ეს პოლიტიკურად იყო შეცდომა, მაგრამ ეს იყო ზნეობის მაგალითი, რომელიც საზოგადოებამ დაინახა, მაგრამ თქვენ ვერ დაინახეთ. თქვენ დღესაც მიგაჩნიათ, რომ ეს იყო უზნეობა, მაგრამ უზნეობა არის ის, როცა გაყალბებით ზიხარ სადმე და როცა ტყუილს ეუბნები შენს მოსახლეობას. ერთი მხრივ, მოგონილი სტატისტიკით უცხოეთში დაანახეთ, თუ როგორია ეს ქვეყანა, თურმე როგორ ყვავის და სინამდვილეში, რა ხდებოდა ამ ქვეყანაში. გეცინებათ იმიტომ, რომ სიმწრის სიცილი ნამდვილად გექნებათ. ხომ არ გგონიათ, რომ ის მანდატები, რაც აიღეთ, ნამდვილად დაიმსახურეთ? ეს დაიმსახურა იმ გაყალბებულმა სისტემამ, რომელიც წლების განმავლობაში დანერგეთ ქვეყანაში.

**დავით ბერძენიშვილი:** ივანიშვილის ხელისუფლებაში არ არიან ადამიანები, ვინც ქვეყნიდან შეშინებული გაიქცევა. აბჯარასხმული ახალაიები საშიში იყვნენ, ხოლო ახლა ხელისუფლების მიღმა მყოფი გაქცეული დეზერტირები არიან, ძლევამოსილი ადეიშვილი ხელისუფლების გარეშე უსუსური ადეიშვილია, ხოლო შაშკინი - მასზე არც არაფერს ვიტყვი.





**ნინო ბურჯანაძე:** ნაციონალურ მოძრაობას, ყოველივე იმის შემდეგ, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, ყველა იმ დანაშაულის შემდეგ, რომელიც ამოტივტივდა ამ წლების განმავლობაში, არავითარი მორალური უფლება არა აქვს იჯდეს პარლამენტში! მე ვფიქრობ, რომ ამ პარტიიის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს მას შემდეგ, არც შესწავლილი იქნება მისი ლიდერებისა და აქტიური წევრების ჩართულობის ხარისხი დანაშაულებრივ საქმიანობაში. ეს უნდა გადაწყვიტოს არა რომელიმე კონკრეტულმა პიროვნებამ, არამედ დამოუკიდებელმა სასამართლომ. მაგრამ მე შემიძლია პირდაპირ გითხრათ, უამრავი დანაშაულის თანამონაწილენი აღმოჩნდებიან და აღმოჩნდნენ, სამწუხაროდ, ის ადამიანები, ვინც ნაციონალურ მოძრაობას მართავდა.

# ხალხი მოითხოვს: `nacionaluri moZraoba~ cixeSi! saswrafod!

რა პატიება???? მართლა ხმა და კრინტი არ უნდა გავიგოთ!!! არავითარი პატიება!!! ყველანი ციხეში! ნულოვანი ტოლერანტობა!!! უპირობოდ! ყველა მოკლულის გამო უნდა აგონ პასუხი! მერე მოკლულების დაცინვისთვის! მერე ყველა დამცირებისთვის... ვაიმეეე, ვერც ჩამოვთვლი, იმდენი დანაშაული აქვთ და აი მერე რომ მოინანიებენ და აგებენ პასუხს მერე ვიფიქროთ უნდა სად გავასახლოთ რომ აღარასოდეს სადმე არ შეგვეჩეხონ და ცოდვა არ ჩაგვადენინონ!!!!

ამ ხროვას რომ ვუყურებ, ილია ჭავჭავაძის რიტორიკულ კითხვას მტკიცე პასუხი გაეცა: კაცია ადამიანი?! პასუხი – არა!!!!!!!!!! ვიცი ასეთი ადამიანების ფსიქიკა, ადამიანურად თუ ექცევი, თავზე გაჯდებიან და მართლა ადამიანები ჰგონიათ თავი!




ნაცები პასუხისმგებლები არიან ტერორზე, წაგებულ ომზე, შიმშილსა და უმუშევრობაზე, მათი დიდი ნაწილი პასუხისგებაშია მისაცემი ჯალათობის მხარდაჭერისთვის.. ეს ყველაფერი ყველამ იცის და ამ ფონზე ნაციონალების ასეთი გონორი პარლამენტში, მგონი, დაბნეულობას იწვევს საზოგადოებაში... რატომ ბუინობენ ისინი, ვინც დამნაშავეა?

უკვე ისტერიკამდე მივდივარ ამათი ზნედაცემულობით!! არადა როგორ ჰყავს ბიძინას კუთხეში მიმწყვდეული და უყურებს შორიდან როგორ ფართხალებენ!!!!!!!!! დაგიბნელდათ და დაგისამარდათ მზე ნაციონალებო! მკვლელებო და სულით ხორცამდე გახრწნილებო!!!!!

გოგა ხაჩიძემ რისი მინისტრი იყო, თვითონაც კი არ იცის. ის იყო ერთი სამარცხვინო სიმღერის „მიშა მაგარიააააააა"-ს მინისტრი. საბედნიეროდ, დასრულდა ის დრო! ქვეყანაში, სადაც მინისტრებად გოგა ხაჩიძე, ვერონიკა ქობალია, ხათუნა კალმახელიძე და კიდევ ზოგიერთები იყვნენ, თავისთავად ცხადია, არაჯანსაღი სიტუაცია იყო. უფრო მეტიც, ასეთი ადამიანების მინისტრობა ქვეყნის და ხალხის შეურაცხყოფა იყო!!!

რა ვერ გავიგე, იცით??? პირდაპირ რატომ არ მიახლის ბიძინა ამ მიშისტებს, რომ ისინი ფაშიზმს, დანაშაულებრივ რეჟიმს ემსახურებოდნენ და ახლა მის რესტავრაციას ტყუილად ცდილობენ???

კი, მარა, ეხლა რომ გადმოაგდეს ენა და ტლიკინებენ, ეს კრიმინალური ბანდა, ეს 9 წელი რას აკეთებდნენ? გული მერევა ამ იდიოტების მოსმენით. როგორ გაბლატავდნენ, ერთი უყურე :))) ბიძინა, მართლა გავგიჟდები, ამ პარლამენტარების უმრავლესობა ციხეში თუ არ ამოყოფს თავს :) სასწრაფოდ უნდა დაიდოს ამათი კრიმინალური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია :)

ნაციანალო პარლამენტარებო, სულ ტყუილად გიხარიათ, რომ „ქართულ ოცნებას „პრობლემებს" უქმნით პარლამენტის ქუთაისში გადატანით, თქვენ თითონ შეიტანოთ ჯობია კანონპროექტი პარლამენტის თბილისში გადმოტანის, თორემ თქვენ თუ ასეთი რიტორიკით აპირებთ გაგრძელებას, ქუთაისი და ქუთაისელები არ მოგითმენთ, და ეს არ იქნება კორიდორი, ეს იქნება თქვენი სასამართლო ხალხის სახელით, ამას მოიმკით თქვენი უნამუსობით!!!!

# მსოფლიო პრესის მიხედვით

# qarTveli premier-miliarderi

## კოალიციის გამარჯვებამ სილა გააწნა სააკაშვილის გუნდის რეფორმატორებსა და მათ დასავლელ მოკავშირეებს

**შეძლებს ბიძინა ივანიშვილი, საქართველოში ნამდვილი დემოკრატია დაამყაროს? კითხულობს Financial Times. სექტემბრის ბოლო შაბათს, თბილისში კოალიცია „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო მიტინგზე თავი უამრავმა ხალხმა მოიყარა და ასეთი რამ საქართველოს მანამდე არ მომხდარა.**

ამ მიტინგზე გამოვიდა არა სააკაშვილი, არამედ „პოლიტიკოსი, რომლის მსგავსიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ჯერ არავის უნახავს", — აღნიშნავს სტატიის ავტორი ნილ ბაკლი. მანამდე 56 წლის ბიძინა ივანიშვილი, რომლის ქონება, **Forbes**-ის შეფასებით, საქართველოს შიდა მთლიანი პროდუქტის თითქმის ნახევარს შეადგენს, კარჩაკეტილი მაგნატი იყო. „ის ვარჯიშობს იოგას, აქვს კერძო ზოოპარკი და სურათების კოლექცია, რომელიც მილიარდ დოლარზე მეტად არის შეფასებული", — ვკითხულობთ გამოცემაში.

საპარლამენტო არჩევნებში ივანიშვილის გამარჯვება პარადოქსია — ასე ფიქრობს ბრიტანელი კორესპონდენტი. „როგორც ჩანს, ამ გამარჯვებამ დაადასტურა, რომ საქართველო ახლა დემოკრატიულ საფუძვლებს ეყრდნობა და იმავდროულად, სილა გააწნა სააკაშვილის გუნდის რეფორმატორებსა და მათ დასავლელ მოკავშირეებს".

სააკაშვილი ცდილობდა, ივანიშვილი მოსკოვის პაიკად წარმოეჩინა და იმასაც ირწმუნებოდა, რომ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლას საფრთხე ექმნებოდა. „აღმოჩნდა, რომ ამომრჩევლები უფრო მეტად ივანიშვილის იდეებს იზიარებენ: მოქალაქეთა უმეტესობას არ შეეხო რაიმე სასიკეთო ცვლილება, მათი ცხოვრება არ გაუმჯობესებულა, სააკაშვილის გუნდმა კი რეფორმების გატარებისას ფეხქვეშ გათელა არაერთი წესი და კანონი და ხელისუფლებაში ნათესაობრივი მონოპოლია დაამყარა".

საქართველო ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა ძნელია რადიკალური, ზოგჯერ კი, მტკივნეული რეფორმების გატარება ღარიბ ქვეყანაში და იმავდროულად, დემოკრატიული თავისუფლების დაცვა. შესაბამისად, არსებობს ხოლმე იმის ალბათობაც, რომ ქვეყნის მმართველს ხმის მიცემით ჩამოაცილებენ ხელისუფლებას.

ბრიტანული გამოცემის კორესპონდენტი ქართველებთან გასაუბრების შემდეგ მიხვდა, რატომ მოსწონთ მათ ივანიშვილის იდეები, ხოლო „ქართული ვარდები" თუ მთლად არ გამხმარა, დაჭკნა მაინც". ამის მიზეზები საქართველოს პოსტსაბჭოთა ისტორიაშია ფესვგადგმული.

საქართველოს პირველი არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ჩამოაგდეს. „ამით შეიქმნა სახიფათო პრეცედენტი: თურმე შესაძლებელი ყოფილა, არჩეული ლიდერი, თავისუფალი არჩევნების ნაცვლად, სხვა მეთოდებით შეიცვალოს.



შემდეგი პრეზიდენტი — ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფოს მშენებლობისას სირთულეებს გადააწყდა. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა განადგურებული იყო, დარგების დიდი ნაწილი ხელში დანაშაულებრივმა სამყარომ ჩაიგდო, „მუდმივად დასაქმებულებისთვისაც კი კორუფცია ცხოვრების წესი გახდა, ხელფასს ვერ იღებდნენ, ელექტროენერგია და წყალი გრაფიკით მიეწოდებოდათ".

სააკაშვილის რეფორმების შემდეგ საქართველოში ვითარება შეიცვალა: ელექტრო- და წყალმომარაგება აღდგა, გაჩნდა ინვესტიციები, დაიწყო ეკონომიკური აღმასვლა, ახალი ნაგებობეის მშენებლობა, ხოლო პარლამენტის თავზე ევროკავშირის დროშა აფრიალდა.

თუმცა 2006 წელს, რეფორმატორებთან საუბრისას, ბაკლიმ საგანგაშო ნიშნები შეამჩნია. ერთ-ერთი სახელმწიფო მოხელე ანტიკორუფციული კამპანიის შესახებ აღნიშნავდა: „მძიმე დრო იყო. ჩვენ საკუთარი მეგობრების დაპატიმრებამაც კი მოგვიწია". „ასეთი ფრაზა ალბათ მხოლოდ სტალინის საბჭოთა კავშირში შეიძლებოდა მოგვესმინა", — ვარაუდობს ავტორი. მისი აზრით, სააკაშვილის გუნდს ტყუილად როდი შეარქვეს „ლიბერალ-ბოლშევიკები" და წლეულს ეს ტენდენციები კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა.

ჟურნალისტი ახსენებს ნინო ბურჯანაძის, „ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი ლიდერის სახელს: რამდენიმე წლის წინ მას შეეძლო, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისითვის უპრობლემოდ დაერეკა, ახლა კი, როგორც ოპოზიციონერ პოლიტიკოსს, გაურბიან. ბურჯანაძემ ინტერვიუში აღიარა სააკაშვილის მთავრობის წარმატებები, მაგრამ, მისივე თქმით, პრეზიდენტის გუნდის პოლიტიკოსებში თავიდანვე შეამჩნია წესების სათავისოდ შეცვლის მიდრეკილებაც. „ერთხელ მაინც თუ დააყენებ საკუთარ თავს კანონზე მაღლა, შედგომში ძალზედ ძნელია ამისგან თავი შეიკავო", — განმარტა ბურჯანაძემ. „სისტემა თითქოს ბოლშევიკურია. რეჟიმს აკრიტიკებ — ესე იგი, ხალხის მტერი ხარ. ეს დემოკრატიისგან ძალიან შორს არის", — დასძინა მან.

ავტორმა მსგავსი მოსაზრებები რიგითი თბილისელებისგანაც მოისმინა. ღამის დარაჯი გივი: სააკაშვილმა ახალი გზები დააგო. მე ვმუშაობ, მაგრამ ჩემი ხელფასით ოჯახის გამოკვებას ვერ ვახერხებ".

„შევარდნაძის დროს მეტი თავისუფლება იყო. არავის ეშინოდა მისი ლანძღვის. ახლანდელი მთავრობა დაშინების პოლიტიკას ეწევა", — გვიამბობს მისი ცოლი ირინა, სახელმწიფო დაწესებულების ტელეფონისტი. ირინას თქმით, ის ივანიშვილის მიტინგზე რომ წასულიყო, სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ, ხოლო თუ მისი მეუღლე უარს იტყოდა სააკაშვილის მიტინგზე, მათ ოჯახს პრობლემები შეექმნებოდა.

„ასეთი საუბარი მომისმენია საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, ბელორუსიით დაწყებული ყაზახეთამდე. საქართველოში თეორიულად ყველაფერი ხომ სხვანაირად უნდა ყოფილიყო", — წერს ბაკლი. როგორც გაირკვა, საქართველოში ყველაფერი მართლაც სხვაგვარად არის: სააკაშვილის ხელისუფლება დამარცხდა.

ბაკლი პირადად შეხვდა გამარჯვებული კოალიციის ლიდერს და მკითხველს ამ შეხვედრის შთაბეჭდილებებს უზიარებს: „ივანიშვილი მოწესრიგებული ადამიანია და ხმადაბლა საუბრობს. იგი სააკაშვილის, ამ მანიაკური ენერგეტიკულობის ნაკრებისგან სრულიად განსხვავებულია. ივანიშვილმა ქონება რუსეთში დააგროვა, 2003 წელს დაბრუნდა საქართველოში და ქველმოქმედებას მიჰყო ხელი. ამბობს, რომ მან დააფინანსა სააკაშვილის თავდაპირველი რეფორმები, მათ შორის — პოლიციისა. სააკაშვილი ამას უარყოფს".

ბიძინა ივანიშვილი იძლევა იმის გარანტიას, რომ საქართველო დემოკრატიული იქნება? — ეს შეკითხვა წერილის ავტორმა თავად ივანიშვილს დაუსვა.

„ალბათ არავინ ფიქრობს, რომ ივანიშვილი ხელისუფლებაში იმიტომ მოვიდა, რომ ქრთამი აიღოს.. ჩემი ერთადერთი მიზანია საქართველოში ნამდვილი და არა ფასადური დემოკრატიის აშენება, როგორც წინა ხელისუფლების დროს იყო", — უპასუხა ახალმა პრემიერმა.

ინტერვიუში ივანიშვილმა უარყო გავრცელებული მოსაზრება, თითქოს რუსეთში არსებული აქტივები საეჭვოდ მაღალ ფასად გაყიდა. „სინამდვილეში, როგორც თავად ბატონი ივანიშვილი ამბობს, ბევრი აქტივი მის რეალურ ფასზე ნაკლებად გაიყიდა", — ვკითხულობთ გამოცემაში.

ივანიშვილი დაუფარავად ამბობს, რომ სურს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება, თუმცა ირწმუნება, რომ ნატო-ს და ევროკავშირისკენ მოძრაობასაც გააგრძელებს. ბალტიის ქვეყნებმა მოახერხეს ერთის მეორესთან შეხამება, აღნიშნავს იგი.

რამ უბიძგა ივანიშვილს, დამშვიდობებოდა ოჯახურ გარემოში მშვიდ ცხოვრებას და პოლიტიკის ჭაობში გადაშვებულიყო? „ივანიშვილმა მითხრა, რომ ხელისუფლებისგან წნეხი სულ უფრო და უფრო მატულობდა მას შემდეგ, რაც 2008 წელს სააკაშვილთან ურთიერთობა გაწყვიტა". 2011 წლის ოქტომბერში ივანიშვილი მზად იყო, ოჯახთან ერთად საფრანგეთში გაფრენილიყო.

„არჩევანი არ მქონდა: ან სამშობლო უნდა დამეტოვებინა, რომელიც ძალიან მიყვარს, ან პოლიტიკაში იძულებით წავსულიყავი", — ამბობს იგი. ვითარების შეცვლა მხოლოდ ერთ ადამიანს — მე შემეძლო". ივანიშვილის თქმით, მან სამჯერ გადადო გამგზავრება და საბოლოოდ გადაწყვიტა, პოლიტიკაში მოსულიყო.

შეძლებს ივანიშვილი მთელი წლის განმავლობაში სააკაშვილთან ერთად იყოს ხელისუფლებაში? „ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის", — ამბობს პრემიერ-მინისტრი ინტერვიუში და დასძენს: „სააკაშვილმა განდევნა ის ხალხი, რომლებიც მასავით არ აზროვნებდა. ამას ჩვენ არ დავუშვებთ. ჩვენი მიზანი საქართველოს გაერთიანებაა".

# saxelmwifo departamenti: gardamaval periodSi amerika saqarTvelos daexmareba

***სტრატეგიული თანამშრომლობის მიმართულებების ქარტიის შესაბამისად, გარდამავალ პერიოდში ამერიკა კვლავ განაგრძობს საქართველოს დახმარებას: დემოკრატიული ინსტიტუტების, უსაფრთხოების განსამტკიცებლად, ეკონომიკური კავშირების განვითარებასა და ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაში, — ვკითხულობთ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, რომელშიც გაანალიზებულია არჩევნებში „ქართული ოცნების" გამარჯვების შემდგომ ქართულ-ამერიკული ურთიერთობების პერსპექტივები.***

ანგარიში წარმოადგინა ევროპისა და აზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ერიკ რუბინმა, რომელიც ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველოს სტუმრობდა.

„დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკულ-ქართული ურთიერთობების მომავალს რეალური საფუძვლები გააჩნია", — აღნიშნა რუბინმა.

„ამ გარდამავალ პერიოდში საქართველოს განუხრელ დახმარებას ვპირდებით. ჩვენ შორის ძლიერი ორმხრივი ურთიერთობებია და იმედი გვაქვს, რომ ახალ ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა გაგრძელდება", — ვკითხულობთ მოხსენებაში.





როგორც აღვნიშნეთ, ამ ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია, რომელიც ხელმოწერილია 2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში.

„ეს დიალოგი ეფუძნება თანამშრომლობის ოთხ პრინციპს. კერძოდ, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებას, უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაფართოებას, ეკონომიკური კავშირის ზრდასა და კულტურული ურთიერთობის გაღრმავებას.

აღნიშნულია, რომ წინა ხელისუფლების მსგავსად, „პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის გუნდს სურს, გააგრძელოს ევროატლანტური ინტეგრაციის კურსი".

„ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს ჩრდილოატლანტური ალიანსისკენ საქართველოს სწრაფვას... საქართველო გახდება ნატო-ს წევრი — ამის შესახებ ალიანსმა განაცხადა ბუქარესტში და ეს პოზიცია შემდგომ სამიტებზეც დაადასტურა. ოქტომბერში ავღანეთში მეორე ბატალიონის განთავსების შემდეგ, საქართველო იქნება **ISAF**-ის მისიის უმსხვილესი წევრი-ქვეყანა, რომელიც არ არის ნატო-ს წევრი", — აღნიშნულია მოხსენებაში.

სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში ადგილი ეთმობა საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებების საკითხს, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოს ახალმა მთავრობამ. „აუცილებელია დასაქმებულ პირთა უფლებების დაცვა და შემდგომი განმტკიცება. გავგიხარდება, თუკი ახალი მთავრობა ამ საკითხებსაც არ მოაკლებს ყურადღებას".

**newsland.ru**

**მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

საუბრები **ზაზა შათირიშვილთან**

# gmirobidan kvazigmirobamde



„იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისაც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?"

*ილია*

### მედიალური სივრცის ეპოქა და მოქმედი პირი — სააკაშვილი

რაღაც მომენტებში ჭეშმარიტების წამი დგება, როდესაც ადამიანი უცებ იტყვის ისეთ რამეს, რაც იმ მომენტს უხდება. ხშირად ასეთი ადამიანი უცებ იქცევა ხოლმე გმირად. საქართველოში არიან გმირები, რომელსაც მასმედია ქმნის. მაგალითად, ასე მოხდა ჯონდი ბაღათურიას შემთხვევაში, როცა მან პრეზიდენტს პარლამენტში სტუმრობისას საბუთები აუფრიალა და იგი დარბაზიდან გააქცია. იგივე რამდენიმე წლის წინ თავად სააკაშვილმა საკრებულოს სხდომაზე გააკეთა. ამ ყველაფერს კი ხორცს მასმედია ასხამს. მასმედია სკანდალზეა ორიენტირებული, რასაც სხვადასხვა გამოხატულება აქვს — შექმნას როგორც ფსევდო, ისე ანტიგმირი და ა.შ. თანაც სკანდალის ბუნება ისეთია, რომ მან უხერხულობის მომენტი უნდა შექმნას. ამ კუთხით, შეიძლება მაროშკინაც გმირად მივიჩნიოთ. მასმედიის ბუნებიდან გამომდინარე ასეთი გმირები წამის გმირები არიან, ანუ დღეს არიან, ხვალ — აღარ. ამიტომ არსებობს მთელი რიგი პიარტექნოლოგიები, თუ როგორ გაკეთდეს ისე, რომ გმირი რაც შეიძლება დიდხანს იყო. ანუ ეს ყველაფერი მასმედიასთან კავშირშია. გვინდა თუ არა, ასეა. იმიტომ, რომ თუ წარსულის გმირებზე ვისაუბრებთ, მათი გმირობის შესახებ ისტორიულ წყაროს უნდა ეთქვა. მეფე ერეკლე გმირია იმიტომ, რომ არსებობს მეხსიერება. მასმედია კი ზუსტად მეხსიერების საპირისპირო რამაა. არა იმდენად გახსენებს, რამდენადაც გავიწყებს — ჰქმნის „გმირს", მერე გავიწყებს, ახალს ჰქმნის და მასაც გავიწყებს და ა.შ. ანუ როდესაც თანამედროვე გმირებზე ვსაუბრობთ — ეს გმირები „ნიუსების" (ახალი ამბების) შემოქმედი ხალხია. ახალ ამბავს, რა თქმა უნდა, მასმედია ჰქმნის. აქედან გამომდინარე გამოდის, რომ გმირი არის ის, ვინც დიდხანს არის გმირი. გავიხსენოთ ცნობილი გამოთქმა — მთავარია არა ის რას ლაპარაკობენ შენზე, არამედ ის, რომ შენზე ლაპარაკობენ. აქედან გამომდინარე, რა შეგვიძლია ვთქვათ სააკაშვილზე? — იგი იყო გმირი, გახდა ანტიგმირი, შემდეგ ფსევდოგმირი, მაგრამ მუდმივად, სხვადასხვა საშუალებით მოქმედ პირად რჩება, რასაც ძალაუფლება განაპირობებს. მასმედიამ მედიალური ქარიზმა გააჩინა. არსებობენ ადამიანები, რომელთაც მედიალური ინტუიცია აქვთ. ძალაუფლებისა და კაპიტალის გარეშე მედია სივრცეში დიდი ხნის მანძილზე ყოფნა შეუძლებელია. საკმარისი არც ესაა, საჭიროა ამას პლუს ქარიზმა. ქარიზმისა და რესურსების ერთობლიობა მოქმედ პირობას, გმირობას განაპირობებს.

თანამედროვეობამ, დასავლეთში სუსტი ადამიანის თემა შემოიტანა. საქართველოში ასე არაა. საქართველოში, მე-2 მსოფლიო ომის შედეგებს ჯერ არ მოუღწევია. მე-2 მსოფლიო ომმა გმირები დამარხა და მხოლოდ ანტიგმირები დატოვა. ანუ ისეთი ტიპის გმირები, როგორებიცაა ჰიტლერი, სტალინი და ჩერჩილისა და რუზველტის დეჰეროიზაცია მოახდინა. ჩვენ მედიალური სივრცის ეტაპზე ვართ, რომელიც სწორედ გმირს გამორიცხავს. მედიალური სივრცე ლაპარაკობს არა გმირებზე, არამედ სიმულაციაზე. მაგალითად, განმუხური და მუხროვანი, სადაც მიშა რუსის დრაკონს ამარცხებს, თუმცა,



მეორე მხრივ, მასმედიაც არაა ტოტალური მანიპულაციის სივრცე. მასმედიაშიც, ისევე როგორც ყველა მედიალურ ქრონოტოპოსში ჭეშმარიტების მომენტები ჩნდება. მაგალითად, გორი, სადაც სააკაშვილის რეალური სახე დავინახეთ.

### გმირის ორეული

გმირს გარკვეული დისტანცია სჭირდება. განსხვავებით წმინდანისაგან, გმირი, რაღაცნაირად შორს და ზევითაა. მაგალითად, დედა-ტერეზა ყოველდღიურობაშია ჩართული. წმინდანი, თავისი ბუნებით, შეიძლება იმდენად ახლოს იყოს, ვერც დავინახოთ, რომ იგი წმიდანია. გმირს, როგორც ყოველთვის თავისი ორეული ჰყავს. ეს ორეული სწორედ ის დისტანციაა, რაც ჩვენ მისგან გვაშორებს. როცა ასეთი ტიპის დისტანცია ქრება, ძალიან რთულია იმის თქმა, რომ ვილაც გმირია იმიტომ, რომ იგი გმირობისთვის მეტისმეტად ახლოს არის. ასევე, როცა საუბარია გარკვეული ჯგუფის მეხსიერებაზე — მას რაღაც მოვლენა ერთნაირად ახსოვს და სწორედ ამიტომაა ჯგუფი. სხვადასხვანაირად თუ გვახსოვს, მაშინ ეს ინდივიდუალური მეხსიერებაა. მაგალითისთვის, ავიღოთ თავხელიძის ჯგუფი, რომელსაც აბსოლუტურად სხვა მეხსიერება აქვს. მათთვის გორი არ ყოფილა (პრეზიდენტის გორში გორაობა), ჩვენთვის გორი იყო. ეს ორი სხვადასხვა სამყაროა, რომელთა შორის არანაირი კავშირი არაა. იმიტომ, რომ თავხელიძის ჯგუფისთვის პრეზიდენტი გმირია, მაგრამ ჩვენ ამაზე კონსესუსი არ გვაქვს.

### წმინდა, როგორც აქტი, ან — ადამიანი

რა ხდება მაშინ, როდესაც გმირები მიდიან? — ეს ძალიან საინტერესო მომენტია, რასაც ახალი ტიპის ტოტალიტარიზმი მოსდევს, სადაც წმიდანობა და გმირობა შეუძლებელია, რადგან ჩვენ, ყველანი საპყარი ვართ, ე.ი. არაფერი წმინდა არ არსებობს. რა შეიძლება იყოს წმინდა? — არაფერი არ შეიძლება იყოს წმინდა. წმინდა შეიძლება იყოს გარკვეული ტიპის აქტები. მოვიყვან საინტერესო „ქეისს" — რუსეთში „ფუსი რაიოტმა" ეკლესიაში ღვთისმშობლის მიმართ პანკ-ლოცვა გამართა, მოგვაშორე პუტინიო. ისინი დღეს გმირები არიან. ნახეთ, რა არის საინტერესო? — როდესაც ფრანჩესკო ასიზიელი მოიქცა, ტანსაცმელი გაიხადა და ეკლესიაში შიშველი შევიდა. რა განსხვავებაა მასსა და „ფუსი რაიოტს" შორის? — ფრანჩესკო კიდევ უფრო რადიკალურია, წარმოიდგინეთ ვიღაც შიშველი შედის ნოტრ-დამში. განსხვავება ისაა, რომ „ფუსი რაიოტი" ჩვენნაირი ადამიანები არიან, ფრანჩესკო არ არის ჩვენნაირი ადამიანი, თუმცა, ამ დროს იგი ჩვენნაირი ადამიანია. წმინდას სწორედ მაშინ ვეძებთ, როდესაც ვხვდებით, რომ ვიღაც ჩვენნაირია, მაგრამ თან ჩვენნაირი არ არის. ანუ წმინდა, რაღაც ადგილი კი არ არის დროსა და სივრცეში, არამედ ეს გარკვეული ტიპის აქტი, ან — ადამიანი. წმინდა აქტია, როდესაც ფრანჩესკო ასიზიელი ეკლესიაში შიშველი შედის — ამით ამბობს, რომ იგი შიშველი დაიბადა. მთელი მისი მისია — ესაა უპოვართა ორდენი. თანამედროვე ადამიანის პრობლემა ისაა, რომ თანამედროვეობა ხელს გვიშლის წმინდანის დანახვაში. შუა საუკუნეებში ადამიანი ვერ ხედავდა ყოველდღიურობას (ყოველდღიური ამბები ალეგორიულად იკითხებოდა), ასევე თანამედროვეობა ხელს გვიშლის ტრანსცედენტულობა, ანუ რაღაც აბსოლუტურად სხვა დავინახოთ. იმიტომ, რომ ჩვენ მუდმივად რაღაც სხვაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ეს სხვა, როგორც წესი, ჩვენი გაგრძელებაა. ლგბტ-ც, „ფუსი რაიოტი"-ც — ყველა ეს არის ჰორიზოტალურად ჩვენი გაგრძელება, ეს არ არის აბსოლუტური სხვა. მაგალითად, დედა-ტერეზა ჩვენი გაგრძელება არაა. იგი ჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ ვხედავთ, რომ ეს რაღაც სულ სხვაა. თანამედროვეობა მხოლოდ ყოველდღიურობაა, რომლის უკან არაფერი დგას, ანუ სიღრმე არაა. როგორც შუა საუკუნეებში ყოველდღიურობას ვერ ვხედავდით, ასევე, დღეს გვეუბნებიან, რომ ყველაფერი ყოველდღიურობაა, აბსოლუტური სხვა არ არსებობს. მაგრამ ეს სხვა არსებობს. მხედველობაში მაქვს ისეთი ტიპის ფენომენი, როდესაც განცდა მიჩნდება, რომ რაღაც სხვა ხდება და ეს ყოველდღიურობა არ არის. აქედან გამომდინარე, წმინდანები, გმირები და ჩვეულებრივი საპყარი ადამიანები ისტორიაში ერთად ვართ, უბრალოდ სხვადასხვა ისტორიულ დროს სხვადასხვა მოცემულობაში — რაღაცის დროს არ ჩანს ყოველდღიურობა, რაღაცის დროს არ ჩანს სიწმინდე — განსხვავება სწორედ ესაა.

როცა ამ ყველაფერს ყოველდღიურობაში წაიკითხავ, მაშინ დეჰეროიზაციას მოახდენ. ამ აზრით დეჰეროიზაცია ჰოლოკოსტმა გააკეთა. ავიღოთ — „შინდლერის სია", რატომ არის იგი მნიშვნელოვანი? — იმიტომ, რომ მოქმედი პირი არის არა მოქმედი პირი — ოსკარ შინდლერი, არამედ — მასა. ყოველთვის გვეგონა, რომ მასა ბექ-გრაუნდია. არადა, ამ შემთხვევაში, შინდლერი ებრაული მასის ბექ-გრაუნდს წარმოადგენს. ფონი შინდლერია. რეალურად, 6 მილიონი ადამიანი, რომელიც არ ჩანს, მთავარი მოქმედი პირია. ჩანან ისინი, ვინც გადარჩნენ. აქედან გამომდინარე, ჩვენს დროსაც აქვს თავისი ტრანსცედენტულობა. წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა „ფუსი რაიოტი" სინაგოგაში ან ჰოლოკოსტის მუზეუმში იად-ვაშემში რომ შესულიყო და ეცეკვა. დღესაც, არსებობს ადგილები, რომელიც წმინდა, ხელშეუხებელია, ანუ ყველა დროს თავისი სიწმინდე აქვს. მაგალითად, ადრე ითვლებოდა, რომ სიწმინდეები ნაციონალური სიწმინდეებია, დღეს ითვლება, რომ წმინდა არის ის, რაც გენოციდთანაა დაკავშირებული. ვიმეორებ, „ფუსი რაიოტის" შესვლა ჰოლოკოსტის მუზეუმში, ან მეჩეთში, ძალიან პრობლემური იქნებოდა.

### პროგრესის სახელით ჩარეცხილები

გმირი რაღაც აზრით წმინდანის მიბაძვაა, ხანაც იმიტაცია, ხან მისი ჩანაცვლება, ანუ მასში დიდი წარმართული პოტენციალია. თანამედროვე ადამიანი ყოველდღიურობაში იტყოდა — კაცი ეკლესიაში შიშველი შედის, ეს ხომ ნოტრ-დამის შეურაცხყოფააო. ყველა კულტურას, ყველა დროს თავისი წესები აქვს. მაგრამ ყველა დროში არსებობს რაღაც, როცა ხვდები, რომ ეს ტრანსცედენტურია. ტრანსცედენტურისაგან გათავისუფლება არცერთ დროს არ შეუძლია. ჩვენი დროსთვის ასეთი ტაბუირებული და ხელშეუხებელია უმცირესობები, პირველ რიგში, ესაა — ჰოლოკოსტი.

ჩნდება კითხვა — განიგმირები თუ არა პოლიტიკაში წასვლით? — დასავლეთში კი იმიტომ, რომ ეს მე-2 მსოფლიო ომის შედეგია — თუ ხელებს შლი და ყვირიხარ, ყველას ჰიტლერი ახსენდება. საქართველოში და არც საბჭოთა კავშირში ეს მეხსიერება არ არის — სტალინს ეს აფექტაცია არ ახასიათებდა. ჰიტლერი არის შამანი, 70 მილიონი გერმანელი მისი ყელით ყვირის, სტალინი კი — ტიპიური აღმოსავლელი მეფის მსგავსი ფიგურაა — ამბობდა იუნგი. პოლიტიკაში „განგმირვა", დეჰეროიზაცია მოხდა (ეს შესანიშნავი კალამბური უდროოდ გარდაცვლილ შესანიშნავ ქართველ მეცნიერს ვანიკო რამიშვილს ეკუთვნის), რაც მე-2 მსოფლიო ომის შედეგია. საქართველოში და რუსეთში ეს მომენტი ჯერ არ დამდგარა. დასავლეთში ეს პროცესი მარტივად მოხდა, გამოვყოფ ორ მომენტს — ჰოლოკოსტი და გულაგის არქიპელაგი. რა აჩვენა გულაგის არქიპელაგით სოლჟენიცინმა? — ადამიანი, პოლიტიკოსი, რომელიც ანტიქრისტიანული ღირებულებებით ცხოვრობს. მან აჩვენა, რომ თურმე პროგრესის სახელით შეიძლება ადამიანები დახოცო და მათ ჩარეცხილები უწოდო. იგივეს აკეთებს დღეს სააკაშვილი, როცა ჩარეცხილებზე საუბრობს. როცა ასეთ ადამიანზე ამბობ, რომ ის ჩარეცხილია და სტატუსად სტიგმას ადებ, შემდეგი ნაბიჯი უკვე უადგილოა, მაგრამ სააკაშვილი ამას ვერ ხვდება. ეს ისტორიის თვისებაა — თუ რაღაც საზრისს ვერ ხედავ, მაშინ ყველაფერი მეორდება. ევროპამ დაინახა რომ ის, რაც ჩვენ პროგრესული გვეგონა, თურმე ძალადობა ყოფილა. კომპარტიაში ყოფნა იმდენად სამარცხვინო გახდა, რომ ხალხი იქედან გამოვიდა. ასეთივე სამარცხვინო უნდა იყოს „ნაც. მოძრაობაში" ყოფნა. სახეზე გვაქვს ორი ფაქტი — ერთი მხრივ, ნიურნბერგის პროცესი და ჰოლოკოსტი, მეორე მხრივ, გულაგის არქიპელაგი. ერთ შემთხვევაში მოხდა მთლიანად ნაციზმის დეჰეროიზაცია, მეორე შემთხვევაში — კომუნიზმის. ანუ, რა გამოდის, არიან ანტიგმირები, მაგრამ გმირები არავინ არ არიან. შემთხვევითი არაა, რომ პოლიტიკა არის სფერო, სადაც არავითარი ქარიზმა, გმირები არ უნდა იყვნენ. მაგრამ საქართველოში ასე არაა — აქ გმირი ჯერ კიდევ არის გმირი, ვინც უფრო ეგზალტირებულია, გმირიც იგია.



ესაუბრა **თამარ შველიძე**

(გაგრძელება იქნება)

# saakaSvilis dabruneba xelisuflebaSi gamoricxulia

*გვესაუბრება კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი* ***დავით ფაცაცია***

**— დათო, თქვენ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დაგაპატიმრეს და საპატიმროდან გამოსულს ფაქტობრივად უკვე ახალი ხელისუფლება დაგხვდათ. მოულოდნელი არ იყო თქვენთვის მძიმე წინასაარჩევნო პერიოდის ფონზე ხელისუფლების გადაბარების ასეთი მშვიდი პროცესი?**

— პირველ რიგში მინდა მოგილოცოთ თქვენ და სრულიად საქართველოს ეს ღირსეული გამარჯვება, რომელიც ძალიან მძიმე ბრძოლად დაჯდა. მართლაც უმძიმესი იყო წინასაარჩევნო პერიოდი, არაადეკვატური, არაადამიანური და ცილისმწამებლური კამპანიით წარმართული. როგორც უნდოდათ ისე ჭრიდნენ და კერავდნენ კონსტიტუციას, კანონებს, სასამართლოსაც, მედიასაც. მაგრამ ყველაზე მთავარი ხალხის ნება იყო და ის ადამიანი, რომელიც გამოჩნდა ქართულ პოლიტიკაში ერთი წლის წინ. ბიძინა ივანიშვილმა უდიდესი წინააღმდეგობის და საფრთხის მიუხედავად, მაინც შეასრულა ის, რასაც დაგვპირდა.

ხაზი მინდა გავუსვა ერთ რამეს, „ნაციონალურ მოძრაობას“ არანაირი შანსი არ ჰქონდა გამარჯვების. მათ გააჩნდათ მხოლოდ ორი არჩევანი. თუ ჭკუა საბოლოოდ არ ეყოფოდათ და მიიღებდნენ აფექტურ გადაწყვეტილებას. ანუ ისინი პირველ რიგში გამოიყენებდნენ დათა და ბაჩო ახალაიას მიერ სამეგრელოში ჩამოყალიბებულ ბანდფორმირებებს, რომლისთვისაც თავდაცვის სამინისტროდან გამოიყო 40 მილიონი ლარი და გაგახსენებთ, რომ ეს მოხდა 2011 წლის დეკემბერში. სიმართლე გითხრათ ჩემთვისაც გასაკვირი იყო მათ მიერ ხელისუფლების ასე ადვილად დათმობა, დარწმუნებული ვიყავი, რომ აუცილებლად მიმართავდნენ ძალადობრივ გზებს და ამისთვის რომ ნამდვილად მზად იყვნენ, ამას ჩვენი ინფორმირებული წყაროც ადასტურებს.

**ჩემი ინფორმაციით ახალაიებმა დაურეკეს მაჭავარიანს, გოგორიშვილს და უკანასკნელი სიტყვებით აგინეს, თუ რატომ ვერ გააყალბეს მათ არჩევნები ისე, როგორც გააყალბეს სამეგრელოში, როგორ ვერ დაბეჭდეს ყალბი პირადობები და ა.შ. სინამდვილეში ეს პირადობები დაბეჭდილი იყო, მაგრამ ადამიანური რესურსი აღარ არსებობდა და ამიტომ ვეღარ განხორციელდა იგივე გეგმა დანარჩენ საქართველოში, რაც სამეგრელოში იყო.**

ამ გამარჯვებაში სამ ძირითად ფაქტორს მიუძღვის დიდი როლი. პირველი, ეს არის საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც სააკაშვილს და წინა ხელისუფლებას არანაირად არ აპატიებდა მსგავსი ტიპის ქმედებას. მეორე ფაქტორი არის ხალხი, რომელიც ამას აღშფოთებით დახვდებოდა, შანსს აღარ დაუტოვებდა სააკაშვილის ხელისუფლებას და ეს ყველაფერი შესაძლოა იმ დონემდე მისულიყო, რომ ჩვენ შესაძლოა ვეღარავის გადამალვა ან გადარჩენა ვეღარ მოგვეხერხებინა. ხოლო მესამე, ყველაზე მთავარი ფაქტორი იყო ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ ნაბიჯ-ნაბიჯ და ძალიან ფაქიზად მიღწეული მშვიდობიანი გამარჯვება. თორემ სააკაშვილს ამაში არანაირი წვლილი არ მიუძღვის. ერთადერთი რაც შეიძლება სააკაშვილს ჩაუთვალო ის არის, რომ მან საკუთარი თავი საბოლოოდ არ გაანადგურა.

**— არჩევნების შემდეგ გამუდმებული საუბარი მიმდინარეობს იმაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ჩვეულ სტილში ეცდება ხელისუფლებაში დაბრუნებას. თქვენ რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მსგავსი მოსაზრებები?**

— მე გეტყვით, რომ ეს არის ილუზია, რომლითაც „ნაციონალური მოძრაობა“ კვებავდა მთელს საქართველოს. „რუსთავი 2“-ის, „იმედის“ თუ სხვა მაუწყებლების მეშვეობით. არანაირი რესურსი ხელისუფლებაში დაბრუნების მათ არ გააჩნიათ და პრაქტიკულად მინდა გამოვრიცხო რაიმე მსგავსის მოხდენის საშიშროება. ამას ადასტურებს მათი ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის ლევან რამიშვილიც, რომელიც თავადვე ამბობს, რომ ეს ყველაფერი გამორიცხულია.



**სააკაშვილის დაბრუნება ხელისუფლებაში გამორიცხულია, ხოლო მისი და ხელისუფლების მაღალჩინოსნების პასუხისგება სასამართლოს წინაშე აუცილებლად მოხდება.**

**— სწორედ ეს არის დღეს ქართველი ხალხის უმთავრესი და უპირველესი მოთხოვნა „ქართული ოცნების“ მიმართ, დაისაჯონ დამნაშავე მაღალჩინოსნები და სხვა პირები. აპირებს „ქართული ოცნება“ ამ მოთხოვნის შესრულებას?**

— ეს არის ამ ხელისუფლების ყველაზე უმთავრესი მიზანი. ხალხი ითხოვდა სამართლიანობას და ეს სამართლიანობა უნდა დავუბრუნოთ მათ. დღეს თუ დამნაშავეებმა პასუხი არ აგეს, შესაძლოა ხვალაც იგივე განმეორდეს და ზეგ ვინც მოვა ხელისუფლებაში ისიც იგივეს იზამს. ამიტომ სამართლებრივი სახელმწიფო რომ შედგეს, ძლიერ საზოგადოებად რომ ჩამოვყალიბდეთ და ხელისუფლებამ სწორად და ადეკვატურად იმოქმედოს ამისთვის აუცილებელია დაისაჯოს მინიმუმ ყველა ის მაღალჩინოსანი, რომელთაც სერიოზული და მნიშვნელოვანი დანაშაულები მიუძღვით, როგორც ქვეყნის სხვადასხვა პერიოდში მომხდარ მოვლენებში, ასევე იმ დანაშაულებრივ ფაქტებზე, რომლებიც წლების განმავლობაში ფიქსირდებოდა თუ არ ფიქსირდებოდა. ზოგიერთ მათგანს მნიშვნელოვანი წვლილიც მიუძღვის იმაში, რომ ბევრი რაღაც მშვიდობიანად მოხდა და შეიძლება შემამსუბუქებელ გარემოებაში ეს ჩაეთვალოთ, მაგრამ სერიოზულ დანაშაულზე პასუხი უნდა აგონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც მე ვიქნები მართალი საზოგადოების წინაშე და ვერც ვერავინ სხვა.

კანონი, რომელიც დღეს კანონობს ხშირად არის უკანონო და უსამართლო, ანუ ეს კანონებიც უნდა შესწორდეს ისე, რომ სამართლიანი გახდეს.

**— „ნაციონალური მოძრაობა“ რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგიის გამტარებელი იყო ქვეყანაში ეს ხომ ყველასთვის ფაქტია. დღეს შესაძლოა ისინი ხელისუფლებაში აღარ არიან როგორც პარტია, მაგრამ „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგია და მიმდევრები კვლავაც აქტიურად მუშაობენ. ამას რა უნდა დაუპირისპიროს საზოგადოებამ?**



— მოდით, ასე ვთქვათ; ჩვენ, მოქალაქეებმა ამ ოცი წლის განმავლობაში ძალიან მძიმე ბრძოლა გავიარეთ. პრაქტიკულად მთელი საქართველოს ისტორია ღალატისაც, უსამართლობისაც, ძალადობისაც აი, ამ ოც წელიწადში ჩაეტია.

გვახსოვდეს, რომ როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, მტერი ყოველთვის ჭკუით მოდის. ყველაზე ცუდია, როდესაც ჭკვიანი ადამიანი არის ბოროტი და მას ამოძრავებს ძალაუფლებისკენ ლტოლვა. ‘‘თავისუფლების ინსტიტუტი’’, ლიბერტარიანული სკოლა და ჯგუფი, რომელიც ბენდუქიძის მიერ არის შექმნილი, ასევე ე.წ. „ექსპერტები“ თავხელიძე და სხვა დანარჩენები აღარც გაახსენდება სამ თვეში არავის. თქვენ, ჟურნალისტებმა, მოქალაქეებმა და ჩვენც კოალიციის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რადგან მტერი ყოველთვის ჩასაფრებულია.

**— ამ „ექსპერტების“ და ლიბერტარიანული იდეოლოგიის მიმდევრების გამუდმებული მიწვევა და შესაბამისად ალბათ გარკვეული პოპულარიზაციაც ხდება იგივე ტელეკომპანია „მაესტროზე“, რამაც უკვე ბევრი ადამიანის გაღიზიანება გამოიწვია..**

— გეტყვით ერთ საიდუმლოებას ამ გარემოებაში და მე ამას ასე აღვიქვამ. სწორედ ამ ადამიანების ხშირი ჩვენებით კარგად ჩაიხედა საზოგადოებამ „ნაციონალური მოძრაობის“ სულში, გულში და გონებაში. ეს ადამიანები ყველაზე ნათელი მაგალითი იყვნენ იმ განზრახვებისა, რომელიც ‘ნაციონალურ მოძრაობას“ გააჩნდა. ამ ადამიანების მხრიდან ხდებოდა ციხის კადრების გამართლება, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა თავისი დანაშაულებრივი მოქმედებებით ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას, ამ ადამიანებმა ეს გაამართლეს, როგორც ჩვენი გამარჯვება. ან როდესაც დევნილების გამოძევება ხდებოდა, მათ თქვეს, რომ ეს არის სწორი საქციელი, როდესაც ადამიანები გაანადგურეს ფიზიკურად, მათ თქვეს, რომ წესრიგი ამას მოითხოვს. როდესაც ლიკვიდირებული იქნენ სანდრო გირგვლიანი და სხვა ახალგაზრდები, მათ თქვეს, რომ ისინი არ იყვნენ მაინც და მაინც კარგი ახალგაზრდები. ამ ადამიანების მოსმენის შემდეგ ისე ღიზიანდებოდა და მწარდებოდა ხალხი, „ნაციონალურ მოძრაობას“ ცოტა მეტი ჭკუა რომ ჰქონოდა საერთოდ გადამალავდნენ ამ ხალხს. ასე, რომ მე სწორად მიმაჩნია, რომ ხალხის გაღიზიანება ასე ხდებოდა. მართალია ამ გაღიზიანებამ ძალიან დიდ ხანს, მთელი ცხრა წელი გასტანა, მაგრამ თასი სწორედ ასე წვეთწვეთობით ივსებოდა. ხოლო სამართლიანოს აღდგენაში ყველაზე დიდი წვლილი იმ ადამიანებს მიუძღვის, ვინც ამ წლების განმავლობაში გამუდმებით დადიოდა სხვადასხვა აქციებზე.

**მე ყოველთვის ვამბობ, რომ ირინა ენუქიძე არის დედის მაგალითი, რომელმაც თავი გაწირა არა მარტო თავისი, არამედ სხვისი შვილებისთვისაც. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო თქვენს რედაქციას, ყველა ჟურნალისტს, რომლებიც ამ წლების განმავლობაში იბრძოდნენ სიმართლისთვის.**

ძალიან ძნელია, როდესაც ამისთანა ძალადობას, წნეხს უძლებ ფინანსური რესურსების არ ქონის პირობებში. მე ვიცი, რომ ძალიან ბევრ ჟურნალისტს, ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანს სამგზავრო თანხაც კი არ ჰქონია, მაგრამ მაინც ბოლომდე იდგა და პრინციპებს არ ღალატობდა. გმირების აი, ამ პატარა ჯგუფმა მოიტანა ეს გამარჯვება. ბევრნი არ ხართ საუბედუროდ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამის შემდეგ უკვე ბევრნი იქნებით და სამართლიანობის ტალღაში მოექცევიან მათ შორის ის ჟურნალისტებიც, ვინც ჩვენ მაინც და მაინც არ მოგვწონდა.

**ლელა არაბული**

## ხალხი მოითხოვს:

## `nacionaluri moZraoba~ cixeSi! saswrafod!

რა ხშირად აპელირებენ ამ დემოკრატიული არჩევნებით ჩვენი უმცირესობის წევრები ..... უნდა გაეყალბებინათ? ასე არ უნდა ყოფილიყო? .... ამაზე მახსენდება კერძო საუბარში პოლონელმა პარლამენტარმა, რომელიც საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების დამკვირებელთა კომისიის წევრი იყო პოლონეთიდან, ისეთი გაოცებით მითხრა .... დემოკრატიული არჩევნები, ეს ხომ ძალიან ელემეტარულია დემოკრატიულობის თვალსაზრისითო და ვერ გავიგე, ესენი კი ვალს გვადებენ, აქაოდა, ამხელა გმირობა ჩავიდინეთო .... და ვალიარეთ თქვენი გამარჯვებაო....

ნაცებო, უყურეთ, როგორი უნდა იყოს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. არ იდორბლება, წარამარა ცხვირში არ იქექება, ტურასავით არ ჩხავის, არავის შეურაცხყოფს, საქმეზე საუბრობს...თქვენი ნოსტალგიის დედაც ვატირე

არასოდეს არ გამჩენია წაქცეულის ჩაწიხლვის სურვილი, მაგრამ რომ ვუყურებ ამ ნაციონალებს, ეს სურვილი უკვე მიჩნდება, ესენი ნამდვილად არიან გასანადგურებლლები! ღმერთო, მაპატიე ამ სიტყვებისათვის!

# `nacionalebis~ biujeti es iyo usieri tye, sadac mtaceblebi daTareSobdnen...

***რით ივსება ქვეყნის ბიუჯეტი, რა ადგილი უჭირავს ჯარიმებით, საპროცესო გარიგებებით შესულ თანხებს და რატომ მძიმდება ხალხის მდგომარეობა უკიდურესად ბიუჯეტის ზრდის ფონზე, ამის შესახებ ეკონომისტი ვაჟა ბერიძე და ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე გვესაუბრებიან.***

**ვაჟა ბერიძე, ეკონომისტი:** ბიუჯეტი, რომელიც ახლა პარლამენტში განსახილველადაა შესული სერიოზულ გადამუშავებას საჭი-



როებს, როგორც პარამეტრების, ისე კონცეპტუალური თვალსაზრისით. მოცემული ბიუჯეტი უფრო კეთილი სურვილების კრებულია. ახალი მთავრობა, კერძოდ ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური საფუძვლიანად გადახედავს წარმოდგენილ პარამეტრებს. ეს ბიუჯეტი არჩევნებში გამარჯვებული „ნაციონალური მოძრაობის“ ბიუჯეტია. ეს არ არის ქვეყნის ბიუჯეტი. იმედია, ამას გამოცდილი ეკონომისტი და ფინანსისტი ნოდარ ხადური იოლად მიხვდება.

**— რას გულისხმობთ, რომ ბიუჯეტი „ნაციონალების“ ინტერესებზეა მორგებული?**

— დიახ, ეს არის „ნაციონალების“ ინტერესებს მორგებული, საარჩევნო დაპირებების ასრულებისთვის გამიზნული ბიუჯეტი. მათ საბიუჯეტო სახსრების მობილიზების საკმაოდ მოჯადებული წრე ჰქონდათ შექმნილი. 2003 წლიდან დამკვიდრდა პრაქტიკა, როდესაც ბიუჯეტში სერიოზული სახსრები და ხარჯები არ ფიქსირდებოდა. მაგალითად, ძალიან დიდხანს არ ვიცოდით, რომ პატრულის მანქანები ბიძინა ივანიშვილის მიერ ბიუჯეტში შეტანილი ფულით იყო შეძენილი, ასევე, მინისტრების მაღალი ხელფასები ივანიშვილის მიერ ფინანსდებოდა. „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“, რომლის დამფუძნებელიც გახლავართ, დიდხანს ეძებდა ცალკეული ობიექტების მშენებლობისთვის ქალაქის ან ქვეყნის ბიუჯეტში გაწერილ თანხებს. მაგალითად ასეთია ესტაკადა გმირთა მოედნიდან ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე, ან მონუმენტი, რომელიც გმირთა მოედანზეა აღმართული. გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ შესაძლოა ამ გზით, არა გაცხადებულად, არამედ დაფარულად ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენების მიერ საქართველოში მიღებული მოგების ნაწილის დაბრუნება სოციალური პრობლემების გადასაჭრელად მომხდარიყო. გარკვეული სოციალური პრობლემები გვარდებოდა და მისაღები ხდებოდა იმისთვის, რომ ქვეყანაში თავისებურად გაგებული „აღმშენებლობის“ პროცესი გაგრძელებულიყო. ეს არის ამ ბიუჯეტის არსებობის ქვეტექსტი. ამიტომ ამ ბიუჯეტს არ განვიხილავ პუნქტობრივად, თუ რისგან შედგება შემოსავლები, სად რა ხარჯები იზრდება, მცირდება და ა.შ. „ნაც. მოძრაობის“ ოპოზიცია მთავრობას მიუთითებს ბიუჯეტი გამჭვირვალე უნდა იყოსო. ამ დროს მათი მმართველობის პერიოდში ბიუჯეტში ბურუსით იყო მოცული, არა მარტო სამხედრო და ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილი, არამედ არავისთვის დასამალი არაა, რომ კონტროლის პალატისთვის ძალოვანი უწყებები ხელშეუხებელი სფერო იყო. ბიუჯეტის სახსრების ხარჯვა ამ მიმართულებით ზედაპირულადაა შემოწმებული, რადგან ამ უწყების ხელმძღვანელი ვანო მერაბიშვილი გაცილებით უფრო გავლენიანი იყო, ვიდრე პრემიერი გილაური, რომლის რეალური სტატუსი და შესაძლებლობები პრეზიდენტის თანაშემწის სტატუსს არ სცდებოდა.

**— მაინც, კონკრეტულად რით ივსებოდა და იზრდებოდა ბიუჯეტი — რეკეტით ენერგომატარებლებზე, ჯარიმებით, საპროცესო შეთანხმებებით თუ რით? ჩვენთან ხომ არც საწარმოები მუშაობს, არც ქარხნები, რათა რესურსი შექმნილიყო?**

— დიახ, ასეთ მოვლენებს ადგილი ჰქონდა და ბიუჯეტის შევსების გარკვეულ წყაროს შეადგენდა. თუმცა, არ ვიტყოდი, რომ ეს ბიუჯეტის შემოსავლის სერიოზული ნაწილი იყო. უფრო ბიუჯეტის ზრდა კონცეპტუალურად გამოწვეული იყო ფასების ზრდით და გარკვეული მანიპულაციებით. ბოლო 10 წლის მანძილზე საგადასახადო შემოსავლების ზრდის დინამიკას თუ ჩავხედავთ, იგი არ არის ისეთი მჟღერი და განმაცვიფრებელი, როგორც ბიუჯეტის ზრდის ციფრები. ამიტომ საგადასახადო შემოსავლების და ბაზის ზრდა, ბოლო წლებში ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის მასშტაბის ზრდის მთავარი წყარო არ ყოფილა. ძირითადი წყაროები იყო გრანტები, სესხები და ა.შ. ასევე ექსპორტ-იმპორტის ბალანსი. ბუნებრივია, უარყოფითი სალდო ბოლო წლებში იზრდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ იზრდებოდა იმპორტული საქონლის ოდენობა, რომლის რეალიზაციაც თავისთავად იმპორტიორების შემოსავლებს ზრდიდა და შედეგად ბიუჯეტში გადასახადების ნაკადების ზრდასაც იწვევდა. ასევე, ამაში გარკვეულ როლს ასრულებდა საპროცესო შეთანხმებები, ბიზნესის დარეკეტება და სხვა. ანუ, საბოლოო ჯამში ბიუჯეტი „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში უსიერი ტყე იყო, სადაც მტაცებლები დათარეშობდნენ და ძნელია რაიმე გამჭირვალეობაზე საუბარი, თუ საიდან რა ხდებოდა, რა საბიუჯეტო პროცესს ჰქონდა ადგილი.

**— როგორც საუბრობენ ბიუჯეტის დიდ ნაწილს ხელისუფლება არამიზნობრივად იყენებდა. როგორ ფიქრობთ, რა ხარჯებია ის, რაც მომდევნო ბიუჯეტში აღარ უნდა იყო გაწერილი?**

— 2006 წლიდან მოყოლებული, ჩემი აზრით, ბიუჯეტი გაცილებით ყაირათიანად შეიძლებოდა გახარჯულიყო. ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა, განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისების დროს უნდა გაძლიერდეს, რადგან, ეს სოციალური დაძაბულობის მოხსნის გზაა. ეს სწორი იყო, მაგრამ, როდესაც კრიზისის პერიოდში ეთნოკონფლიქტებით აღსავსე რეგიონში ტურიზმის წახალისება ხდება და ამაზე უამრავი ფული იხარჯება ტურიზმის განვითარების კონცეფციის გარეშე, ბუნებრივია, ეს ფულის გაფლანგვაა. იგივე, ბათუმის კულტურის ცენტრად ქცევა რეგიონში და უამრავი ყავლგასული ვარსკვლავის მოწვევაზე დახარჯული მილიონებიც ფულის ფლანგვაა. ასევე, საბიუჯეტო სფეროში 100 ათასი მუშაკია დასაქმებული. მათი 2012 წლის ხელფასის ფონდი 1 მილიარდ 200 მილიონ ლარს შეადგენს. როდესაც მოსახლეობის ორი მესამედი შიმშილის ზღვარზე და მის ქვემოთაა, საბიუჯეტო სფეროს მუშაკებს ასტრონომიულად დიდი თანხები არ უნდა ჰქონდეთ.

**— სწორედ მაგ გაფლანგვის შედეგი ხომ არაა, რომ ახლა ბიუჯეტში საკმარისი თანხა აღარ არის?**

— დიახ, ამიტომაც უნდა განხორციელდეს სტატისტიკის უწყების რეფორმა, რასაც ჩვენგან ევროკავშირი მოითხოვს. უნდა მოხდეს საარსებო მინიმუმის ადეკვატურად დათვლა. როგორც ვარაუდობენ, საარსებო მინიმუმი სულ მცირე 230 ლარამდე აიწევს.

**— რამდენად შეიძლება ითქვას, რომ ციხის, განათლების, ჯანდაცვის და სხვა „რეფორმების“ სახელით ხელისუფლება მოსახლეობას ატერორებდა და მათი ჯიბიდან ამოღებული ფულით ბიუჯეტს ავსებდა?**

— ასეთი მეთოდები, რასაც ხელისუფლება იყენებდა, ბუნებრივია მოჩვენებით წესრიგს ქმნიდა. თქვენ ახლა ეკონომიკური პოლიტიკის გლობალურ ასპექტებს შეეხეთ. ეს დაუბალანსებელი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, როდესაც ხელისუფლებასთან შეზრდილი კლანები გარკვეული ბიზნესებიდან ზე-მოგებას იღებენ, ეს განსაკუთრებით იმპორტს ეხება, რაზედაც ქვეყანაა დამოკიდებული. აქვე პარადოქსია, რომ ხალხის მდგომარეობა უკიდურესად მძიმდება. ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი ადამიანი ხვდება მოვალეთა რეესტრში. საქართველოში კრედიტების პროცენტები სიდიდის მიხედვით მე-7-8 ადგილზეა. საქართველოში იოლია ბიზნესის დაწყება, მაგრამ ძალიან ძნელია მისი წარმოება. მომგებიან სფეროებში ხელისუფლებასთან შეზრდილი კლანები პარპაშებენ. გამოსავალი ერთადერთია — კურსის ცვლილება.



**ნოდარ ჭიჭინაძე:** — „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტი: რაც შეეხება უშუალოდ შემოსავლებს, 2013 წელს ბიუჯეტი 7 მილიარდ 234 მილიონი იქნება. ოდნავ მცირე იყო 2012 წელს. როგორც წესი, ამ თანხის დიდი ნაწილი საგადასახადო შემოსავლებია, დაახლოებით 93 პროცენტი, ანუ ჯამში 6 მილიარდ 730 მილიონი. საშემოსავლო გადასახადიდან ბიუჯეტში დაახლოებით 1 მილიარდ 600 მილიონი ლარი შედის, ანუ მესამედი; მოგების გადასახადიდან 994 მილიონი ლარი; ყველაზე მსხვილი კომპონენტია დღგ — 3 მილიარდ 320 მილიონი ლარი; აქციზის გადასახადიდან 670 მილიონი ლარი შედის, იმპორტის გადასახადიდან კი — 125 მილიონი ლარი. ეს არის ძირითადი სტრუქტურა, რომლის გადასახადების წყალობით ხდება ბიუჯეტის 93 პროცენტის შევსება. გარდა ამისა, არის არასაგადასახადო შემოსავლები — ჯარიმები, სანქციები, მოსაკრებლები, საგარეო ვალი და ა.შ. ხარჯვითი ნაწილი გაცილებით პრობლემურია, ვიდრე შემოსავლები. ხარჯების მიმართულებით ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ აქამდე რა ბიუჯეტებიც გვქონდა დამტკიცებული გამჭვირვალობის თვალსაზრისით, ძალიან დაბალი დონე იყო. ანუ არ ჩანდა კონკრეტულად რა იყო გაწერილი.

— დიახ, ბიუჯეტი იზრდება, თუმცა მეორე საკითხია — რისი დამსახურებაა ეს. ბიუჯეტის ზრდის ერთადერთი წყარო ეკონომიკური ზრდაა. ოფიციალური მონაცემებით, 2010 წელთან შედარებით, ეკონომიკა 50 პროცენტით გაიზარდა, ეს სისულელე, აბსურდია.

ბიუჯეტის 85 პროცენტი, თუ მეტი არა, სწორედ რიგითი მოქალაქეების მიერ ივსება, დანარჩენი 15 პროცენტი კორპორაციულ სექტორზე მოდის. თუ მოგების გადასახადს არ ჩავთვლით, ყველა სხვა დანარჩენი, უშუალოდ თითოეული მოქალაქის ჯიბიდან მიდის ბიუჯეტში.

ბოლო წლებში ჯარიმებით და სხვა გზებით გაიზარდა ბიუჯეტის მოცულობა. ბიუჯეტს ვავსებთ თითოეული ჩვენთაგანი იგივე საპროცესო გარიგებებით, გირაოთი, ჯარიმით და ა.შ. საგადასახადო შემოსავლების გარდა, კიდევ ერთი წყარო ბიუჯეტის სხვა შემოსავლებია. რამდენიმე კომპონენტს გეტყვით: შემოსავლები საკუთრებიდან 189 მილიონი ლარია — აქ იგულისხმება პროცენტები, დივიდენდები, ეროვნული ბანკის მოგება და ა.შ. რენტა — 120 მილიონი ლარი; საქონლის და მომსახურების რეალიზაცია — 63 მილიონი ლარი და ა.შ. რაც შეეხება სანქციებს, ჯარიმებს და საურავებს — 100 მილიონი ლარია. ბოლო პუნქტია შერეული, არაკლასიფიცირებული შემოსავლები, რომლებიც ზოგად კლასიფიკაციას არ ექვემდებარება და ძნელი სათქმელია ამ თანხის უკან რა მოიაზრება — ასეთია დაახლოებით 65 მილიონი ლარი.



**თამარ შველიძე**

# vin akont r o l ebs `seqsindust r ias~ saqa r Tve l oSi?

## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს



მიზეზთა გამო ვისაც ვაგზლის მოედანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე უწევს მიმოსვლა, დღისითაც და შებინდებულზეც, ანუ ღია პანელად ქცეულ ქალაქის ერთ-ერთ შემოსასვლელთან მდარე, შესაბამისად იაფფასიან, მაგრამ ყველანაირი ზომა-წონისა და ასაკის მეძავს შეეფეთება ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე.

თუ ვაგზალი ქალაქის კარია, თბილისში სტუმრად ჩამსოულ სტუმრებს კარებში სწორედ დასაბან-დასავარცხნი მეძავების მთელი ჯოგი ხვდება.

არავინ თქვას, ეს დაბალ დონეზე ხდება, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არ იციან, რა ხდება ამ მხრივ, თუ მაინც და მაინც მექალთანეა მავანი, თავიანთივე წრეში გამონახავს საკბილოსო — სწორედაც რომ, ნურას უკაცრავად! ჯერ ერთი, პარლამენტსა და სახელმწიფო კანცელარიაში არავინ დაბადებულა, მეორე — პირადად თვით თუ არ უსარგებლიათ მათი მომსახურებით (კონკრეტულად ხსენებული ტერიტორიის მეძავებზე მაქვს საუბარი), სამეგობროდან მაინც ექნება გაგონილი და საერთოდ, რაზეა ლაპარაკი, როცა ყველამ ყველაფერი იცის და ამიტომ დუმს.

არცთუ დიდი ხანია, რაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მიმდინარე წლის ანგარიში გამოაქვეყნა ტრეფიკინგის შესახებ. ანგარიშში 186 ქვეყანაა მოხსენიებული და მათ რიცხვში საქართველოც შედის. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველოს მთავრობა ტრეფიკინგის აღმოფხვრის მხოლოდ მინიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებს და პირდაპირ მიუთითებს, რომ საქართველო არის ქალების სექსუალური ტრეფიკინგის და ამასთანავე, ორივე სქესის იძულებითი სამუშაოს განმახორციელებელი ქვეყანაც, წყაროც და ტრანზიტიც.

დაიდო მკაცრი დასკვნა, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი“, თუმცა რაზეა საუბარი, როცა წყნარი და მყუდრო გონიო სექსსოფლად აქცია „ვიღაცამ“, სადაც მკვლელობის თუ თვითმკვლელობის ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი — 27 ბორდელის გახსნაზეა საუბარი, რასაც შემთხვევითობას კი არა, პირდაპირ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთ უკავშირებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და ამის დამადასტურებელი საბუთიც აქვთ.

რა რეაქცია მოჰყვა გონიოელების საპროტესტო წერილებს — გონიოელებმა, უპირველესად, პოლიციას მიმართეს დახმარების თხოვნით, საიდანაც პასუხი მიიღეს, ამ საქმეში ჩვენ ვერ ჩავერევითო; იგივე შინაარსის წერილი გადაეგზავნა ბათუმის მერს — მერიამ წერილი გადაუგზავნა გონიოს პოლიციას, პოლიციამ კი იგივე პასუხი გასცა ხალხს; როდესაც ახალგაზრდების ჯგუფმა პირადად ვარშალომიძეს მიმართა, პასუხად მიიღეს „რა გინდათ, თქვენც იგულავეთო“; შემდეგი წერილი პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის სახელზე გაიგზავნა — წერილმა იგივე გზა გაიარა და გონიოელებს იგივე პასუხი გაეცათ; ბოლო წერილი ბოლო ინსტანციას, პრეზიდენტს გაეგზავნა, თუმცა, ამჯერად, რეაგირება მოჰყვა, „ბუნტოვშიკებთან“ გონიოს პოლიციის გაფრთხილება მივიდა, საჩივრების წერას თავი გაანებეთ, თორემ ვაი, თქვენი ბრალიო...

პოლიციის მხრიდან მუქარა, ერთის მხრივ, გასაგებია, რასაც „ზემდგომი“ ავალებთ, ასრულებენ, თუმცა, როცა მეძავების ჯანმრთელობასაც კი „სოდ-ი“ აკონტროლობს, აშკარად სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე.

გონიო, აჭარა, კარგი, ვთქვათ, თურქეთის საზღვრისპირა რეგიონია და სადაც აეროპორტიდან დაწყებული ბევრი რამის ჩათვლით გადაუთურქა, 27 ბორდელიც უფეშქაშა რაღაცის ხურდად საქართველოს ხელისუფლებამ თურქეთს (კინაღამ მტკვარიც შეაბრუნა), მაგრამ თბილისის ბორდელების აყვავება რაღას უნდა მიეწეროს, რატომ იქცა თბილისი „დიდ გონიოდ“? — დღეს და გადადღეს ღამის თბილისი პროსტიტუტების შეხლა-შემოხლისგან თბილისის ცალკეული უბნების კონკრეტულ ადგილებზე, სადაც არც სხეულის დაზიანებები და მკვლელობებია უცხო, რაც არავის ინტერესებში არ მოხვდა.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მეძავების შტატი მიშას არ გაუხსნია, არალეგალური ბორდელები მიშამდეც იყო ცალკეულ დაწესებულებებში (სასტუმროები, კაფეები, კაზინოები), საცხოვრებელ ბინებშიც და ღია ცის ქვეშაც, ქუჩებში, უბრალოდ, ახლა, თითქმის სრული კონტინგენტი შენობებს შეეფარა, მხოლოდ მიზეზთა გამო შარაზე დარჩენილი იაფფასიანი „ღამის პეპლები“ ხვდებიან გამვლელ-გამომვლელს თვალში.

ისე, თუ მართლაც „ძალიან ვიღაც“ არ მფარველობდა სტრიპტიზ-კლუბ „დივას“, როგორ მოხდა, რომ არავინ იღო ახლო-მახლო მცხოვრებთა პროტესტი ყურად და არც ის გახდა საგანგაშო, რომ სტრიპტიზკლუბი სკოლის შენობის პირველ სართულზე მდებარეობს? რაგინდ მხოლოდ სტრიპტიზკლუბი უწოდონ „დივას“ და მის მსგავს დაწესებულებებს მისმა მფლობელებმა, ხომ ყველასთვის ნათელია, რომ სახელი არაფერ შუაშია, საქმიანობის მიმართულებაზეა საუბარი. ამდენად, სტრიპტიზკლუბი ერქმევა, საუნა, აფრო-აზიური მასაჟის სახლი, ბორდელი, საროსკიპო, ქეთჰაუსი, ნოკინგ შოფი თუ სხვა რამ, ფაქტობრივად, სექსმომსახურებას ეწევა. ამაოა იმის მტკიცება, რომ სტრიპტიზის მოცეკვავე გოგონები კლიენტებს არ ემსახურებიან — სწორედ იმიტომ მსახურობენ იქ, რომ უნდა მოემსახურონ. (რამდენადაც მახსოვს, 200 ლარი ღირს ერთი საათით მომსახურება, თანაც უნდა წააბრძანონ და უკანვე მიაბრძანონო.)

ინტერნეტით გავრცელდა შპს „დივას“ და „ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ ანგარიშფაქტურა, რითაც ცხადი გახდა, რომ „ნაცების“ დროსტარება სტრიპტიზკლუბში თბილისის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. თანხა, რომელიც ერთი ანგარიშფაქტურისა და ორი ინვოისის მიხედვით გახდა ცნობილი, 5129 ლარია. (უცხოელი სტუმრები დაპატიჟეს და რა უშავსო) კლუბის ხელმძღვანელის თქმით, რახან არსებობს ანგარიშფაქტურა, მაშასადამე, ასეც იყო, თუმცა ვინ ისარგებლა მათი მომსახურებით, თანაც ორი-სამი წლის წინ, არ ახსოვს. რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევას ვერ დაიმახსოვრებდა, მაგრამ საინტერესოა, არც ის დაამახსოვრდა, როცა ქვეყნის პრეზიდენტის სტუმრობისას კლუბი იხურებოდა პირადად მისთვის?

სექსმომსახურება ისეთი ინდუსტრიაა, რომელიც ცოცხალ საქონელს, სექსპროდუქციას „აწარმოებს“. ვინაიდან კანონი მკაცრად აკონტროლებს ადამიანის „არაკანონიერ სექსუალურ“ მოხმარებას, ე.წ არალეგალურ ბიზნესს, გამოდის, რომ კონკრეტული ძალოვანი სტრუქტურის (ან თვით უმაღლესი ხელისუფლის) მფარველობის გარეშე ასე ხელაღებით მართლაც ვერ გაიფურჩქნებოდა ქართული სექსინდუსტრია.



არჩევანი ფართოა: ე.წ „ბანძები“ (5-20 ლარიანები), „ისე რა ნაშები“ (50-100 ლარიანები), „მაგარი ნაშები“ (100-200 ლარიანები), „ელიტ-ნაშები“ (200-500 ლარიანი) და „ესკორტ-ნაშები“ (1000 ლარიანი). რაც შეეხება „სამთავრობო ნაშებს“, რომლებიც, ცხადია, დასაქმებულებიც არიან და ტელეეკრანებიდან გვმოძღვრავენ კიდეც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ოფიციალურად გამოყოფილი ხელფასის, პრემიების და პრივილეგიების გარდა „ქეშად“ კიდევ რას უხდიან, ვინ იტყვის?!

გიორგი არველაძე ვახსენეთ „დივას“ უკრაინელ სტრიპტიზიორ გოგონებთან დაკავშირებით, მაგრამ არ გვითქვამს, რომ „რესპუბლიკის მოედნის“ ქვეშ არველაძის „პენტჰაუზია“, ქალების გასაქირავებელი დაწესებულება, ჩვეულებრივი ბორდელი, ანუ არველაძე ეჭვმიტანილია სუტენიორობაში — ამით ბევრი რამ არის ნათქვამი...

„თბილისის ფორუმზე“ შეკითხვას გადავაწყდი — „მითხარით, სად ვიპოვო ნორმალური საუნა ან ბორდელი თბილისში? ეხლა არ დაწეროთ „ხიბლიო“ — ცნობისმოყვარეობამ მძლია, დამაინტერესა როგორ დააკვალიანებდნენ „გაჭირვებულ“ კაცს და თვალი მივადევნე.

„რა ვიცი, შენხელა რომ ვიყავი, „ლაბირინთი“, „ნატახტარი“ და როენას საუნა იყო ცვეტში... პირველი ვაჟას ჩიხშია, მეორე — აღმაშენებლის ხეივანში, საპატრულოს მხარეს და მესამე გლდანში, ქერჩის ქუჩაა, მგონი,“ — მიასწავლა ერთმა.

„თამარიონი“ წერეთელზეა, დეზერტირების ბაზრის გვერდზე. 90 ლარი ღირს ერთი საათი, ნახევარი საათი 50 მაგარი მუ...ები ყავთ, დაჟე დუშიც არის და კაი პონტია, რა, თუ დაევასე გოგოს + ნახევარი საათი დაგიტოვებს და მოგ...ვს“, — საქმეში ჩაერთო მეორე.

„ყველაზე ნორმალური და კარგი „პალმებია“... ნუ, ერთი 130 ლარი გინდა, ზატო ისიამოვმნებ და ტრიპერსაც არ აიკიდებ... თან კაი გოგოები ყავთ“, — არ ჩამორჩა მესამე, მეოთხე, მეათე...

„ლაბირინთი“ 100 დოლარი სრული კომპლექტით, უცხოელი ნაშები ყავთ, დელისის მესამე ასახვევში“.

„ხოზეში“ ახალი ქალები ყავთ 35 ღირს, აქციის პონტშია“.

„თუ ფული არ გაქ, ვაგზლის მოედანი-2-ის მიმდებარე ტერიტორია“;

„თუ ფულის პრობლემა გაქვს, ლილოში წადი, ერთ ბანკა მურაბაზე იძლევიან, ოღონდ, თუ რამე აგკიდეს, რისი შანსიც 99%-ია, მე არ დამაბრალო“;

საინტერესოა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ღია თუ შენიღბულ ბორდელებთან დაკავშირებით ახალი მთავრობა, კერძოდ კი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელსაც ახალ უწყებასთან ერთად ის ძველი კადრები ერგო მემკვიდრეობად, რომლებიც „სექსინდუსტრიას“ კურირებდნენ?

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## საქართველოს გენპროკურორს არჩილ კბილაშვილს
## საქართველოს იუსტიციის მინიტრს თეა წულუკიანს

# ყოფილმა მოსამართლემ, პაატა ქობულაძემ, მთელი ქონება წაართვა და უდანაშაულო ადამიანი 7 წლით ციხეში ჩამსვა



2007 წლის 22 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ თეიმურაზ დგვარელმა 25 სასამართლო პროცესის შემდეგ გამოიტანა "ისტორიული" განაჩენი, რომლითაც ოთხი მოქალაქე გამოგვკეტა ციხის კედლებში მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ვზრდიდით უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსმართლის პაატა ქობულაძის შემოსავალს, აღნიშნული განაჩენით პირადად მე მომესაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა, მიუხედავად იმისა, რომ მე ვიყავი სრულიად უდანაშაულო და ვისჯებოდი მხოლოდ პაატა ქობულაძის ამბიციების და ქონების დაგროვების სურვილის გამო.

განაჩენი გასაჩივრებული იქნა როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო სასამართლოებში, თუმცა ქობულაძის მანტიის ყოფილმა ბრწყინვალებამ აქაც თავისი გაიტანა.

**პაატა ქობულაძე ჯერ კიდევ მაშინ ეწეოდა საკუთარ ბიზნესს, როცა ის უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ მუშაობდა. ქ. ქუთაისში წერეთლის №8-ში მისი კუთვნილი ლომბარდი მუშაობდა და ძარცვავდა ხალხს, ამწყვდევდა ციხეებში და ეუფლებოდა მათ კუთვნილ ქონებას. კანონის დამცველს არაფრად მიაჩნდა კანონის დარღვევა, მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა უცხო მოქალაქეს გააუბედურებდა, თუ მისი ოჯახის ახლობელს ან ნათესავს.**

მაშინ, როდესაც კანონის დამცველად აღარ მოიაზრებოდა, პაატა ქობულაძემ ღიად დაიწყო ქუთაისელების ძარცვა, რაც დღემდე გრძელდება.

მე ბრალი მედება მასში, რომ ჩემი ძვირფასი ნივთები — ოქრო და ბრილიანტი გირაოს სახით პაატა ქობულაძის კუთვნილ ლომბარდში მქონდა ჩაბარებული შესაბამისი თანხის საფასურად, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თურმე მე მოვატყუე შემფასებელი და იმაზე მეტი თანხა გამოვიტანე ლომბარდიდან, ვიდრე მეკუთვნოდა. როდესაც ამავე ლომბარდში მუშაობდა პაატა ქობულაძის და მაია ქობულაძე, რომელსაც მიჰქონდა ჩემი ძვირფასეულობა და მეორე დღეს მოჰქონდა შესაბამისი თანხა. ძნელია ამ საქმის შეუცნობელ დეტალებზე საუბარი, რომელიც დღემდე ვერც ერთ იურისტს ვერ გაურკვევია.

ჯერ კიდევ საკასაციო საჩივარში ვუთითებდი, რომ სსკ-ის მე-20-ე მუხლისმე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სასამართლოს სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით. მაგრამ რატომღაც სასამართლოს სხდომებზე მტკიცებულებების გამოკვლევა ხდებოდა ზერელად, რაც კარგად ჩანს სასამართლოს სხდომის ოქმებში, მტკიცებულებად ჩაითვალა მხოლოდ პაატა ქობულაძის ჩვენება მისი ინტერესები სსკ-ის 122-ე მუხლის I – II - III ნაწილების იმპერატიული მოთხოვნით. 1) ნივთიერ მტკიცებულებებს ინახავს პროცესის მწარმოებელი ორგანო ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის დაკარგვასა და მისი თვისებების შეცვლას; 2) ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც არ ნადგურდება, ან მესაკუთრესა და მფლობელს არ უბრუნდება, ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით; და მესამე და მთავარი სისხლის სამართლის საქმის წარმოების პერიოდში საქართველოს ეროვნულ ბანკში უნდა ინახებოდეს ძვირფასი ლითონები, ქვები და თვლები, უცხოური ვალუტა საქართველოს ფულის ნიშნები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

ამ მუხლის არსებობა კარგად უწყოდა როგორც გამოძიებამ, სასამართლო უწყებებმა, ასევე პაატა ქობულაძემაც. მაგრამ რატომღაც კანონის დამცველებმა არ მიიჩნიეს არათუ დანაშაულად, არამედ დარღვევადაც კი, რომ ძვირფასი ნივთები ინახებოდა პაატა ქობულაძესთან და შეუძლებელი გახდა ჩემთვის ნივთების ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე და ამისათვის ძვირფასი ნივთების ეროვნულ ბანკში შენახვის თაობაზე. (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 ოქტომბრის სასამართლოს სხდომის ოქმი).

ყოფილი მოსამართლის ყოვლისშემძლეობა ამით არ დამთავრებულა, როდესაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ თვით პაატა ქობულაძეს ჩააბარა მოსამართლე თეიმურაზ დგვარელის განჩინება, რომლითაც მას დაევალა ძვირფასი ნივთების ეროვნულ ბანკში შენახვა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებისათვის, მიუხედავადა ამისა, თვითონ დამნაშავე ე.წ. "დაზარალებულმა" არ შეასრულა განჩინება და რა თქმა უნდა, არც დასჯილა. დაირღვა კიდევ ერთი მუხლი სსკ- მე 15-ე და 49-ე მუხლის მოთხოვნები, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

ყველასთვის გასაგებია, როგორც ქობულაძის, ისე მოსამართლეთა უმოქმედობის მიზანი: ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებით დამტკიცდებოდა ჩემი კუთვნილი ნივთების რეალური ღირებულება და გაერკვეოდა, მათი ღირებულება სრულიად უზრუველყოფდა თუ არა ლომბარდის მიმართ არსებულ ვალდებულებებს. აგრეთვე დღემდე ეჭვის ქვეშ დგება საკითხი ინჟინერ- ტექნოლოგმა გ. ჩირაძემ და ა. ზარნაძემ რეალურად ჩემი ნივთების შეფასება მოახდინა თუ არა, ჩემი უდანაშაულობის დამტკიცების ყველანაირი საშუალება მომისპო რეფორმირებული სასამართლოს მოსამართლეებმა.

არც ერთ ინსტანციას არ გაუთვალისწინებია სალომბარდო ხელშეკრულების პირობები. რატომღაც სამოქალაქო კოდექსის 260-ე მუხლი ერთსახად მიუთითებს, რომ ლომბარდში დაგირავება ხორციელდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებისა და ნივთის ლომბარდის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის გზით, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ მხარეთა შეთანხმებით, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ლომბარდის მოთხოვნა მოვალის მიმართ წყდება იმ შემთხვევაშიც, როცა გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა მთლიანად არ ფარავს ლომბარდის მიმართ არსებულ ვალდებულებებს.

პაატა ქობულაძემ არაფრად ჩააგდო სასამართლოს განჩინება, რეგულარულად არ ცხადდებოდა პროცესებზე და არც ნივთების წარმოდგენისთვის შეუწუხებია თავი. არც ქუთაისის მოსამართლეს მიუმართავს რაიმე ქმედითი ღონისძიებისათვის თავისივე გადაწყვეტილების შესასრულებლად.




**მინდა გავაფრთხილო ის ადამიანები, რომლებსაც ქუთაისში თამარ მეფის №54-ში მდებარე ლომბარდში აქვთ ჩაგირავებული ოქროული ან ძვირფასეულობა, ან ამავე ბინაში გახსნილი საადვოკატო ბიუროთი სარგებლობს, გახსოვდეთ: ეგ „ლომბარდი და ადვოკატურა ჩემი პატიმრობის ხარჯზეა გახსნილი ჩემსავე სახლში.**

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ჩემი ადვოკატის შუამდგომლობით დაკითხულმა საბუღალტრო ექსპერტმა კავთელიშვილმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში (საქალაქო სასამართლოში რატომღაც ვერ "მოხერხდა" მისი წარმოდგენა) ვერ ახსნა თუ საიდან გადაამრავლა გარკვეული თანხები და რა თქმა უნდა, ვერც სამართლებრივ აქტზე ვერ მიუთითა. ამის გამო საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნის გაზიარება ბრალდების მტკიცებულებად დაუშვებელია.

როდესაც ვსაუბრობ ჩემს სისხლის სამართლის საქმეში არსებულ არსებით დარღვევებზე, არ უნდა გამომრჩეს ჩემი ძვირფასი ნივთების დათვალიერება და შემოწმება მიმდინარეობდა 2007 წლის 3 მარტიდან 12 მარტის ჩათვლით, ხოლო პ. ქობულაძეს ძვირფასი ლითონები ჩააბარეს 2007 წლის 9 მარტს. კითხვა, რომელ ნივთებს ჩაუტარდა ექსპერტიზა, არ ყოფილა სასამართლოს მსჯელობის საგანი. არაერთგზის მივმართე სხვადასხვა ორგანოს და ვითხოვდი იმ 12000 დოლარის ბედის გარკვევას, რომელიც შეტანილი მქონდა პ. ქობულაძის ლომბარდში ვალის დაფარვის მიზნით. პასუხის გაცემა კი ყველას უჭირს.

როგორ ვილაპარაკო სასამართლოს სამართლიანობაზე, როდესაც ინსტანციის სასამართლო არ დაინტერესებულა იმ ძვირფასი ნივთების ქისებში ქვითრების ბედით, სადაც აღნიშნული იყო ნივთების წონა, ხარისხი, შეფასება და გასაცემი თანხის ოდენობა.

**არ გამოუკვლევიათ საკითხი, ჩემი ქმედება როგორ დაკვალიფიცირდა თაღლითობით, როცა თითოეულ ნივთს აფასებდა მათივე ექსპერტი და თანხასაც ისინი გასცემდნენ,**

მაშინ, როდესაც ამ საქმის ხელმძღვანელი პ. ქობულაძის და მაია ქობულაძე იყო, რომლებსაც ყოველთვის ძალიან მოსწონდათ ჩემი ძვირფასეულობა და მიითვისეს კიდევაც.

ამ უამრავი დარღვევის თაობაზე (თუნდაც იმაზე, რომ ქონების მოხვეჭის სურვილით დაავადებულმა ქობულაძემ როგორ გამოყარა თაღლითურად ჩემი სახლიდან ჩემი მეუღლე, ქალიშვილი და არასრულწლოვანი შვილიშვილი და 100000 დოლარად ღირებული სახლი პირველსავე აუქციონზე დაისაკუთრა თვიოთონ 32000 ლარად. არაერთ გზის მივმართე პრეზიდენტს, ჩემის ღრმა რწმენით, პასუხი მოეთხოვებოდა კანონის ყოფილ ვითომ დამცველს თავისი უკანონო ქმედებისათვის, მაგრამ აღნიშნული განცხადებები იგზავნებოდა უკან იმავე ინსტანციებში, რომელთა სახეა ბატონი პაატა ქობულაძე.

ჩემს პატიმრობას შეეწირა ჩემი საყვარელი მამა და დისშვილი, შეეწირა ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების ჯანმრთელობაც. ამდენი უკანონობით დაღლილმა მივმართე სტრასბურგის სასამართლოს, მაგრამ ბედნიერი ვიქნები თუ სამართალი პურს ჩემს ქვეყანაში ჭამს, რადგან ქობულაძე ყოველთვის გაიძახოდა ტყუილად ნუ იბრძვით, ყველგან ჩემი მეგობრები არიან და არაფერი გამოგივათო. ასეც მოხდა.

**მივმართავ საქართველოს იუსტიციის მინისტრს, საქართველოს გენერალურ პროკურორს, დაიწყოს ჩემი საქმის ხელახალი გამოძიება, რომ ქობულაძე და მისი ამფსონები სათანადოდ დაისაჯონ.**

**გულნარა ვაჩიბერაძე**

**რედაქციისგან:** სანამ წერილს გამოვაქვეყნებდით, ქალბატონმა გულნარა ვაჩიბერაძემ მისი უდანაშაულობის დამამტკიცებელი უამრავი დოკუმენტური მასალა წარმოგვიდგინა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანი, რომელსაც ერთ დროს თავად ევალებოდა მართლმსაჯულების და კანონიერების დაცვა, ამგვარ უკანონობას სჩადიოდა, ძნელი დასაჯერებელი, მაგრამ ფაქტები, სამწუხაროდ, საპირისპიროს ამტკიცებენ.


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## საქართველოს გენპროკურორს არჩილ კბილაშვილს
## საქართველოს იუსტიციის მინიტრს თეა წულუკიანს

**აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ბრძოლების მონაწილე, ბატალიონ „ავაზას“ მეთაურის, ვახტანგ გორგასლის სამივე ორდენის კავალერის, II ჯგუფის ინვალიდის, გენერალ ტრისტან წითელაშვილის მეუღლის, აფხაზეთის ომის მონაწილის, (ოჩამჩირის სამხედრო ჰოსპიტლის მიმღები და საევაკუაციო განყოფილების გამგე, ექიმი) მაიორ ნინო წითელაშვილის**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს ჩემი მეუღლე გენერალ-მაიორი ტრისტან წითელაშვილი, როგორც უსაფრთხოების დაცვის სამსახურის უფროსი, პირად შემადგენლობასთან ერთად იმყოფებოდა გორსა და ცხინვალში. იგი ამბობს, რომ რაც იქ ნახა საბრძოლო მოქმედებების დროს, ამის გამო კამათი ჰქონდა ზოგიერთ პოლიტიკურ ფიგურასთან, რისი დასაბუთებაც შეუძლია და მზადაა, ჩვენება მისცეს შესაბამის სტრუქტურებს, რომლებიც დაიწყებენ მისი საქმის წარმოებას.



იმდენად აღშფოთებული და შეძრწუნებული იყო ნანახით, როდესაც დაბრუნდა, არსად დაუმალავს თავისი განწყობა, როგორც პროფესიონალ სამხედროს, არაერთ ბრძოლაგამოვლილ ტანკისტს.

2008 წლის 26 აგვისტოს, ოჯახიდან, საშინაო სამოსით გაიყვანეს ჩემი მეუღლე ტრისტან წითელაშვილი, რომელიც, როგორც დაკავებული, 28 აგვისტოსღა გაატარეს რეგისტრაციაში. ორი დღე, ფაქტობრივად, ადამიანი დაკავებული არ იყო, თუმცა რეალობა სხვაგვარია, ორი დღის განმავლობაში მასზე ხორციელდებოდა ზეწოლა, რათა მიეღო ის პირობები, რასაც უყენებდნენ ე.წ მოდულის შენობაში.

ჩვენ გვყავს ორი შვილი, უფროსი — მარიამი, რომელიც ხსენებულ დროს 13 წლის იყო და ვაჟი გიორგი, II ჯგუფის ინვალიდი — 9 წლის. ავტომატებით შეიარაღებულმა ოცდაათამდე პირმა, რომელთაგან ერთს „ბატონო დაჩით“ (ახლაც არ ვიცით მისი ვინაობა) მიმართავდნენ და „კუდი-ს“ თამანშრომლები იყვნენ, ვითომ გასასაუბრებლად გაიყვანეს სახლიდან. მე ამ დროს სამსახურში ვიყავი ( თავდაცვის სამინისტრო, ს/ნ 06328 სამედიცინო პუნქტის უფროსი). მოდულის შენობაში უკანა კარიდან შეიყვანეს და რეგისტრაციაში არ გაატარეს.

როგორც სასამართლოზე ითქვა, აიყვანეს მე-3 (ან მე-4) სართულზე ვინმე ლევან ტაბიძესთან. მისი პირველი შეკითხვა იყო, როდის იყო ბოლოს მოსკოვში. ჩემი მეუღლე საერთოდ არ არის მოსკოვში ნამყოფი და ასეც უპასუხა. რაც შეეხება უკრაინას, კიევის გენშტაბის აკადემია აქვს დამთავრებული და იმ დროსაც, როცა დააკავეს, ავადმყოფი შვილი უკრაინაში უნდა წაეყვანა ჯანმრთელობის გაუარესების გამო და ასეც უპასუხა. ლევანმა დაუწყო კითხვების დასმა, მაგალითად, იმ რუსი ოფიცრების ვინაობა, რომლებიც აკადემიაში ასწავლიდნენ; რა ადგილზე იმყოფებოდა გორში და ცხინვალში 2008 წლის 7-8 აგვისტოს; თუ დაინახა რაიმე განსაკუთრებული; ვინ შეიყვანა ტანკები გორის ბაზაზე და მსგავსი. ტრისტანს სამსახურებრივად ევალებოდა ბაზაზე ყოფნა, რადგან უსაფრთხოების დაცვის სამსახურის უფროსი იყო. ამის შემდეგ დაინტერესდნენ, როდის ნახა ემზარ კვიციანი ბოლოს. (2000 წლის შემდეგ არ ჰყავდა ნანახი.) აბა, ვისთან ერთად აპირებდი სახელმწიფო გადატრიალებასო და შეუყვანეს ხელქვეითი, გორის სამხედრო-სარემონტო ბაზის უსაფრთხოების უფროსი ტარიელ თოდაძე, რომელსაც სისხლიანი ჰქონდა სახე და უთხრეს, გაიმეორე, რა დავალებას გაძლევდა წითელაშვილიო. მისი თქმით, თურმე ტრისტანი გეგმავდა ხელისუფლებაზე განაწყენებული სამხედროების შეკრებას და თბილისზე წამოსვლას ხელისუფლების დასამხობად. ტრისტანმა მათივე თანდასწრებით რომ უყვირა თოდაძეს თქვი სიმართლეო, მას სინდისმა გადასძალა და უთხრა: — რა მექნა, მთელი ღამე მცემდნენ რომ ის მეთქვა, რასაც დამავალებდნენო. რამდენიმე წუთში ორნი შევიდნენ, რაღაც ჩასჩურჩულეს ტაბიძეს და მან გაიყვანა ტრისტანი გენერალ შალვა ჟღენტთან, რომელმაც იცნო, ხელი ჩამოართვა, რაღაც აინტერესებთ ზემდგომებს, დაგვიჯერე და ყველაფერი კარგად იქნება, 2-3 საათი გვჭირდებიო. სახლშიც კი დარეკა, ცოტა ხანში მოვალო და ჩვენს სახლში დატოვებულმა ავტომატიანებმა მომილოცეს კიდეც, ბედი გქონიათო. ტრისტანი გულადი ცერცვაძემ გაიყვანა თავის კაბინეტში, შენგან რაღაც სჭირდებათ და შენ თვითონ გადაწყვიტეო. ტაბიძის თქმით, თუ არ გაჯიუტდებოდა და გვერდზე დაუდგებოდა, ყველაფერი კარგად იქნებოდა და გააყოლა ორ ახალგაზრდას, რომლებმაც უთხრეს, რა უნდა „ეღიარებინა“. ვითომ, გორში ჰყავდა გამზადებული მძიმე ტექნიკა და დაახლოებით, 1500 მებრძოლი, ხელისუფლებაზე განაწყენებული სამხედროები; ასევე, ვითომ ელოდებოდა კვიციანს 2000 მებრძოლით, თბილისში მოკავშირეები იყვნენ ორი ცნობილი პოლიტიკური პირი (მე ვფიქრობ, მათ იციან ამის შესახებ) და ერთ-ერთი პარტია, ხოლო ფინანსური მხარდაჭერა სოსო უღრელიძისგან ჰქონდათ. ტრისტანმა უარი თქვა გარიგებაზე და ისევ ტაბიძეს მიუყვანეს ტყუილად „ვეჩალიჩებით“, ამისგან არაფერი არ გამოვაო. ტაბიძემ რომ გინება დაუწყო, ამას მოჰყვა მათ შორის ფიზიკური დაპირისპირება...

მანამდე ორმა შეიარაღებულმა პირმა გაიყვანა ვაჟა-ფშაველას რომელიღაც კვარტალში მშენებარე ობიექტთან. ტრისტანი მანქანიდან არ გადმოდიოდა, ეჭვი ჰქონდა, რომ მოსაკლავად მიიყვანეს. ხმაურზე ქალმა ატეხა კივილი და მობილურზე დარეკვის შემდეგ მოდულში დააბრუნეს, ისევ უკანა შესასვლელიდან. ტაბიძემ უთხრა, რადგან არ გვეხმარები და ხელისუფლების გვერდზე არ გინდა დგომა, ციხეში გაგიშვებო. ტაბიძის შემდეგ კიდევ სხვები ცდილობდნენ მის დაყოლიებას, მაგრამ ამაოდ.

27 აგვისტოს, დაახლოებით, ღამის 2 საათზე ისევ გაიყვანეს მოდულის შენობის უკანა გასასვლელიდან და ეზოში შეხვდა კობა უღრელიძეს, რომელსაც თავი ჰქონდა შებინტული, ტაბიძემ გამიტეხაო. ორივე ჩასვეს მანქანაში, რომელსაც უკან კიდევ რამდენიმე მანქანა გაჰყვა, სადღაც ჩიხში შევიდნენ, გადმოსვეს ორივე მანქანიდან, ვითომ გაუშვეს და უცბად დააცხრნენ „სოდ-ის“ ქურთუკიანები, დააგდეს მიწაზე, დაადეს ხელბორკილები, გადაუღეს ვიდეო, თვითონვე რაც ჩაუდეს ჯიბეში, უკანვე ამოუღეს ნარკოტიკების შეძენა-მიღებისთვის დაკავებულები ხართო, (ტრისტანს ორნახევარი აბი, კობას — სამნახევარი) ჩასვეს ცალ-ცალკე მანქანებში, უკვე წინა მხრიდან შეიყვანეს მოდულის შენობაში, გაატარეს რეგისტრაციაში და აიყვანეს მეორე სართულზე. შინიდან გაიყვანა „კუდ-მა“ და ორი დღე მოდულში დაკავებული პირი ნარკოტიკებით ჯიბეში დააკავა „სოდ-მა“... იქ რა მოხდა, ზედმიწევნით არ ვიცი, მაგრამ გასაგებია — ტრისტანმა წყალი მოითხოვა. გრაფინიდან არ დაალევინეს, გარედან შეუტანეს „ნაბეღლავის“ ბოთლით და თვითონ დაალევინეს. იმ „წყლის“ დალევიდან 10-15 წუთში ტრისტანს ცივმა ოფლმა დაასხა, სახსრების ტეხვის შეგრძნებას, გულისრევებს და ქოშინს ისედაც დასუსტებულმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო, სიკვდილის პირას მიიყვანეს, მაგრამ ნარკოლოგს უნდა დაედასტურებინა, რომ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, ამიტომ ნარკოლოგიურში მიარბენინებდნენ. იქ დაუდგინეს, რომ „სუბუტექსის“ ზემოქმედების ქვეშ იყო. იმდენად ცუდად გაუხდათ გზაში, რომ მანქანაში მყოფებმა სამი ყავისფერი აბი დაალევინეს.

ჩემი მეუღლე ტრისტან წითელაშვილი, რომელიც საომარი მოქმედებების დროს ცხინვალსა და აფხაზეთში, გულ-მკერდის არეში დაჭრილია ცეცხლსასროლი იარაღით და დაზიანებული აქვს მარცხენა მხარე, დაავადებულია ფილტვის ტუბერკულოზით, ქრონიკული ბრონქიტის II სტადიით და აქვს ფილტვ-გულის უკმარისობა. ასეთი შერყეული ჯანმრთელობის მქონე ადამიანს, რა თქმა უნდა, არც ისაა ცნობილი, რა „წყალი“ დაალევინეს და არც ის, რა იყო ის ყავისფერი აბები, ფაქტი ისაა, რომ საკანში და თან მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოვიდა გონზე და გადაყვანილი იქნა გლდანის მე-8 საპყრობილეში.

ზემოთქმულის გარდა არის ისეთი მნიშვნელოვანი თემები, რის საჯაროდ გამოტანასაც, სახელმწიფოს უშიშროებიდან გამომდინარე, არ თვლის მიზანშეწონილად და მხოლოდ მიუკერძოებელ სასამართლოზე იტყვის.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩემს მეუღლეს, გენერალ ტრისტან წითელაშვილს მისჯილი აქვს 7 წელი და 6 თვე. მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეასრულა უკანონო მოთხოვნები და არ გაურიგდა არც ერთ ბინძურ საქმეში წინა ხელისუფლებას, ამჟამად დაუმსახურებელ სასჯელს იხდის თბილისის მე-9 საპყრობილეში.

საქმე სტრასბურგში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსასამართლოზეა წარდგენილი (საქმე №56377/09, 22.10.2009 წ.)

**გთხოვთ ხელახლა გამოიძიოთ ჩემი მეუღლის საქმე, რომელიც 2008 წლის 28 აგვისტოდან (სინამდვილეში, 26 აგვისტოდან) უკანონოდ არის დაკავებული ნარკოტიკების მოხმარება-შენახვის ბრალდებით 260 მუხლის II ნაწილის ა პუნქტით.**

პატივისცემით, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ექიმი,
მაიორი **ნინო წითელაშვილი**




## xalxis azriT

პალიკო, დაგაწიწკნი თმებს! უსმინე უსუფაშვილს, ნუ იხედები აქეთ-იქით... ყველაფერი, მეგონა, ნანახი მქონდა, თურმე არა!

მოჭრილი ფეხი რომ “ტკივათ”, ეგეთივე ფანტომური მოვლენაა წიკლაური, გოკაშვილი, ბარამიძე და ყველა სხვა დანარჩენი ნაცი ამ პარლამენტში... დრო ყველაფრის მკურნალია, დრო დააბრუნებს რეალობის შეგრძნებას...

თუ იცით ლოცვა, საერთოდ, ილოცეთ, რომ სასამართლომდე მიაღწიოთ, თქვენი ჩიკატილო დედა!

ოე, “უმცირესობა”, დაეწყვეთ ახლა წეროებივით და გასწით სენსორებიანი საპირფარეშოსკენ, აყროლდა სააქტო დარბაზი! :))))))))))))))

გიორგი ბარამიძე, შენ ლაპარაკობ, ბიჭო, ადამიანის უფლებებზე? შენ სდებ ბრალს სხვებს სახელმწიფოს წინააღმდეგ ქნედებებში?! შენ იჩემებ პატრიოტობას?! შენნაირი უგვანო ტიპების ხელში რომ იყო ქვეყანა, იმიტომაც გვაქვს კარგად საქმე... მკიდია შენი ხინკალ-ნჭამი მსოფლიო ბანკის და ევროსაბჭოს აზრი იმაზე, თუ როგორი დაცულია ქვეყანაში ადამიანის უფლებები, მკიდია, საერთოდ, თქვენი რეიტინგები, თქვენც მკიდიხარ (და ეს დიდი პატივია თქვენთვის) და თქვენი პიარშიკებიც, რომლებსაც ჩემი ჯიბიდან უხდიდით მაყუთს!

სიმართლე სხვაა და ამ სიმართლეს მალე გაიგებს ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა! აი შენ კი ილოცე!!!! (თუ გიშველის ისიც..

როგორ გააბრაზეს დღეს ხალხი, ეგენი აზრზე არ არიან. სანამ ციხეში არ ჩალპებით, არ მოვისვენებთ, თქვე არაკაცებო.

რას ეკამათებიან ამ სირებს ვერ გავიგე და რამდენს ალაპარაკებან მკვლელებს, სადისტებს და გამყალბებს. ეს ქართული ოცნების ხალხიც მაგარი ტიპები არიან. დაამტკიცონ სასწრაფოდ მინისტრთა კაბინეტი და დაიწყონ გამოძიებები ყველა საქმეზე. გავკარი მაგათ გაცნობითი ხასიათის შეხვედრებს. ნერვებს უშლიან კიდევ ხალხს. ნაციონალური მოძრაობა ციხეში ! სასწრაფოდ !

გაიტანეთ ეს დედა მ...ლი ბარამიძე, გავგიჟდი!! ფული გააკეთე რუსეთშიო, თვითონ რომ საქართველოში ჩვენი ფულები ჭამეს და ხალხი შიმშილში და გაჭირვებაში ამყოფეს, მაგაზე რატომ არაფერს ამბობს? პოლიტიკური კლიმაქსი აქვს მაგას, მგონი :)) ჭიქა მიაწოდეთ ვინმემ, თორემ ველარ ამთავრებს სადღეგრძელოს ეს ჩემის ვართაპეტიანი..

ხაჩიძეს უნდოდა ეჩვენებინა, რომ ვითომ კომპეტენტურია გარემოს დაცვის საკითხებში და ჩაისვარა. მედაირე ესა.

წყალტუბოდან ქუთაისში მომავალო კააააკოოოოო....
შენთან ერთი ინტიმური კითხვა მააალოოოო..
ცერა თითით მოისინჯე,
შიგ ხომ არა გააააქო.... :))))))

ქუჩაში გავალ მე და ბევრი სხვაც და იქ ვიდგებით, სანამ ესენი სასამართლოს წინაშე არ წარსდგებიან, ჯერ კიდევ ველოდები, რა მოხდება. არავის ეგონოს, ხალხი გაჩუმდება და ყველაფერს დაივიწყებს.



**მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ ციხის საშინელი კადრები იხილა, მე-8 საპყრობილის ერთ-ერთი თანამშრომელი ლადო ბედუკაძე მთელმა საქართველომ გაიცნო, როგორც ამ კადრებთან დაკავშირებული პირი.**

**რამდენიმე დღის წინ ლადო ბედუკაძე დაგვიკავშირდა და მიმართვა გადმოგვცა. მისი სიტყვებით, ეს არის აღიარებითი ჩვენება, რომელიც მოსალოდნელ სასამართლოზე უნდა წარადგინოს.**

# lado bedukaZis aRiarebiTi Cveneba

პატივცემულო საზოგადოებავ, ჩემი მისამართით ბოლო ხანებში უამრავი ჭორი და ტყუილ-მართალი ერთმანეთში აირია. ზოგს გმირად მივაჩნივარ, ზოგიერთს – მწამებლად და ჯალათად, არადა, არც ერთი ვარ და არც მეორე, მე ვარ საქართველოს მოქალაქე, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, იუსტიციის მაიორი, ქვეყნის მოყვარული ლადო ბედუკაძე და იმ გაუგებრობაში გასარკვევად, რომელსაც ბოლო თვეების განმავლობაში ჰქონდა ადგილი და მთავარ მოქმედ გმირად მე ვიყავი წარმოდგენილი, გთავაზობთ ჩემს აღიარებით ჩვენებას, გნებავთ, აღსარება დაარქვით, იხილეთ ფაქტები და დასკვნები თავად გამოიტანეთ:

2005 წლის დეკემბერში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ ბაჩო ახალაია დაინიშნა და ამ დროიდან იწყება განსაკუთრებით სასტიკი მოპყრობა პატიმრებისადმი. ახალაიამ მოიყვანა ბანდა – ონიანი, ბუცხრიკიძე და სხვები, რომლებიც გადაჰყავდა სისტემიდან სისტემაში და ერთად ახორციელებდნენ მკაცრ ზეწოლებს პატიმრებზე. ზეწოლა, ძირითადად, მიმდინარეობდა იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებზე – კანონიერ ქურდებზე და პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებზე. მათზე განსაკუთრებული მოპყრობა იყო, ერთმანეთს უნაცვლებდნენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტერორს. არადა, ძალიან ბევრი საქმე სპეციალურად იყო შეკერილ-შეთითხნილი და ამას თავიდან უნდა გამოძიება და გადახედვა. განსაკუთრებით, გახმაურებულ საქმეებს უნდა მიექცეს ყურადღება. მაგალითად, ტერაქტების საქმეს („კოჭოიას“ და ა.შ.) ყინწვისის საქმეს, 26 მაისის, და ა.შ. ხელახალი გამოძიებებია ასეთ საქმეებზე ჩასატარებელი.

სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის თითოეული დღე დანაშაულებრივი იყო, მე ამას „ვარდების რევოლუციიდან“ ძალიან მალე მივხვდი და მსურდა ჩემი წვლილი შემეტანა სიტუაციის გამოსწორებაში. თუმცა თანამდებობრივი მდგომარეობა ხელს არ მიწყობდა, გარდამტეხი როლი შემესრულებინა სისტემისთვის ადამიანური სახის დასაბრუნებლად.

მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მუხაძე მოვიდა სისტემაში, შემოიტანა წესი – ვიდეოკამერით გადაგველო პატიმრების წამების კადრები. იგი დაახლოებული პირი იყო ახალაიასთან და დღეს ერთად არიან საქართველოდან გაქცეული.

2008 წელს, როცა რუსთავის მე-6 საპყრობილეში ვმუშაობდი, იქაც ილებდნენ ვიდეოკამერებით პატიმართა საპყრობილეში შემოყვანის ფაქტებს. დაახლოებით 700 პატიმარი შემოიყვანეს ციხის ბუნტის შემდეგ, ყველა გაატარეს ე.წ. კორიდორში, აქეთ-იქიდან იდგნენ ხელკეტიანი სპეცნაზელები აგინებინებდნენ ქურდებს, ყველას ურტყამდნენ, თან იწერდნენ ქურდებისადმი შეგინებას, რადგან ბევრი მათგანი ე.წ. მაყურებელი იყო. ეს ნიშნავდა, რომ ისინი ქურდულ იერარქიაში წინ ვეღარ წაიწევდნენ და შემდგომ ამ ჩანაწერებს გამოიყენებდნენ მათი კომპრომეტირებისთვის.

მე მუხაძის ერთ-ერთი თანაშემწე ვიყავი. ერთ დღეს დამიძახა, მომცა ვიდეოკამერა და მითხრა: გადაიღებ წამების მომენტებს, როგორც კომპრომატებს, როგორ „ვაფუჭებთ“ ამათო.

ძალიან მიჭირდა სასტიკი წამების კადრების გადაღება და ყველაფერი ამის ყურება, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფრისთვის ხაზი უნდა გადამესვა და სახლში წავსულიყავი.

საქმე ისაა, რომ სისტემის ვერც ერთი თანამშრომელი ვერ იტყვის, რომ არ იცოდა, რა ხდებოდა ციხეებში და ვერც ერთი ვერ დაიტრაბახებს, რომ პატიმრებისთვის ხელი არ დაურტყამს, მაგრამ დანაშაული ისაა, უკანონობას, რომ ჩადიხარ აწამებ პატიმარს დირექტორის სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე...

ყველას ახსოვს ენკავედეს წამების ჯალათური მეთოდები. მინდა იცოდეს ყველამ, რომ, ფაქტობრივად, ერთი ერთზე ხორციელდებოდა ყველაფერი ჩვენს ციხეებში, რომელიც გარედან ამერიკული პიარის ელემენტებით იყო შეფუთული შელამაზებული შენობები გარედან და შიგნიდან სისხლის წვიმა და საშინელი ჯოჯოხეთი...

ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ იმ დონემდე მივიდოდი, იმ ჩანაწერებს გავამჟღავნებდი, სადაც ჩემი ხმა ისმოდა და საკუთარ თავს გავუწევდი დისკრედიტაციას, მაგრამ მე რომ არაფერი მეთქვა, სხვანაირად არც მენდობოდნენ, ეს უნდა მეთქვა. მაგრამ ჰკითხეთ ნებისმიერ პატიმარს და გეტყვიან, რას ვაკეთებდი მე იქ...

თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, ვარ თუ არა ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი, დაუსვან კითხვა ინაშვილს – რისთვის დასჭირდათ მაშინ ჩემი გადაბირება, რატომ მენდნენ, რატომ მომანდეს ამხელა საქმე?!

ვინაა ფსიქიურად შეშლილი, ამას გამოძიება და სპეციალისტები დაადგენენ, რომლის ჩატარებასაც კატეგორიულად მოვითხოვ. ფირის გადმოტანა, მისი გავრცელება და ა.შ. რომელიც სპექტაკლის სახით დაიდგა, ამაზე გამოძიებაა ჩასატარებელი.



ციხიდან სიცოცხლის რისკის ფასად გამომქონდა ფირები. საბოლოო ჯამში ორი 45 წთ-იანი კასეტა გამოვიტანე, სადაც წელიწადნახევრის განმავლობაში გადაღებული უამრავი წამების ფაქტი იყო დაფიქსირებული.

მე ის ფირები გამოვიტანე, რომელიც ჩემი ხელით იყო გადაღებული. წამების კადრებს სხვებიც იღებდნენ, გაცილებით სასტიკ, გაუგონარ და არაადამიანურ წამების ფაქტებს, რომელზეც მე ხელი არ მიმიწვდებოდა.

კალმახელიძე საერთოდ ვერ ერეოდა სასჯელაღსრულების სისტემის მუშაობაში. დავით ჭაკუა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე გაგა მკურნალიძე უშუალოდ იღებდნენ ამ საქმეებში მონაწილეობას. გადაღებული კადრები მიჰქონდა მუხაძეს, აჩვენებდა ახალაიას და არ გამოვრიცხავ, მიხეილ სააკაშვილიც ნახულობდა ამას.

პატიმარი სრულიად უუფლებო ყო, წამლის მოთხოვნის უფლებაც კი არ ჰქონდა. სანამ გული არ წაუვიდოდა, მანამდე არ აქცევდნენ ყურადღებას. ამიტომ იყო ამდენი სიკვდილიანობის ფაქტი. ეს ის გარდაცვლილი პატიმრებია, რომელთა გადაყვანაც ვეღარ მოასწრეს საავადმყოფოებში. მე-8 საპყრობილის შიგნით არის მე-18 საპყრობილე, ორივეს ერთი გასასვლელ-შემოსასვლელი აქვს, მე ვაკონტროლებდი ამ შესასვლელს დამერწმუნეთ კვირაში 5-6 პატიმარი მიცვალებული გაჰყავდათ. ახლა ამბობენ 140 პატიმარია მკვდარიო. მე ვაცხადებ, ეს ციფრი მინიმუმ ორზე უნდა გამრავლდეს. ციხეებში სპეციალურად ისეთი კადრები იყო შერჩეული, ადამიანი რომ არ ებრალებოდა. სამუშაოდ რომ ღებულობდნენ, პირველს იმას ეკითხებოდნენ: დაგვიდგები თუ არა გვერდით და დაარტყამ თუ არა პატიმარსო. პატიმრის ცემა გვერდით დგომას ნიშნავდა. მწამებელი ჯგუფი ცალკე ჰყავდათ. მე-8 საპყრობილეში, დაახლოებით 300 კაცი მუშაობდა და 30 კაცი ჰყავდათ „სანდო“, მათ აკეთებინებდნენ ყოველგვარ ბინძურ საქმეს და ამ 30 კაცს არავითარი ზედმეტი ანაზღაურება არ ჰქონიათ, საკუთარი ნებით აწამებდნენ პატიმრებს და ეს თანდათან მოთხოვნილებაში გადაუვიდათ.

რაც შემეხება მე, ვერავინ დამადებს ხელს და ვერ იტყვის, რომ მე პატიმრებს სასტიკად ვეპყრობოდი. პირიქით, ჩამოვივლიდი ხოლმე და პრობლემებს გამოვკითხავდი. დავამშვიდებდი პატიმრებს, და უცებ გამოვიდოდა სადამსჯელო რაზმი რეჟიმის უფროსის ფაცაციას მეთაურობით და იწყებოდა ლეწვა-მტვრევა. დამერწმუნეთ, ჩემს ადგილას მყოფი ვერავინ მოიქცეოდა იქ სხვანაირად.

მე ხელთ მაქვს ახსნა-განმარტებითი ბარათები მკურნალიძის და სხვა თანამდებობის პირების, რომელიც მისცეს გამოძიებას, სადაც წერია, რომ ისინი ამას აკეთებდნენ პატიმრებისთვის რეჟიმის შეგუების მიზნით. ისინი აძლევდნენ დავალებებს თანამშრომლებს ცემის და წამების შესახებ და მიზეზი იყო რეჟიმთან შეგუება. ლოზუნგიც ჰქონდათ დეპარტამენტში — „მიზანი ამართლებს საშუალებასო“. ყველა მიზანი არ შეიძლება საშუალებამ გაამართლოს. ახალაიას ქება-დიდების დამსახურებისთვის ადამიანების წამება არაა ნორმალური საქციელი. ესენი იყვნენ რობოტად ქცეული ადამიანები, რომლებსაც ორ დავალებას ერთად ვერ მისცემდი კომპიუტერივით გაეჭედებოდათ ტვინი. მასეთებზე პატიმრები ამბობდნენ „დალნი“ არ აქვსო, ისინი შორს ვერ იყურებოდნენ.

ვერც ერთი პატიმარი ვერ იტყვის, რომ მე არ ვახსოვარ და არ მილაპარაკია მასთან. ვეუბნებოდი, ასეა, ბიჭებო, ცხოვრება კიბეა, ზოგი — ადის, ზოგი ჩადის, შეიძლება ხვალ მე აღმოვჩნდე თქვენს ადგილას, ამიტომ რაც შემიძლია ჩემი იმედი გქონდეთ-მეთქი. სამხედრო ფორმა მეცვა ყოველთვის და ჰკითხეთ, ვისაც გინდათ, თუ მიუყენებია სამხედროფორმიანს მათთვის რაიმე სახის შეურაცხყოფა. ვეუბნებოდი, თუ ელემენტარულ სიკეთეს გაგიკეთებთ, რომ გახვალთ აქედან, ხელს ჩამომართმევთ და კაი გამარჯობას მეტყვით, მეტი თქვენგან არაფერი არ მჭირდება-მეთქი.

ამიტომ მწყდება გული, დღის სინათლეზე ჩემს გამოტანილ დანაშაულებს ისევ ჩემს წინააღმდეგ რომ იყენებენ..

ახლა უფრო კონკრეტულად:

გიორგი ლომია ციხეში გავიცანი. ის მსჯავრდებული იყო. როგორც წესი, დასჯის თვალსაზრისით, პატიმრები ჩაჰყავდათ კარანტინში. კარანტინში შესახლებას მე ვაკონტროლებდი. ჩამოიყვანეს ლომია, პატიმარს სცემაო. მე გავესაუბრე მას. უჭკუო კაცი არ აღმოჩნდა, მაგრამ ეს ჭკუა საითკენ აქვს მიმართული, ეს სხვა ამბავია. მოკლედ, ლომიამ მითხრა, რომ ნინო ბურჯანაძის ყოფილი პიარ-მენეჯერი იყო. სასჯელი რომ მოიხადა, გარეთაც ვხვდებოდი მას და ძალიან კარგად მიცნობს, მშვენივრად


გიორგი ფოფხაძე

იცის, რას ვაკეთებდი ციხეში. ლომიას ოთხმა მეგობარმა ყოფილმა პატიმრებმა შესანიშნავად იციან ჩემს შესახებ და ველოდები, რომ ეს ადამიანები იტყვიან სიმართლეს, ყველაფერს ისე, როგორც იყო — ვიყავი თუ არა მე ჯალათი და ვაწამებდი თუ არა ადამიანებს.

მერე ფირები რომ გამოვიტანე, ვიცოდი რა, რომ გარკვეულ პოლიტიკურ წრეებთან იყო დაახლოებული, მივედი ლომიასთან და ვუთხარი: ფირები მაქვს და თუ შეგიძლია დამეხმარო, ესენი როგორმე საზღვარგარეთ რომ გავიტანო-მეთქი. მოვიფიქრებო, მითხრა და მერე რამდენიმე დღეში რომ მოვიდა ჩემთან 2012 წლის აპრილის ბოლო — მაისის დასაწყისი იქნებოდა. მე პირობა მქონდა წაყენებული ლომიასთვის — არავითარ შემთხვევაში არ გადავცემდი კადრებს რუსულ სპეცსამსახურებს და კრიმინალურ დაჯგუფებას. ლომიამ მითხრა: მე ვერ დაგისახელებ იმ ძალას, რომელსაც დავუკავშირდი, მაგრამ ამ ფირებს საიმედო ხელს გადავცემო. მე ვთხოვე, საზღვარგარეთ გავალ და მომეცი პირობა, რომ ჩემ ცოლ-შვილს უვნებლად ჩამომიყვან-მეთქი. გიორგიმ ეს პირობა ვერ შეასრულა, ჩემი ოჯახი კვლავ მოშორებულია ჩემგან და არც ისე სახარბიელო პირობებში იმყოფება სტამბულში.

სადაც ახლა მე ვიმყოფები, აქ გიორგი ლომიას რჩევით ვარ. მან მითხრა: იქ არის ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე, რომელიც შენს გვერდით იქნებაო. ფოფხაძემ გამაცნო მერაბ ბლადაძე. მაშინ მეგონა, ეს გაცნობა შემთხვევითი იყო, მაგრამ თანდათან ვრწმუნდები, რომ ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება.

ბინის პრობლემა მქონდა ბრიუსელში და ფოფხაძემ ბლადაძესთან მიმიყვანა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გახდა ჩემთვის ცნობილი, „ობიექტივის“ თანამშრომელი ყოფილა.

ინაშვილი აცხადებს, რომ მას ჩაუტარებია ჟურნალისტური გამოძიება თითქოს მე გამომტეხა გიორგი ლომიამ იმაში, რომ მე ვფლობდი კასეტებს და ინაშვილს გადაუბირებივარ ლომიას ხელით. ეს ამაზრზენია.

წელიწადნახევრის წინ „ასავალ-დასავალში“ ზაზა დავითაია, რომელიც მე-6 საპყრობილეში გავიცანი, ჩემი მიწოდებული ინფორმაციებით ბეჭდავდა წერილებს. ერთი ამბავი იყო მაშინ ატეხილი — ვინ აწვდიდა ინფორმაციებს, ვერაფრით გაიგეს. ეს რომ გაეგოთ... (პაუზა.) ძალიან ცუდად დამთავრდებოდა ჩემთვის.

წიგნს წერენ ახლა თურმე. ერთი თავი ფოფხაძემ დაწეროს, ერთ ბლადაძემ, ერთი თავი ადვოკატს დააწერინონ, ამრანს, რომელიც გაუპატიურებაზე და ქურდობაზე არის ნასამართლევი. ამრანი ფოფხაძემ მომიყვანა, როგორც ადვოკატი, მისი მეშვეობით უნდა მომხდარიყო ფირების დემონსტრირება. ერთი შეხვედრის გარდა ჩვენ ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრა მე და გიორგი ფოფხაძეს არ გვქონია. არავითარი დავით თარხან-მოურავის პირადი კონტაქტები, ლობისტები, სისულელეები ბოდვები და ა.შ. სულ ტყუილია ეს. ფოფხაძის პირადი კონტაქტებით შედგა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა დამცველებთან — ურუმოვასთან და მარტიროსიანთან.

ჩიპები საფრანგეთში მე არ ჩამიტანია, რადგან ლომიამ მითხრა, საზღვარზე გადატანა საშიში იქნებაო. თუმცა არც არავის გავუჩხრეკივარ. მაშინ გამოჩნდა ეჭვი: ლომია პირადად მერაბიშვილთან ხომ არ თანამშრომლობს-მეთქი.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ვინმესთვის, მერაბიშვილს, როგორც ეტყობა, სურდა ეს ფირები საზღვარგარეთ გასულიყო.


მერაბ ბლადაძე

არჩევნები ახლოვდებოდა. მე დამაკავშირეს თითქოს ირაკლი ღარიბაშვილთან, ვითომ ჩვენ მოგვილაპარაკია, მოწმე ფურცხვანიძის ჩვენებით, რომ უნდა გადამეღო და გამომეტანა ეს კადრები გარეთ. ეს იყო გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა დაეკავებინათ ირაკლი ღარიბაშვილი, ჩირქს და ლაქას მოსცხებდნენ „ქართულ ოცნებას“ და დისკრედიტებულ კოალიციად შეირაცხებოდა იგი არჩევნების წინ. მერე ჩემს ჩვენებას მიუმატებდნენ, რომელსაც დაჭერის შემდეგ დამაწერინებდნენ, ან ოჯახზე ზეწოლის მუქარით, თითქოს თამაზაშვილმა დამიკვეთა ვითომ პატიმრების წამება, ამის გადაღება და ა.შ.

ისევ ამრანს და ფოფხაძეს რომ დავუბრუნდეთ, ისინი ფრანგულად ლაპარაკობდნენ და დღესაც ეჭვი მეპარება, რას ელაპარაკებოდა მას ფოფხაძე. ზუსტად ვიცი, გიორგი ფოფხაძე ჩემზე ცუდს ვერ იტყვის, თუმცა უნდა აღვნიშნო, ქართული თეატრი და კინო მისი სახით უნიჭიერეს მსახიობს კარგავს.

მე მას მოვუწოდებ — გამოვიდეს და თქვას, რომ იცოდა „ობიექტივი“ თავიდანვე ჩართული რომ იყო ამ საქმეში და მე ამას მიმალავდნენ, რადგან სურდათ გამოვეყენებინე პოლიტიკური მოსაზრებებით.

„ობიექტივი“, ლომია არიან მერაბიშვილის მოკავშირეები. რომლებიც ბოლოს გაშიფრა თვითონ ვანო მერაბიშვილმა, როგორც მოკავშირეები, გაიმეტა ესენი...

ინაშვილი ხან ამბობს, უცნობი დამიკავშირდაო, ხან ვანოს თანამშრომელიო, ხან ბედუკაძეო, ხან ამბობს, მოვიტყუეო, სად ამბობს ტყუილს და მართალს? აგენტები მყავდა პოლიციაში და ჯერ არ დავასახელებო, ჯღარკავას („ობიექტივის“ ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა — რედ.) ძმის ჩართვაც უნდოდა მაგ საქმეში, თითქოს ვანოს აგენტი ის იყო, მაგრამ...

ერთი სიტყვით, მაშინ მე უკვე წამოსული ვიყავი სამსახურიდან. განცხადება რომ დავწერე გათავისუფლებაზე და ჯანმრთელობის მდგომარეობა მოვიმიზეზე, ხელი მაშინვე მომიწერეს. თუ ყველაფერი მერაბიშვილთან არ იყო შეთანხმებული, ასე მარტივად არავინ არ გამიშვებდა სისტემიდან. ასეთი შემთხვევები მართლაც ათასში ერთია...

მაგათ მაშინ აწყობდათ, რომ მე საზღვარგარეთ წავსულიყავი და ცოცხალი და უვნებელი ვყოფილიყავი, როგორც ბიოლოგიის გაკვეთილზე მაიმუნის ჩონჩხი თვალსაჩინოებისთვის. ახლა, შეიძლება, კიდევაც უნდათ ჩემი მოკვლა, შეიძლება...

მოკლედ, აქ, როგორც კურიერმა, ინაშვილმა, რომლის არსებობა საერთოდ არ ვიცოდი, ჩამოიტანა კასეტა. ახლა გახდა ინაშვილი გმირი. აგენტს მე მეძახის თურმე. მე აგენტი კი არა პოლიციის უფროსი ლეიტენანტი და იუსტიციის მაიორი ვარ, ინაშვილი არის ვანოს აგენტი. სარჩელი შევიტანეო, გვაჩვენოს სარჩელი, ან ექსპერტიზა რომ ჩაუტარა კასეტებს, ის დასკვნა მაინც გამოამჟღავნოს. ეს ადამიანი ყველა სიტყვას იტყუება ყველაფერს აკეთებს საკუთარი პიარისთვის და თავის დროზე რასაც აკეთებდა, არჩევნების ჩასაშლელად აკეთებდა. ჰქონდათ გეგმა, ის ვერ განახორციელეს ისე, როგორც ჩაფიქრებული იყო, ცვალეს ეს გეგმები, ცვალეს და მივიდნენ ალოგიკურ შედეგებამდე. როგორც ეტყობა, გეგმა ასეთი იყო — უნდა მოეხდინათ „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია დადანაშაულებული ვიქნებოდით მე, თამაზ თამაზაშვილი, ელიზბარაშვილი, მაგრამ დღეს ის ხალხია დაკავებული, ვინც მე გავაცანი გიორგი ლომიას. თვითონ ლომია დღეს თავისუფლად დადის. არავის უჩნდება კითხვა — რატომ? ფარულავა და აკობია თუ დააკავეს, ლომია რატომ არის თავისუფალი? იმიტომ რომ ის არის ვანო მერაბიშვილის კანტორის წევრი!

იმედი მაქვს, გაირკვევა ყველაფერი, რადგან ზოგიერთი, გმირობას რომ იჩემებს, დამნაშავედ გამოცხადდება მალე. დამნაშავეები არიან: თარხან-მოურავი, ინაშვილიც, ლომიაც და კიდევ რამდენიმე ვინც ამ საქმეში იყო ჩართული და გვარები არ ვიცი.

**მოამზადა**
**ირანდა კალანდაძემ**
**(გაგრძელება იქნება)**

# maqvs informacia, foTis yofil mers _ lemonjavas foTis biujetidan ukanonod aqvs gadaricxuli milioni lari Sss-sTvis



გვესაუბრება მწერალი
**მერაბ შათირიშვილი**

**— ბატონო მერაბ, „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, კმაყოფილი ხართ იმით, რაც ჩვენში დღეს ხდება?**

— მოდით, ვთქვათ სიმართლე. ეს არჩევნები მოიგო ბიძინა ივანიშვილმა და ქართველმა ხალხმა, ხალხმა გამოუტანა განაჩენი ნაცმოძრაობას. ნაცმოძრაობის ნარჩენები დღეს პარლამენტში ღვარძლით ლაპარაკობენ, მაგრამ მათი დღეები დათვლილია. წმინდა გიორგის რომ აქვს გველეშაპისთვის ჩარჭობილი კისერში ორკაპი. ისეა ამათი საქმე. რამდენად მეტად დაიკლაკნება გველეშაპი, მით მეტად ჩაერჭობა ყელში ორკაპი.

საქმე ისაა, რომ ძალიან კარგად იცის ქართველმა ხალხმა, ვინ, როგორ და რატომ იბრძოდა ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ ამ 9 წლის განმავლობაში, ხელოვნების წარმომადგენელთა რა ნაწილი არ ურიგდებოდა ჯალათურ ყოფას. ამიტომ მიმაჩნია, რომ არ უნდა დაიკარგოს არავის ღვაწლი. პირადად მე ამ მონაპოვარს, რაც გვაქვს დღეს, გავუფრთხილდები ისე, რომ ამისთვის არავითარ ჯილდოს არ ვითხოვ. მით უფრო, რომ ბრძოლა არ დამთავრებულა.

კარბელაშვილმა რომ თქვა, ბიძინა ივანიშვილი წელიწადნახევარში წავა თუ არაო, უნდა ვუპასუხო — ბიძინა ივანიშვილი ხალხმა 4 წლით ავირჩიეთ და ასეთი იაფფასიანი დისკუსიით და პროვოკაციებით ნაციონალები შორს ვერ წავლენ. ბიძინა ივანიშვილს საქმე აქვს გასაკეთებელი და აცალონ ადამიანს. გვაცალონ მათ მიერ გაპარტახებული ქვეყნის აშენება.

დარწმუნებული ვარ და ზუსტად ვიცი, რომ შესანიშნავი მინისტრი იქნება კახი კალაძე, ირაკლი ღარიბაშვილი, მაგრამ მე არ მომწონს და არ შემიძლია არ ვთქვა იმის შესახებ, რაც ზოგიერთმა მინისტრმა გააჟღერა ბოლო დღეებში — ძველ მოადგილეებს დავტოვებთო. მაშინ ნუ შევცვლით ეკა ზღულაძესაც და ნურც იმ ქალბატონ კალმახელიძეს... რა არის ეს, მაშინ რატომ ვიდექი ქუჩაში მე, მწერალი მერაბ შათირიშვილი, თუ ბევრი რამ ისევ ისე დარჩებოდა, როგორც ადრე იყო?! მე ამ ბრძოლაში ყველაფერი დავკარგე: ხელფასი, სამსახური, მომხსნეს უსამართლოდ, რეპრესიაში მოვყევი, გადავიტანე ბევრი რამ და ახლა ლიბერალიზაცია უნდა განხორციელდეს საკადრო პოლიტიკაში?! არ მესმის ეს.

**— კულტურის ყოფილმა მინისტრმა რურუამ წერილი გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში, ჩეკისტად მოიხსენია ივანიშვილი და ფაქტობრივად, გამოსვლებისკენ მოუწოდა თავის მომხრეებს.**

— ამაზე მისი მასწავლებლის — ჯაბა იოსელიანის სიტყვები მახსენდება: „დემოკრატია ლობიობა ხომ არ გგონიათო“, რომ თქვა. მე არ ვარ მომხრე თოფის თუ ქვის სროლა დაიწყოს, მაგრამ ხმას როგორ იღებენ ეს უნამუსოები, ესაა აღმაშფოთებელი. ეს ვაჟბატონები ჩვენ გვხოცავდნენ, ჩემო კარგო, 7 ნოემბერი, 26 მაისი, ციხის შემთხვევები, ყველაფერი ეს გავიარეთ ჩვენ. პირადად მე მიტინგებზე დარბეული, ნაცემი და შეურაცხყოფილი ვარ. ვინ არიან ესენი? გველების ბუდე უნდა ამოისრისოს...

მახსენდება ასეთი გამონათქვამი: მტრებს აპატიებს ღმერთი, ოღონდ ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. რევანშისტური პოლიტიკური ძალის არსებობა ქვეყანაში, ისეთის, როგორიც არის დღეს ნაციონალური მოძრაობა, არის დემოკრატიის კარიკატურა და ამ ტერმინით სპეკულირება არის თამაში ხალხის წინაშე.

**— თქვენ ფოთში წინასაარჩევნოდ ეკა ბესელიასთან და მის თანამოაზრეებთან ერთად იყავით წინასაარჩევნოდ. მოგეხსენებათ, ფოთში უამრავ კანონდარღვევას ჰქონდა ადგილი. ფოთის მერი დღეს პარლამენტის დეპუტატიცაა.**

— აქ უამრავი პრობლემა იყო და ჯერჯერობით კვლავ რჩება პრობლემად. საბედნიეროდ, ფოთს ჰყავს საუკეთესო დეპუტატი ქალბატონი ეკა ბესელია, რომლის იმედი თავისუფლად შეუძლია ჰქონდეს ფოთელებს.



ნაც.მოძრაობის მთელი მოღვაწეობა ფოთში პიარკამპანიაზე იყო აგებული და ამის გამო აბსოლუტურად ყველა სფეროში საქმე ცუდად მიდის. უხარისხოდ და დაჩქარებულად გაკეთებულ საქმეს რაც მოსდევს, ყველამ კარგად ვიცით. არის დიდი პრობლემა, რომელიც დატოვა ადგილობრივმა მერმა, ლემონჯავამ, რომელიც დღეს ჩხოროწყუს მაჟორიტარია ნაციონალური მოძრაობიდან მის გაფუჭებულ საქმეებზე ალბათ სისხლის სამართლის საქმეები აღიძვრება. როგორც მაქვს ინფორმაცია, ლემონჯავას ფოთის ბიუჯეტიდან მილიონი ლარი აქვს გადარიცხული შსს-ში პერსონალური მანქანების შესაძენად. რისი უფლებაც, ცხადია, არ ჰქონდა. ასეთ ხალხს აოხრებული ჰქონდა ქალაქი. ჩვენ რომ ჩამოვედით, აქაურობა ქაბულს ჰგავდა, ისე იყო აოხრებული. მე უკვე გითხარით, ამ გამარჯვების მოსაპოვებლად ბევრი ვიბრძოლე. საქმეს ბოლომდე მივყვები და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ იმას, რომ სამართლიანობამ არ იზეიმოს ქვეყანაში, არ ამოისუნთქოს ფოთმა და მთელმა ქართველმა ხალხმა.

**ანა ვადაჭკორია**

# „ნაციონალები“, როგორც ქვეყნის მოღალატეები, პარლამენტიდან უნდა გავაძევოთ!





ახლადარჩეული პარლამენტის სხდომებზე „ნაციონალების“ შემაძრწუნებელ, უსამართლო დებატებს რომ ვუყურებდი, პირველი, რამაც შემძრა და დამაფიქრა ის იყო, რომ ამჯერად ე.წ. ოპოზიციის როლში მყოფი ეს ადამიანები კიდევ რას მოგვწევენ, კაცმა არ იცის ამ გამოსვლებმა მთელი საზოგადოება, ასე ვიტყოდი, შეშალა და გააოგნა, გაღიზიანებულ ადამიანებს ნახავთ ყველგან — ქუჩაში, ტრანსპორტსა თუ სხვადასხვა თავშეყრის ადგილებში და რასაც ამ ხალხისგან მოისმენდით, ის იყო — რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაირეკოს „ნაცები“ პარლამენტიდან, თორემ ასე ერთ „მუჭად“ შეკრული ეს ბოროტი ძალა და ზედ მიმატებული ახლად გადეპუტატებული მხცოვანი თუ სრულიად ნორჩი ახალი „ნაც“-სახეები გაერთიანებული თავიანთი აგრესიით და ღვარძლით ცუდ საქმეს მოსწევენ ქვეყანას.

ყველაფერს თავი, რომ დავანებოთ, ბარამიძეები, ბობოხიძეები, გოგორიშვილები და დოქსია, მაგრამ იმ კაცს ედავებიან წიკლაურები და გოგორიშვილები, რომელმაც მთელი ეს წლები უჩუმრად და უშურველად აკეთა საქვეყნო საქმეები, პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ კი ხალხს რასაც დაჰპირდა, ყველაფერი შეასრულა და ეს მატყუარები, რომლებმაც ხალხის არც ერთი დაპირება არ შეასრულეს „მილიონი სამუშაო ადგილიდან“ დაწყებული, პარლამენტის პირველივე სხდომაზე ბედავენ და ივანიშვილს პენსიების მომატების ზუსტ თარიღს სთხოვენ. ეს ისეთი შემთხვევაა როცა გაოცებისაგან ხელები უნდა გაშალო ჩავარდნილი ენის შესაშველებლად...

რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ისე, როგორც ასეთ სიტუაციაში იქცევიან — როგორც ჯეჯილს გამარგლავენ ხოლმე სარეველისგან, ჩვენც ასე უნდა გავმარგლოთ საზოგადოება და ქვეყანა ნაციონალებისგან, და არა მარტო ნაციონალებისგან, არამედ იმ ადამიანებისგანაც, რომლებიც ურცხვად, ძმანი მისნი დამნაშავეები არიან და მათ ქმედებებს პოლიტიკურის თუ სამართლებრივის გარდა მორალური ასპექტი აქვს. ამიტომ, რამდენად გამართლებულია ის, რომ ჩვენ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მაინც ამ უტიფრებს ისევ მაღალი ტრიბუნიდან თითების ქნევისა და ნაციონალური ცინიზმის უფლება მივცეთ? ან რამდენჯერ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს ადამიანები ყველაფრის მკადრებლები არიან?

არჩევნებმა ისიც ხომ დაამტკიცა, რომ ჩვენ ასე იოლად სამართავი ხალხი არ ვართ და ეს ჩვენ მსოფლიოს დავუმტკიცეთ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, უკან დამხევი არავინაა და ყველაზე და ყველაფერზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს ვაყენებთ. ქვეყნის ინტერესებში შედის ის, რომ ეს ხალხი უნდა გასამართლდეს, რომ ბოლოს და ბოლოს სამართალმა იზეიმოს ჩვენს ქვეყანაში. ათასობით ადამიანი ყოველგვარი ბრალეულობისა და მტკიცებულების გარეშე „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე ციხეებშია გამომწყვდეული. ამათი ჩადენილი დანაშაულობები კი ხელის გულზე დევს. დამნაშავეა თვით მათი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ისევ ჰყოფნის თავხედობა და დამარცხების შემდეგაც ახალ-ახალი „სიურპრიზებით“ გვემუქრება.

მახსოვს 9 აპრილის შემდეგ ჯუმბერ პატიაშვილმა რადიოთი განაცხადა, რა ვქნა, ცოდვილი ვარ და სულ ამაზე ხომ არ უნდა ილაპარაკოთო. რამდენი 9 აპრილი მოუწყო სააკაშვილმა საკუთარ ხალხს და იმის ნაცვლად სინანულში იყოს ისევ თავისი გამონათქვამი საყვარელი სიტყვების „ნურას უკაცრავად“-ამ პრინციპითაა. ის და მისი გუნდის წევრები რომ გრძნობდნენ და ითავისებდნენ რა დღეში ჩაგვყარეს ადამიანები და რა ჯოჯოხეთად გვიქციეს ცხოვრება მთელი ეს წლები ქართველი ხალხი ისეთი მიმტევებელია, რომ მათ მიმართ შეცოდების გრძნობაც გაჩნდებოდა, მაგრამ კიდევ არ ისვენებენ და ქვეყნის ცხოვრებაში განსაკუთრებული როლის შესრულება სურთ. პარამუდმივად გადაბარგების რეჟიმში არიან ხელისუფლების ცვლასთან ერთად და ქვეყნის ცხოვრებაში აქტიური ადგილის დაკავებას ახერხებენ.

ამას წინათ ერთი პოლიტიკური ცოდვილი გამოვიდა ტელევიზიით, იგი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი გახლდათ, ზვიადის შემდეგ შევარდნაძის გუნდში გადაბარგდა და თანამდებობაც მიიღო, მერე კი ასლან აბაშიძესთანაც გამონახა საერთო ენა და გადეპუტატდა კიდეც. გავიდა ხანი და სააკაშვილის მატარებლის უკანა ვაგონს მოახტა და მეტად სარფიან ადგილსაც გამოჰკრა ხელი, მას მიწების განაწილება დაავალეს დიდგორში, იქ კი დაიწყო ქართული მიწების გაუგონარი გასხვისება, თანაც უცხო რჯულის მოქალაქეებზე. მისი გამოისობით ბევრი ციხეში მოხვდა და სასჯელს იხდის, ბევრი საპროცესო გარიგებით დაუსხლტდა ციხეს. ახლა, შეიძლება, მისმა გადაგდებულმა ადამიანებმა პირი დააღონ და მის ხელუხლებელ კარებსაც სამართალმა მოაკითხოს, მაგრამ მას ამჯერად „ქართული ოცნების“ სიომ დაუბერა და ამას წინათ, ღია ეთერით, საჯაროდ განაცხადა, რომ იგი გადაბარგდა „ოცნებაში“, არადა იგი გოგორიშვილთან და მაჭავარიანთან ერთად არჩევნების ერთ-ერთი გამყალბებელი იყო. იგი 1 ოქტომბრის არჩევნებზე ნაციონალების ერთ-ერთი შტაბის უფროსი გახლდათ, სადაც კენჭს იყრიდა დავით საყვარელიძე, ასეთი ადამიანები არჩევნებში „ნაცების“ გამარჯვების შემთხვევაში, ხალხს რეპრესიებით და ციხეში ჩასმით ემუქრებოდნენ, დღეს კი ქუთაისში პარლამენტის შენობის ირგვლივ დაძრწიან თურმე და „პატრონებს“ ეძებენ, ასეთი ხალხის გაკარება არ შეიძლება და საზოგადოება უნდა გაემიჯნოს ასეთ ადამიანებს.

ხალხს უნდა დარჩეს ის რწმენა, რომელიც არჩევნების დროს ჰქონდა, — დადგა ერთგული და პატიოსანი ადამიანების დრო...

**ნანა სულავა**

# xaTuna lagaziZe: სამართლიანობა უნდა აღდგეს, რომ ადამიანებს, რომლებიც ქვეყნისა და ხალხის ღირსებას ლახავდნენ, დაუსჯელობის განცდა არ დაეუფლოთ



**„საერთო გაზეთს“ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში ხათუნა ლაგაზიძე ესაუბრა.**

**— როგორ შევაფასებთ, საკანონმდებლო ორგანოში გამართულ დებატებს და ზოგადად, როგორ წარმოგიდგენიათ უმრავლესობისა და ოპოზიციის ურთიერთობა?**

— პირველ რიგში, პოზიტიური ფაქტია ის, რომ ბოლო ცხრა წლის მანძილზე მივიღეთ პარლამენტი, სადაც ერთპარტიულობა არ არის. ამასთან ძლიერი ოპოზიცია არის ბერკეტი იმისთვის, რომ ხელისუფლებამ რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დაუშვას. თუმცა საქართველოში ამ კუთხით განსხვავებული ვითარება გვაქვს. „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტაცია, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი, შეიძლება ითქვას, რომ პარტიისთვის განაჩენია, რადგან მათი მისამართით საზოგადოების ნდობის ხარისხი ნულის ტოლფასია. სააკაშვილის გუნდსა და ხალხს შორის კომუნიკაცია, ფაქტობრივად, შეწყვეტილია, არა იმიტომ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ სურვილი არ აქვს, არამედ საზოგადოებას მათი ენა აღარ ესმის.

**— ამ ფონზე ხომ არსებობს საფრთხე — „ნაციონალური მოძრაობა“ დაიშალოს და საკანონმდებლო ორგანოში ისევ ერთპარტიული სისტემა მივიღოთ?**

— ამის საფრთხე არსებობს. მით უფრო მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საქმეების ძიება დაიწყება „ნაციონალების“ ერთგვარი სიმყარისთვის თუ კიდევ აქვთ შერჩენილი. გამანადგურებელი დარტყმა იქნება, რადგან შეიძლება ბევრი მათგანის, მათ შორის დეპუტატების ნაწილის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. ამიტომ არსებობს საფრთხე იმისა, რომ საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო უმრავლესობა ერთმა პარტიამ აიღოს. თუმცა კოალიცია „ქართული ოცნება“ საკმარისად ბევრი პოლიტიკური პარტიისგან შედგება, რომელთაც აზრთა სხვადასხვაობა და კამათი ექნებათ, ასე, რომ ეს ფაქტი, ერთგვარად დამზღვევი ფაქტორია იმისთვის, რომ ერთპიროვნული საკანონმდებლო ორგანო არ ჩამოყალიბდეს. ამასთან, „ქართული ოცნების“ პროგრამაში ერთი ნოვაციაა, რომელიც, იმედი მაქვს რეალობად იქცევა. ვგულისხმობ ივანიშვილის განცხადებას, რომ საკანონმდებლო დონეზე შექმნას გარანტიები, რათა ერთი პოლიტიკური ძალის ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ აღმოჩნდეს. როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, ის გეგმავს პარტიების დაფინანსების საკითხის გადახედვასაც და ისეთი ბერკეტის შექმნას, რომ სახელმწიფომ დააფინანსოს პოლიტიკური პარტიები, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკური კულტურისა და სტაბილურობის განვითარებას ქვეყანაში. ჩემი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც პროგრამაშია საუბარი ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება, რომელიც სააკაშვილმა მისთვის დამახასიათებელ ჩვეულ სტილში მოიპარა და პარლამენტის პირველ სხდომაზე გააჟღერა, ვგულისხმობ, მერებისა და გუბერნატორების პირდაპირი წესით არჩევას.

**— როგორც ჟურნალისტებთან პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ის ხელისუფლებაში ძლიერი საპარლამენტო გუნდით მოვიდა. როგორია თქვენი შეფასება, რას ფიქრობთ „ქართული ოცნების“ დეპუტატებზე?**

— „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა პარლამენტის პირველ სხდომაზე იმაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს, ვიდრე მოველოდი. ქართული პოლიტიკის ძველი სახეებიც კი სრულიად ახალი შეფერილობით წარმოგვიდგნენ, რაც თავისთავად კარგია. ვფიქრობ, საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიის დღემდე ერთ-ერთი-ერთი საუკეთესო დეპუტატია საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი.

**— სახეები, რომლითაც პარლამენტია დაკომპლექტებული, საკანონმდებლო ორგანოში ადრეც გვიხილავს, როგორ ფიქრობთ, დღეს რა შეიცვალა მათში. როგორც თქვენ ამბობთ, ძველი სახეები ახალი შეფერილობით წარმოგვიდგნენ?**

— ძალიან საინტერესო და ამავე დროს რთული კითხვაა. შეიცვალა ის, რომ, ზოგადად, ქართულ პოლიტიკას ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით ახალი სისხლი გადაესხა. ამასთან პოლიტიკოსებს, რომლებიც პარლამენტში მოგვევლინენ, წლების განმავლობაში აკლდათ პოლიტიკური ნება, რომელიც მათ მისცემდათ საქმის ბოლომდე მიყვანისა და გამარჯვების საშუალებას. ეს ყველაფერი კი პოლიტიკოსებს ივანიშვილმა შეძინა. შესაბამისად, ამ ყველაფრის გათვალისწინებით პოლიტიკოსებმა სულ სხვა შეფერილობა და სტიმული შეიძინეს. უფრო ზუსტი იქნება თქმა, რომ ძველ პოლიტიკოსებს პრემიერმა ახალი სუნთქვა გაუხსნა.

**— ოპოზიციით აზრით, „ქართული ოცნების“ სამთავრობო პროგრამას კონკრეტიკა აკლდა. როგორ ფიქრობთ, შეფასებები, რომელიც „ნაციონალების“ მხრიდან გაკეთდა, სამართლიანია?**



— ის, რომ „ქართული ოცნების“ პროგრამა დაცლილია კონკრეტიკისგან, მეტყველებს, თუ რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდება ივანიშვილი თითოეულ დაპირებას. თუმცა დასახელდა საკმაოდ მნიშვნელოვანი თარიღი — წელიწადნახევარი, როცა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს. როგორც ივანიშვილმა განაცხადა, ის აპირებს ძლიერი გუნდისა და ისეთი პოლიტიკური სისტემის დატოვებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სტაბილურობასა და განვითარებას. შესაბამისად, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი — წელიწადნახევარი, როცა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს. როგორც ივანიშვილმა განაცხადა, ის აპირებს ძლიერი გუნდისა და ისეთი პოლიტიკური სისტემის დატოვებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სტაბილურობასა და განვითარებას. შესაბამისად, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადება, რომელიც ივანიშვილმა გააკეთა, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში პრემიერმა უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური სპექტრის, კულტურისა და ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება.

სამართლიანობის აღდგენას რაც შეეხება, ის აუცილებლად უნდა განხორციელდეს, რადგან იმ ადამიანებს არ დარჩეთ დაუსჯელობის განცდა, ვინც ცხრა წლის განმავლობაში ღირსებას ხდიდა საკუთარ ხალხსა და ქვეყანას. ამასთან, ყველა ხელისუფლებამ იცოდეს, თუ რა ელოდებათ არაკანონიერად მოქმედების შემთხვევაში.

**მირანდა ნაბახტეველი**

*ინტერვიუ პოლიტოლოგ*
*ჰამლეტ ჭიპაშვილთან*

# amerika Seecdeba mixeil saakaSvili sabraldebo skamze ar moxvdes...

**— ბატონო ჰამლეტ, ნაცმოძრაობამ არჩევნებში 40 პროცენტზე მეტი ხმათა რაოდენობა დააგროვა. ამიტომაც საპარლამენტო ტრიბუნებიდან ამაყად აცხადებენ, ჩვენ ხალხი გვიჭერს მხარსო. ვინაა ეს ხალხი. ვინ უჭერს მათ მხარს?**

— ნაცმოძრაობამ 40-45 პროცენტი მიიღო ამ არჩევნებში, მაგრამ ნორმალური საარჩევნო გარემო რომ ყოფილიყო 10-15 პროცენტზე მეტს ნაცმოძრაობა ვერ მიიღებდა.

რეალობის დასადგენად რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარდეს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა პოლიტიკური პარტია. მაშინ ნახავს ყველა, რამდენ პროცენტს მიიღებს ნაცმოძრაობა, რადგან რა მიიღეს, იმასაც ვერ მიიღებენ, აღარ ექნებათ სახელისუფლებო რესურსი, რომელმაც, თითქოსდა შეადგინა 40 და მეტი პროცენტი. ესენი 5 პროცენტიან ბარიერსაც ვერ გადალახავენ.

მაგრამ დღეს მთავარია, ქართული სასამართლო გათავისუფლდეს სახელისუფლო ზეწოლებისგან და ყოფილი მთავრობის ქმედებები გასამართლდეს, აი, მაშინ კი შესაძლებელი იქნება მტყუან-მართლის გარჩევა.

**— მთავარი ბრალდება რა შეიძლება იყოს?**

— თქვენი ჭირიმე, სხვა რა ბრალდება გინდათ, 2008 წელს მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო ომი იმისთვის, რომ საზოგადოებამ გაიგოს სიმართლე, სიმართლე უნდა იწერებოდეს გაზეთებში, სიმართლეს უნდა ლაპარაკობდნენ ტელევიზიებით. საზოგადოებამ ბევრი რამ იცის ნაციონალების შავბნელი საქმეების შესახებ, მაგრამ ყოველივე ამას სჭირდება დამტკიცება. საგამოძიებო ჯგუფმა უნდა გამოიძიოს ყოველივე. ეს პროცესი არის ხანგრძლივი.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომელიც ერთად შეკრული ბანდიტური ძალა იყო, მანამ არ მოინდომა წინა ხელისუფლების დანაშაულები გამოეძიებინა და დამნაშავეები გამოუვლენა დაედო დოკუმენტაცია სახელმწიფოებრივ კრიმინალებზე, მაგალითად, იმაზე, შევარდნაძის დროს შსს ფანჯრებიდან ადამიანი რომ „ცვიოდნენ“, მაგრამ ნაციონალური მთავრობის ძირითად და მთავარი დანაშაული, რომელსაც ბევრი კვლევა-ძიება არ სჭირდება — სახეზეა. მან ომი დაიწყო 2008 წელს. ახლა ზოგი შეგვეკამათება, მაგრამ სიმართლე თუ გვინდა — ასეა. ეს არის ნაციონალური იდეოლოგიის ნაწილი, ის, რასაც უჩიჩინებდნენ ამერიკელი პატრონები ამ ახალგაზრდა ბიჭებს წლების განმავლობაში: ეგინებინათ და ელანძღათ რუსეთი. ირაკლი ოქრუაშვილი, ეს მწირი ინტელექტის პატრონი ნაციონალების მინისტრი, იქამდეც მივიდა, რომ თქვა: ერეკლე მეფეს ვერ ვაპატიებთ ჩვენ რუსეთთან ტრაქტატის დადებასო. სასაცილოა, არა? რომელი ისტორიკოსი იყო ოქრუაშვილი, იცის ეს ყველამ.



**— ნაციონალი დეპუტატები და ნაციონალური რუსულის ნარჩენები ბიძინა ივანიშვილს — ახალ პრემიერ-მინისტრს რუსეთში ნაშოვნ კაპიტალს აყვედრის, ნაცხელისუფლების კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკოლოზ რურუა იქამდე მივიდა, რომ თქვა: საქართველოს ხელისუფლებაში დღეს ჩეკისტი ბიძინა ივანიშვილიაო.**

— ნაციონალებმა იციან, რომ მათ მოახერხეს და საზოგადოების ნაწილს შეაჯავრეს რუსეთი, ამიტომ აპელირებენ ამ თემით. მაგრამ ეს არის უბრალო პოლიტიკური ფანდი და არა რეალობა.

რუსეთის მხარემ საქართველოსთან მიმართებაში ლაპარაკის დროს არაერთხელ განაცხადა, რომ რა სიტუაციაცაა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, ეს არის ახალი რეალობა, რასაც ხელი შეუწყო სააკაშვილის ავანტიურამ და ეს ნიშნავს, რომ არსებობს დამოუკიდებელი რესპუბლიკები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის, და ეს ბიძინა ივანიშვილის ბრალი ნამდვილად არ არის.



**— თუ რუსეთი ასე ეჯავრებოდა ნაციონალებს, რატომღა ჩაიხუტეს რუსეთში გამდიდრებული ბენდუქიძე და რუსული პასპორტის მფლობელი გრიგოლ ვაშაძე?**

— ბენდუქიძე და ვაშაძე ჩვეულებრივი მედროვეები არიან და სიამოვნებით უძვრებოდნენ უკანალში სააკაშვილს. ბენდუქიძეს ბევრი რამ დღესაც აკავშირებს რუსეთთან. ის კი არა, გრიგოლ ვაშაძეს პირველი ცოლი და შვილები მოსკოვში ჰყავს და მათთან კონტაქტი დღემდე არ გაუწყვეტია. გგონიათ, რომ ამ ხალხს რუსეთი ეჯავრებათ? თუმცა ისე მოიჭრეს თავი რუსეთში, რომ იქ აღარ დაედომებათ.

**— ბატონო ჰამლეტ, ნაციონალები ყველა ჩადენილი კანონდარღვევისთვის უნდა გასამართლდნენ, მაგრამ დაუშვებს დასავლეთი დემოკრატიული გუნდის საბრალდებო სკამზე ხილვის ფაქტს?**

— აქ ივანიშვილის პრინციპულობა და ხალხის მოთხოვნაა საჭირო. თუ ჩვენ მყარად დავდგებით და სასამართლო მყარ არგუმენტებს დადებს, წინ ვერავინ აღუდგება.

აშშ-ს, მაგალითად, სამხრეთ კორეასთან შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა და აქვს ახლაც, მაგრამ კორეის ორი პრეზიდენტი პასუხისგებაში იყო მიცემული. პერუს პრეზიდენტი კორუფციის ბრალდებით დღესაც სასჯელს იხდის.

თუმცა საქართველოს შემთხვევა მაინც სხვაა. აქ სულ სხვა დამოკიდებულება იყო სააკაშვილის მიმართ. აშშ-ს შეეშალა, როცა მათ მიშას „დემოკრატიის შუქურა“ უწოდეს. და როგორ ფიქრობთ, ამ „შუქურის“ საპყრობილეში ჩასმა მისთვის რას ნიშნავს, პროექტის კრახს ხომ არა?! ამიტომ შეეცდებიან, არ დაუშვან ეს.

თუმცა ჩვენ იულია ტიმოშჩენკოს მაგალითი გვაქვს წინ. აშშ დღემდე მის დამცველად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ტიმოშჩენკოს დაუმტკიცდა წაყენებული ბრალდებები. აშშ-ს ის თავის დროზე ნობელის პრემიაზეც კი ჰყავდა წარდგენილი. აი, ესაა ორმაგი სტანდარტი.

მაგრამ ყველაფერი მაინც აშშ-ის მომავალ არჩევნებზეა დამოკიდებული. დამერწმუნეთ, თუკი აშშ-ში არჩევნებში რესპუბლიკელმა კანდიდატმა გაიმარჯვა, სააკაშვილი, რომელიც ფარ-ხმალს არ ყრის, კიდევ უფრო გასწორდება წელში.

მოკლედ, ბრძოლა ჯერ ბოლომდე მოგებული არ გვაქვს. საფრთხეები ჯერ კიდევ წინაა.

**ირანდა კალანდაძე**

# qvemexebis quxilSi amozrdili poezia

***როცა ქვემეხები ქუხან, მუზები სდუმანო, — ნათქვამია, თუმცა საზოგადოებამ არაერთი შემთხვევა იცის, როცა ეს ორი რამ ერთდროულად ქუხდა და წარმოუდგენელიც კი იყო მათი გაცალკევება. თინათინ მღვდლიაშვილის პოეზია სწორედ ასეთი, ქვემეხების ქუხილზე ამოზრდილი პოეზიაა — ყველას კარგად გვახსოვს 9 აპრილის ღამეს დარბეული და ცოდვის კალოდ ქცეული რუსთაველის პროსპექტი, რომელმაც, თითქოს, ენა ამოიდგა და სულისშემძვრელ, ტკივილიან ლექსებად გარდაიქმნა; ხეებზე გაკრული ეს ლექსები ფოთლებივით შრიალებდნენ და თითოეული ჩვენგანის გულისნადებს გამოხატავდნენ — ასე შემოვიდა ჩვენს ცნობიერებაში თინათინ მღვდლიაშვილის პოეზია. მას შემდეგ ოცზე მეტი წელი გავიდა. მთელმა საქართველომ გაიცნო და შეიყვარა ქალბატონი თინათინი — პოეტი, მხატვარი, ხატების შემამკობელი, ქართველი წმინდანების, საზოგადო მოღვაწეებისა და ეროვნული გმირების ეპიტაფიების ავტორი. დღეს იგი ჩვენი რედაქციის სტუმარია.***

### როგორ გვექცევა სახელმწიფო? „სახელმწიფოს ჩემი შემოქმედება უჩემოდ სჭირდება“ „ყოველი ხელისუფლება თავისი ტაშფანდურით მოდის“.

მე დავიბადე იმ ქვეყანაში, სადაც ცოცხალ რჩეულებს ვერ იტანენ, საიდანაც განდევნეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ვერაგულად ჩახოცეს მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, სადაც მაფიოზურ-კლანური სისტემა მეფობს და ფულს, ძალაუფლებასა თუ ნათესაურ კავშირებს უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე ნიჭს, მშვენიერებას და, თუნდაც, გენიას, სადაც მავანს თუ ნებავს, უკუნს სინათლედ მოგაჩვენებს და ნათელს — ბნელად (ყოველ შემთხვევაში, ეცდება მაინც), სადაც წარმოუდგენელი სისასტიკით ექცევიან მწერალს, მხატვარს, მუსიკოსს, საერთოდ, ქართულ სიტყვას, ქართულ აზროვნებას, ქართულ გულს — მოკლედ, ყოველივე ქართულს, სადაც მზე არ მზეობს და მთვარე, უბრალოდ, ღამეული ცის დეკორაციაა და მეტი არაფერი...

ერთი შეხედვით, მე საყვედური არ მეთქმის: ამ ოცდაორი წლის განმავლობაში უამრავი ბედნიერი დღე მქონია, ყვავილები არ დამკლებია მადლიერი მკითხველებისგან, ხალხს ვუყვარვარ, ჩემი ლექსები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ და ჩეჩნურ ენებზე, დაჯილდოებული ვარ „წმინდა ნინოს ჯვრით“, მაგრამ ეს ყველაფერი ცალკეული ადამიანებისა და ორგანიზაციების კეთილი ნების გამოხატულებაა და არა სახელმწიფოსი, სახელმწიფოს კი ჩემი შემოქმედება უჩემოდ სჭირდება — აი, რა არის პრობლემა და სად მარხია ძაღლის თავი. მაგალითად, იცის თუ არა სახელმწიფომ, რომ ნიუ-იორკში მცხოვრებმა ბრწყინვალე მხატვარმა, ქალბატონმა ცისანა ჯანაშვილმა, ჩემი პოეზიის მიხედვით შექმნა ბაირონის უნიკალური პორტრეტი? აინტერესებს ვინმეს, რომ ჩემ მიერ შექმნილი ჟოზეფინა ბიარნეს პოეზია ნაპოლეონისა და ჟოზეფინას მუზეუმმა მოითხოვა საფრანგეთიდან და რომ 2012 წელს პარიზში გამოიცა „ქართული ლექსების რვეული“, რომელშიც შესულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, გრიგოლ რობაქიძის, ანა კალანდაძის, ლია სტურუასა და სხვათა ლექსები, მათ შორის — ჩემი? აინტერესებს სახელმწიფოს, თუ რა პირობებში იქმნება ხელოვნების ნიმუშები? რა პირობებში ვცხოვრობთ ხელოვანი ადამიანები — ზამთრის ყინვა გვაზრობს თუ ზაფხულის გაუსაძლისი პაპანაქება გვიღებს ბოლოს? საერთოდ, სასწაულია, რომ, როგორღაც, მაინც იბეჭდება ჩემი და ყველა იმ ქართველი მწერლის წიგნები, რომლებსაც მლიქვნელობა, ფარისევლობა და მავანთა წინაშე მუხლებზე ხოხვა არ შეუძლიათ. ნუთუ, აუცილებელია, მწერალი რომელიმე პარტიის წევრი იყოს და რომელიმე ლიდერს შესციცინებდეს თვალებში მორჩილ ფინიასავით, რომ ის შეამჩნიონ, გააძლიერონ, გაამხნევონ და, ელემენტარულად, არსებობის საშუალება მისცენ?! წმინდა წერილების მიხედვით, ეშმაკს „გონიერი ავაზაკი“ ჰქვია. დარწმუნებული ვარ, სწორედ მისი უჩინარი ხელი ურევია იმაში, რომ მავანნი არ იღლებიან ქართველი ხელოვანების წამებით: თითქოს, ნირვანაში არიან, როცა ასეთ გაუსაძლის პირობებში გვამყოფებენ.

ხშირად მითქვამს, რომ ყოველი ხელისუფლება თავისი ტაშფანდურითა და დოლ-გარმონით მოდის; მოჰყავს თავისი კარის პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები და თუ არ ხარ მისი გუნდის წევრი, შეიძლება სამუდამოდ ჩრდილში დარჩე. სიმართლე გითხრათ, ჭეშმარიტი ხელოვნება სწორედ ჩრდილში იქმნება და ბევრჯერ მადლობაც გადამიხდია ჩემი მოშურნეებისათვის — ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, მე ვერ შევიქმნებოდი, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხელოვანს ყურადღება, დაფასება და ხელის შეწყობა არ სჭირდება!

### ხელოვნება და ფსევდოხელოვნება — „გრანტიყლაპიები“ სასიკეთო ცვლილებების მოლოდინში

უნიჭობა ყოველთვის არსებობდა, არსებობს და მუდამ იარსებებს. საშინელება ისაა,რომ უნიჭოები წარმოადგენენ ყველაზე მოხერხებულ, მარდ „მიდგება-მოდგება“ ხალხის კასტას, რომელიც ყველა ეპოქას, ყველა მთავრობას ეგუება, ერგება და სანეხვეზე ამოსული სოკოებივით მრავლდება. ტრაგედია ისაა, რომ ეს ე.წ. „გრანტიყლაპია ხელოვანები“ ყველაზე მეტად არიან წახალისებულნი სახელმწიფოს მიერ. ბოლო 20 წლის განმავლობაში თითქმის ჩემ თვალწინ „გამოიჩეკნენ“ ფსევდოპოეტები, ფსევდოდრამატურგები, ფსევდომომღერლები, რომლებიც მუდამ არიან და არიან... ამას წინათ სამმა ასეთმა ფსევდოხელოვანმა (არ დავასახელებ) სამი ცოცხი დაწვა ფილარმონიასთან და ამით ქულა დაიწერა „ქართული ოცნების“ თვალში. ასეთები თავს უფლებას აძლევენ, რომ ერის სახელით ილაპარაკონ და დაგვმოძღვრონ — როდემდე?! სახელმწიფომ ხომ უნდა იცოდეს, ვინაა ნამდვილი შემოქმედი და ვინ — არა? ხომ უნდა გამიჯნოს ხელოვანი ფსევდოხელოვანისაგან? ბოლოს და ბოლოს, უნდა დამთავრდეს უნიჭობის წახალისება და პოლიტიკური ნიშნით ხელოვანთა გამორჩევა! იმედია, ახალი ხელისუფლება მიხედავს ამ საქმეს. დღესდღეობით ხალხს სასიკეთო ცვლილებების მოლოდინი აქვს. თუმცა დიდად არ მჯერა, რომ ქართველები ანგელოზებად გადაიქცევიან და ერთი და იმავე სახეების ტრიალი დასრულდება. პესიმისტი არ გახლავართ, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ კლანურ სისტემაში ვცხოვრობთ, ახლა ახალი კლანები გაჩნდება. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე!



90-იან წლებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა რეპრესირებულ პოეტად გადამაქცია და არ მომეცა საშუალება, ლიტერატურული ცხოვრებით მეცხოვრა. რაც შეეხება დღევანდელ მწერალთა კავშირს, ჩემი აზრით, რამდენიმე ადამიანის ინტერესებს ემსახურება და არა — ზოგადად, ქართულ მწერლობას. ამ და სხვა მიზეზების გამო არ გავწევრიანდი. ალბათ, ლექსით უკეთესად გამოვხატავ ჩემს პოზიციას: „რა უხარიათ, ნეტავი, სვავებს, ოდეს კორტნიან ამაყ პრომეთეს? ვუახლოვდები მაჩაბლის ცამეტს, შენობას, სადაც კლავენ პოეტებს!!!“

### ფერების სამყაროში. არცთუ სასაცილო კურიოზები

ბავშვობიდანვე ვხატავ. მეუღლე მხატვარი გრაფიკოსი მყავდა და ხშირად მქონდა შეხება ამ პროფესიის ადამიანებთან. მახსოვს მარინა უჯმაჯურიძემ აღნიშნა, რომ მე, ასე ვთქვათ, ფერში ვწერდი და შეუძლებელია, მხატვრობის ნიჭი არ მქონოდა. მისი პორტრეტი დავხატე და აქედან დაიწყო ყველაფერი. 1 წლის შემდეგ მოვაწყვე „თავხედური“ გამოფენა გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში, 37 პორტრეტი გამოვფინე, იმავე პერიოდში გავწევრიანდი თვითნასწავლ მხატვართა შემოქმედებით კავშირში და მისი საშუალებით უამრავ გამოფენაში მივიღე მონაწილეობა, რამდენიმე პერსონალური გამოფენაც მქონდა. საქართველოს ფოლკლორის ცენტრის მიერ მოწყობილი ეროვნული დათვალიერება — ფესტივალის 2005-2006 წლების ლაურეატის წოდებაც მომენიჭა. ორი წლის წინ გავხდი მხატვართა კავშირის წევრი. კურიოზია, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, მწერალთა კავშირის წევრი არა ვარ, თუმცა ჩემს ცხოვრებაში სხვა კურიოზებიც მრავლადაა, რომლებზეც სულაც არ მეცინება პირიქით: მაგალითად, ამ ზაფხულს „იმედის“ არხზე იყო პროექტი „მე მიყვარს საქართველო“ და ფოთში გაიმარჯვა ჩემს ლექსზე შექმნილმა სიმღერამ — „დადეთ იარაღი, ბიჭებო!“ ეს სიმღერა საფინალოდ ჩამოიტანეს თბილისში, მაგრამ, ეტყობა, ლექსი აცდა პოლიტიკურ ვითარებას და მას მთლიანად შეუცვალეს მიმართულება, შეცვალეს სათაურიც — ტექსტიდან ამოღებული ფრაზა გაასათაურეს —„წარსულს არ ესროლოთ, ბიჭებო!“ სხვათა შორის, ეს ყველაფერი ჩემს დაუკითხავად მოხდა. მიუხედავად ამისა, სიმღერამ მაინც გაიმარჯვა და ლექსმა, რომელიც 1992 წელს დავწერე სამოქალაქო ომის წინააღმდეგ, გზა გაიკვალა ხალხის გულისკენ. კომპოზიტორმა, ქალბატონმა ლეილა ლოლუამ, პრიზი მიიღო 10 000 ლარის სახით. საინტერესო ის არის, რომ პოეტის დაჯილდოება არ იყო გათვალისწინებული, ანუ სიტყვა უგულებელყოფილი გახლდათ. ქალბატონმა ლეილამ კეთილი ნება გამოიჩინა და 500 ლარი გადმომცა, რისთვისაც მისი მადლობელი ვარ, მაგრამ ეს მისი ინიციატივა იყო და არა — პროექტის ავტორებისა. კიდევ მოგახსენებთ: 2000 წელს XX საუკუნის საუკეთესო სიმღერების „ოქროს დისკი“ გამოიცა, რომელშიც 6 სიმღერა შევიდა — მათ შორის ორი ჩემს ტექსტებზე იყო შექმნილი: „ხმალი ავლესოთ, ქართველებო“ და „მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო“. იცით, როგორ შევიტყვე ეს ამბავი? შინ ვიყავი, შუქი გამორთული გვქონდა, ციოდა და ბნელოდა. თურმე, ტელევიზორი ჩართული დამრჩენია და უეცრად მოვარდნილმა სინათლემ თან მოიყოლა ნაცნობი მელოდია —„ქართული ხმები“ ჩემს სიმღერას ასრულებდა...



„მარტოხელა, მარტოსული ქალბატონი“

გაოგნებული შევცქეროდი ეკრანს და ძალიან გულნატკენი ვიყავი, რადგან გამარჯვებული სიმღერების ტექსტის ავტორი არავის გაახსენდა; ერთი ადამიანიც კი არ აღმოჩნდა, ვინც დარბაზში მაინც მიმიწვევდა თუნდაც რიგით მაყურებლის სტატუსით (!) როგორც უკვე გითხარით, ტექსტის ავტორების მიჩქმალვა ახალი ამბავი არ არის,ზოგჯერ უფრო შორსაც მიდიან და თვითნებურად გვიცვლიან სახელებსა და გვარებს — ცოტა ხნის წინ ეს საკუთარ თავზე ვიწვნიე: სტუდია „ბრავო რეკორდსმა“ გამოსცა გოგი დოლიძის სიმღერების არაჩვეულებრივი ალბომი „იყო და არა იყო რა“, რომელშიც შევიდა „ხმალი ავლესოთ, ქართველებო“. ალბომის პრეზენტაცია შედგა 19 ოქტომბერს, „ბრავო რეკორდსის“ სტუდიაში. დამირეკა ნეკა შენგელიამ და პრეზენტაციაზე მიმიწვია. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა პირისპირ შევხვდი მომღერლებსა და კომპოზიტორებს, როგორც ტექსტის ავტორი. მოგეხსენებათ, კომპოზიტორებს მაინცდამაინც არ უყვართ პოეტების წარმოჩენა, მით უმეტეს, თუ „პოლიტიკური შლეიფი“ მოგყვება. ვიფიქრე, ერთხელ მაინც გადავდგამ თამამ ნაბიჯს და თავად „წარმოვჩნდები“-მეთქი. მივედი სტუდიის პრეზიდენტთან, ბატონ ზაზა შენგელიასთან და ვთხოვე, გოგი დოლიძესთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვის თქმის უფლება მოეცა. იგი დამთანხმდა და წარმადგინა, როგორც „ხმალი ავლესოთ, ქართველებოს“ ავტორი, ქეთევან მღვდელიაშვილი. მთელი დარბაზის გასაგონად შევძახე, ქეთევანი არ მქვია და არც მღვდელიაშვილი გახლავართ-მეთქი, შემდეგ სცენიდან მივმართე ბატონ ზაზას: — აი, რას ნიშნავს რეპრესია, ნუთუ 20 წლის შემდეგ ჩემი სახელი და გვარი არ უნდა იცოდეთ, მე ხომ 30 სიმღერის ტექსტის ავტორი ვარ-მეთქი. ამაზე უარესი ისაა, რომ ალბომზეც „ქეთევან მღვდელიაშვილი“ წერია. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შემთხვევით კი არა, სავსებით გამიზნულად გაკეთდა. როგორც ჩანს, ვიღაცას ძალიან უნდა, რომ გული გამისკდეს. დავურეკე „ბრავო რეკორდსის“ გენერალურ დირექტორს, ბატონ დიმიტრი ქაჯაიას და, იცით, რა მითხრა?

— ახალგაზრდობით მოგვივიდა და გვაპატიეთო. დავრეკე საავტორო უფლებების დაცვის საზოგადოებაში, რომლის წევრიც ვარ — იურისტის პასუხმა გამაოგნა, — ქალბატონო თინათინ, ჩვენ ვიცავთ თქვენი ქონების უფლებებს, სახელისა და გვარის უფლებების დაცვა ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, კერძო ადვოკატი აიყვანეთ და სტუდიასთან მოაგვარეთ საქმეო. სხვათა შორის, ბატონმა დიმიტრიმ ისიც მითხრა, რომ სპონსორს „ღვინო ძველ „თბილისს“ დისკის გამოცემა ძალიან ძვირი დაუჯდა: კიევში დაბეჭდეს, 5000 ეგზემპლარი უკვე ქსელშია, ამდენივე გზაშია და მალე თბილისში იქნება, ასე რომ, დისკის განადგურება არაფრით არ შეგვიძლიაო. მე ეს აზრადაც არ მომსვლია, რადგან ლაპარაკია გოგი დოლიძის ალბომზე, რომლის განადგურება ჩემი განადგურების ტოლფასი იქნებოდა. მე, უბრალოდ, საკუთარი საავტორო უფლებების დაცვას ვცდილობდი. შემდეგ ისევ დამირეკა იურისტმა და დიდი ბოდიში შემომითვალა „ბრავო რეკორდსის“ საავტორო უფლებების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის სახელით. აი, ასე, ბოდიშ-ბოდიშით ჩათავდა ეს საქმე და პასუხგაუცემელი დარჩა შეკითხვა: ვინ დაიცავს ჩვენს უფლებებს, თუკი ამას საავტორო უფლებათა დაცვის საზოგადოებაც არ აკეთებს?

### წამებასა და ტკივილს ვადა არ გასდის ქალის ტვირთი

მე ის ადამიანი, ის პოეტი ვარ, რომელსაც 1989 წლიდან ტაშს მიკრავდნენ, შემდეგ კი, 1993 წელს, იმავე ხალხმა დამაპატიმრა და საკანში გამომკეტა. მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ის იყო, რომ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის

მხარდამჭერი ვიყავი და სიმართლის მხარეს ვიდექი. საბედნიეროდ, ვერ გამტეხეს და თანამშრომლობაზე ვერ დამითანხმეს. გადატანილმა ტანჯვამ და უსამართლობამ დამაწერინა დოკუმენტური მოთხრობა: „მთელი თბილისი ციხეშია, ანუ საკანი №7, „90-იან წლები ის პერიოდი იყო, როცა შეუიარაღებელ ადამიანებს პირდაპირ ქუჩაში კლავდნენ და განმკითხველი არავინ ჩანდა – მთელი კომენდატურა სავსე იყო ლამაზი ჯალათებით; არ ვიცი, საიდან შეიკრიბა ამდენი ფიზიკურად მშვენიერი და სულიერად მახინჯი მამაკაცი. ერთ-ერთმა მათგანმა ღამით ქართლის დედის ძეგლთან ამიყვანა – იქ, სადაც დახვრეტის იმიტაციას აწყობდნენ და პატიმრებს მორალურად ანადგურებდნენ... მიჭირს ამაზე საუბარი. ახლა, როცა ამდენი წლის შემდეგ ციხის ამაზრზენი კადრები ვიხილე, თითქოს კოშმარი თავიდან განვიცადე და ტკივილი განმიახლდა. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე „ობიექტივში“ განვაცხადე, – წამება კრემიანი ნამცხვარი არ გახლავთ, რომ ვადა გაუვიდეს და გაფუჭდეს, ნაწამები და ღირსებაშელახული ადამიანების ტკივილი მარადიულია-მეთქი. სულ მებადება კითხვა: ნეტა, სად, როგორ ოჯახებში იზრდებიან ეს პირწავარდნილი ფაშისტები, როგორი დედები ჰყავთ მათ? თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი რამდენიმე მწამებლის დედები გავიცანი მოგვიანებით და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. როგორც ჩანს, მარტო აღზრდაშიც არ არის საქმე. უფრო მეტსაც გეტყვით: თურმე, ჩემი პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა თემურ მღებრიშვილის და – თავად ბატონი თემური კი, მოგეხსენებათ, როგორც იყო განწყობილი კანონიერი პრეზიდენტის მხარდამჭერთა და მათ შორის ჩემ მიმართაც. ასე რომ, დიდება უფალს, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და ქართველი ქალი გაცილებით უფრო გონიერი, უფრო ფაქიზი არსებაა, ვიდრე მამაკაცი; საერთოდ, ქალი უფრო სიღრმისეულად სწვდება მოვლენებს, გულით ხედავს და გრძნობს სიმართლეს. სწორედ, ქალმა უნდა გადაარჩინოს სამყარო. სხვათა შორის, ეს პროცესი უკვე დაწყებულია საქართველოში – ქალებმა ძალიან დიდი ტვირთი აიკიდეს, ოჯახის გადარჩენა იკისრეს. დიახ, ბევრი რამ მამაკაცების გასაკეთებელია ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც, მაგრამ რომ არ აკეთებენ ან ვერ აკეთებენ, რა ვქნათ, ჩვენც აღარ გავანძრიოთ ხელი?

### „ვერ ვიდავითეთ“... ჩვენი აქილევსის ქუსლი

რატომ „ვერ ვიდავითეთ“? იმიტომ, რომ არ დავიცავით უფლის მიერ ბოძებული ყველაზე მთავარი მცნება – გიყვარდეთ ერთმანეთი ისე, როგორც მე მიყვარხართ! დიახ, ჩვენ არ გვიყვარს ერთმანეთი. მოდით, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ – ქრისტეზე, სამშობლოზე მეტად გვიყვარს საკუთარი თავი და, რაც მთავარია, კაენივით გვშურს მოყვასისა. ამ საშინელმა თვისებებმა ლამის გადაფაროს ჩვენი ღირსებები. ამ თვისებებით საკუთარ თავს ვანადგურებთ, ესაა ჩვენი აქილევსის ქუსლი. მახსოვს, ქართველმა ებრაელმა მხატვარმა ცისანა ჯანაშვილმა 30 ტილო აჩუქა საქართველოს (მათ შორის, ჩემი პორტრეტიც). გამოფენა მოეწყო ვერიკო ანჯაფარიძის სახ. ერთი მსახიობის თეატრში. მეც იქ გახლდით და პირველად ასე მოვხვდი ებრაულ საზოგადოებაში, რომლის თავმჯდომარეები იყვნენ ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილი და მისი მეუღლე. იმ დღეს ძალიან შემშურდა ებრაელების – ისინი ერთ მუჭად იყვნენ შეკრულნი და ბჭობდნენ თავიანთ ეროვნულ პრობლემებზე, ჩვენსავით არ ჭამდნენ და გულს არ სტკენდნენ ერთმანეთს: ისეთი თანადგომა რომ შეგვეძლოს, როგორიც ებრაელებს შეუძლიათ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ამასწინათ ზუსტად ასეთი მოსაზრება გამოთქვა ქართველმა ბიზნესმენმა, ლევან ვასაძემ. მან ტელეეკრანიდან მოგვიწოდა ურთიერთსიყვარულისა და თანადგომისკენ, – ერთმანეთს ნუ ჩავძირავთო, – განაცხადა. ჩვენ კი თვითგანადგურებას ვეწევით – ასე როგორ უნდა ვიდავითოთ, ვითამაროთ, ვიგორგასალოთ?! მაგრამ გულის სიღრმეში მაინც მწამს, რომ გამოვფხიზლდებით, უფლის მადლით შევიმოსებით და ერთმანეთის მხარში დგომას შევძლებთ. ყოველ შემთხვევაში, მინდა, რომ ამის მჯეროდეს.

**7 ნოემბერს, ოთხშაბათს, 6 საათზე, სამების ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში გაიმართება თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიის საღამო და ახალი წიგნის, „ჭრიჭინებენ, ჭრიჭინებენ ჭრიჭინები“ პრეზენტაცია.**

**ნინო სიხარულიძე**

# გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვრის მამა ბასილ მკალავიშვილის

# m i m a r T v a

## ახლადარჩეულ ხელისუფლებას

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

ვულოცავ ახლად არჩეულ ხელისუფალთ, საქართველოს მოსახლეობას, საზღვარგარეთ მყოფ ჩვენ თანამემამულეებს ამ ძნელბედობის ჟამს არჩევნების გზით 9-წლიანი ტირანული რეჟიმის დამარცხებას. ფაქტია, რომ საზოგადოებამ 1 ოქტომბრის შემდეგ ახალ ცხოვრებაში შეაბიჯა, ხალხს იმედი ჩაესახა, გათავისუფლდა შიშის სინდრომისაგან. მოსახლეობა ტერორში ჰყავდა სააკაშვილის ბოროტ ძალებს.

ვიმედოვნებთ, ცხოვრების პირობების იმ ცვლილებებს, რომელსაც ჰპირდება დაბეჩავებულ ხალხს ხელისუფლების ახალი გუნდი ბატონი ბიძინას მეთაურობით რეალობად იქცეს. ქართველმა ერმა ბატონ ბიძინას ისეთი ნდობა გამოუცხადა, რომელიც ყოველგვარ სიმდიდრეს გადასწონის.

რასაც მიწიერნი მიაღწევენ ცხოვრებაში – წარმატებას ნიჭს, გონება, ღმრთისაგან არს.

უწყით, რომ ღმერთმა ებრაელი ერი 40 წელი ატარა უდაბნოში აღთქმულ ქვეყანაში მისვლამდე. ამ ხნის მანძილზე მრავალჯერ გამოიცადა თვით ღვთივ რჩეული ერი. სწორედ ამ ერმა იბრუნა პირი ღმრთისაგან. მათ არ მიიღეს ძე ღმრთისა, თანასწორი მამისა, ჩვენი იესო ქრისტე.

უგუნურებისათვის ღმერთმა დასაჯა ებრაელი ერი იმით, რომ განფანტა მთელ მსოფლიოში. დღესაც დასჯილები არიან. გაუთავებელი ომები მიმდინარეობს ისრაელში. ანალოგიურ მდგომარეობაში ვართ ჩვენ დღეს. ღვთივ რჩეული ერი, ყოველივე ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

ჩვენი ქართველი ქალები ოდითგან კდემამოსილებით გამოირჩეოდა, რომელთა პირველი ვალდებულება იყო ოჯახის დედაბოძობა, ერთგულება და გამორჩეული ზნეობა, დღეს მიმოფანტულნი არიან მთელ მსოფლიოში და მონურ შრომას ეწევიან გადამთიელთა კარზე სარჩოს მოსაპოვებლად, ოჯახის სარჩენად ეს უფლის სასჯელია მთელ ერს მოწეული.

აქედან გამომდინარე მივმართავ ახლად შემდგარ, ხალხის რჩეულ ხელისუფლებას პირველ რიგში ყოვლის შემოქმედი ღმერთი დავაყენოთ. თუ უზენაესს ყველაზე პრიორიტეტულ, ყველაზე აღმატებულ ადგილს არ მივაგებთ, ყოველივე წყლის ნაყვა იქნება.

ღმერთმა არ ქნას განმეორდეს, უფრო სწორად, გაგრძელდეს აწ უკვე წასული ხელისუფლების მსგავსი მიდგომა სარწმუნოებისადმი. როგორც ხელისუფლებაში მოხდა ძირეული ცვლილებები ანალოგიური უნდა მოხდეს ეკლესიაში. ყველასთვის ნათელია, რომ ახლანდელ საპატრიარქოს, ძირითადად, უღირსნი წარმოადგენენ (მომიტევოს საღმა ნაწილმა).

მსოფლიო საეკლესიო კრებებს მართლმორწმუნე მეფეები და დედოფლები იწვევდნენ. როცა საქართველოს ეკლესიაში უკეთურებამ დაისადგურა, დიდმა დავითმა მოიწვია რუის-ურბნისის კრება და განწმიდა ეკლესია უღირსთაგან.

მივმართავ ბატონ ბიძინას, მან იმდენი შეძლო ერში საქართველოს მოაშორა მღრღნელები, რაც შეეხება სულიერ საქმეს, ალბათ, ეს ჯვარიც მას დააკისრა უფალმა.

ვთხოვთ მისი ინიციატივით მოიწვიონ დავითისეული ურბნისის კრება და განიდევნოს უღირსნი ეკლესიის წიაღიდან, რამეთუ ისინი სახელს უტეხენ მართლმადიდებელ ეკლესიას, ხალხს კი რწმენას უკარგავენ. ბოლოს და ბოლოს შეიქმნას ერთიანი ჭეშმარიტი ეკლესია და უფლის წყალობაც არ მოგვაკლდება.

მართლმადიდებლობის დათმობის საფასურად მოპოვებული მატერიალური პირობების გაუმჯობესება ყოვლად მიუღებელია.

წმიდა მამები შეგვაგონებენ – არანაირ განათლებას ფასი არა აქვს, თუ მას რწმენა არ ახლავს.

ამ მიმართულებით ებრძოდა ჩვენი ეკლესია მართლმადიდებლობის მტრებს მსოფლიო მასშტაბით. ამას ჩვენ არ დავუშვებთ.

მინდა აღვნიშნო მეტად პარადოქსული ფაქტი: ე.წ. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი „მოღვაწეობა“ გლდანიდან, ჩვენი ეკლესიის დარბევით ჩემი დაპატიმრებით დაიწყო. ამ ჯალათმა თავისი და ნაც.მოძრაობის მოღვაწეობა გლდანშივე ციხეში პატიმართა მიმართ სადისტური მოპყრობით დაამთავრა. მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ სააკაშვილს იმდენი ცოდვები აწევს, მას ისე წაუვა საქმე, შეიძლება, თვითმკვლელობით დაამთავროს სიცოცხლე.

მე 5 წელი მათი უკანონო პატიმარი ვიყავი. ვიცი, რა ძნელია ციხის გაუსაძლის პირობებში ყოფნა. ჩემთან ერთად დაკავებულნი იყვნენ შევარდნაძისდროინდელი მინისტრები და მაღალი თანამდებობის პირები: აკაკი ჩხაიძე, დავით მირცხულავა, სულხან მოლაშვილი, შოთა მეფარიძე და სხვები. იმდროინდელმა ქალაქის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა ბევრ მაღალჩინოსანს საპროცესო შეთანხმების ეგიდით მილიონები გამოსძალა გათავისუფლების სანაცვლოდ, ხოლო ვინც არ გადაიხადა, მხედველობაში მყავს სულხან მოლაშვილი, დავით მირცხულავა, ისინი ციხეში აწამეს და წლების განმავლობაში ამყოფეს გაუსაძლის მდგომარეობაში.

მე, ასევე მომსწრე ვარ იმ „ბუნტისა“, რომელიც 2006 წლის 27 მარტს მოაწყეს. ბაჩო ახალაიასა და გიგა ბოკერიას უშუალო ბრძანებით ჩაცხრილეს 8 პატიმარი, 50 კი მძიმედ დაჭრილი შემოიყვანეს ციხის საავადმყოფოში. პატიმრებს ჩვენ ვუხვევდით ჭრილობებს დახეული ზეწრებით.



ჩვენი ეკლესიის დარბევით მათ ძალა აჩვენეს ხალხს – თუ „ჭკვიანად“ არ მოიქცევით, ასე მოგიწევთო. მაშინ დუმდა სრულიად საქართველო. ამას მოჰყვა სერიული დარბევები, ნგრევები, 7 ნოემბერი, 26 მაისი, პატიმართა არნახული წამება, რომელი ერთი ჩამოვთვალო, სადამდე მივედით ყველამ ვნახეთ. რომ არა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, კიდევ ათეული წლებით მოგვიწევდა ფაშისტური რეჟიმით ცხოვრება.

**მივმართავ ახლადარჩეულ ხელისუფლებას, იმედს ვიტოვებთ, როგორც თვითონ აღნიშნავენ გაითვალისწინებენ ამომრჩეველთა სალ, დაბეჯითებულ არგუმენტებს. პირველ რიგში გამოაცხადონ ამინისტია, ყველა პატიმარს მიეცეს შეღავათი, რომლებიც საზოგადოებისთვის საშიშროებას არ წარმოადგენენ, ხოლო, ვისაც უკანონოდ მიესაჯა – გათავისუფლდნენ, დაუბრუნდნენ ოჯახებს.**

**მათ, ვინც ასე უკანონოდ ჩაყარეს ხალხი საპყრობილეში და ეწევიან სადისტურ წამებას, მკაცრად დაისაჯონ კანონის ძალით, დასხდნენ იმ სკამებზე, რომელიც სხვას განუმზადეს.**

**ვისი ბრძანებითაც აღესრულებოდა საკუთარი ხალხის გენოციდი, მსოფლიო მასონიზმის ფილიალის, თავისუფლების ინსტიტუტის და სოროსის გამოზრდილები არიან – გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი და ძმანი მისნი. ის, ვინც ებრძვის ენას, მამულს, სარწმუნოებას, მათი ადგილი ქართველთა შორის არ მოიძებნება.**

ამ არაკაცების დასაყრდენია წმიდა პიროვნების, ერის სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის სახელობის ინსტიტუტში მოკალათებული ზნედაცემულთა ბანდა ვინმე გივი თევზაძის თაოსნობით. ცოტაც რომ დასცლოდა, იმდენად ვერ იტანდა ილიას, ქართული ენა უნდა ამოეღო სწავლებიდან. ეს ბუდე უნდა მოიშალოს.

მე ღვთის მსახური ვარ და მიკვირს, აწ ყოფილ და ამჟამად ოპოზიციაში გადაბარგებულთა თავხედობა, მეტს ვერაფერს დავარქმევდი მათ ქმედებას. გიორგი ბარამიძე, იმ დროისათვის IV თავდაცვის მინისტრი, როგორ იძლევა ამდენ შენიშვნებს, ჩაიხედოს გულში, რამდენი ცოდვა ამძიმებს მის სულს. როგორ უსირცხვილოდ იდგა და უყურებდა ხალხის ხელებით აშენებული ჩვენ ეკლესიის რბევას, როგორ უმოწყალოდ ცემდნენ ბავშვებს, მოხუცებს. დათა ახალაია და ვასილ სანოძე სვანეთში საკუთარ ხალხს როგორ ესროდნენ რაკეტებს თვითმფრინავიდან მინისტრობის დროს. მსგავსი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება.

როგორ ურცხვად ზის პარლამენტში როლანდ ახალაია სადისტი შვილების აღმზრდელი. როგორ ჩასაფრებულნი ზიან პარლამენტის სხდომებზე საქართველოს დაუძინებელი მტრები, ერის მოძულენი. არანაირი დანდობა მათ, ყველა, სააკაშვილის მეთაურობით, განსასჯელის სკამზე უნდა დასხდნენ. ორი დღის მოსულ ხელისუფლებას უკიჟინებენ დრო დაგვისახელეთ ხალხის დანაპირების ასრულებისო. თვით 9 წლის მანძილზე გასხვისების, ადამიანთა ტერორისა და სარწმუნოების ღალატის მეტი გაუკეთებიათ რამე? საზოგადოება ელოდება პასუხს მათ საქციელზე, ჩადენილ დანაშაულობებზე. იმსახურებენ კი რომ დააბიჯებენ ღვთივ რჩეულ მიწაზე? პასუხი საზოგადოებისთვის მიმინდვია.

# სეზონური დისკომფორტი

### შარდვის გამოყოფის დარღვევები

შარდვის გამოყოფის დარღვევები განსაკუთრებული სიმწვავით ბუნებაში გარდამავალი პერიოდის დადგომისას — სეზონური ცვლილებებისას გვახსენებს თავს. შემოდგომაზე ყველაზე ხშირად მწვავდება შარდის ბუშტის ანთებითი დაავადებები და შარდვის პროცესიც რთულდება.

### დიეტოთერაპია

შარდის გამოყოფისა და მისი თვისებების შეცვლისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიეტოთერაპია.

გამწვავებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადახედოთ რაციონს და განსაზღვროთ დღე-ღამის განმავლობაში მიღებული სუფრის მარილის რაოდენობა. გახსოვდეთ: ჯანმრთელმა ადამიანმა დღის განმავლობაში არ უნდა მიიღოს 5-8 გრამზე მეტი მარილი;

ნებადართულია ბოსტნეულისა და ხილის სუპები, მოხარშული ხორცი, ბოსტნეული, ხილი, განსაკუთრებით ვაშლი, მსხალი და კომში.

შარდის გამოყოფის დარღვევისას შეზღუდეთ ან საერთოდაც გამორიცხეთ ალკოჰოლური სასმელები, მაგარი ჩაი, ყავა, ცხარე საკვები და სანელებლები.

თუ შარდის გამოყოფა რომელიმე დაავადების თანდართული სიმპტომი ან მისი გართულებაა, რაციონის შედგენისას აუცილებლად გაესაუბრეთ ძირითადი დაავა-



დების მკურნალ ექიმს და მენიუ მისი რეკომენდაციით შედგინეთ.

### პირადი ჰიგიენა

შარდის გამოყოფის დარღვევის მთავარი მიზეზი პათოგენური მიკრობების მიერ ორგანიზმში ინფექციური პროცესის განვითარებაა. ამ უსიამოვნი სიმპტომის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მივიჩნევთ ჰიგიენის რამდენიმე საჭირო წესის შეხსენებას, რაც ასეთი სახის პათოლოგიური პროცესისგან რამდენადმე დაგიცავთ:

- ეცადეთ, გენიტალური მიდამო მუდამ სუფთა და მშრალი გქონდეთ; სინოტივე ხელს უწყობს მიკრობების გამრავლებას და ინფექციური პროცესის განვითარებას;
- რეგულარულად დაცალეთ შარდის ბუშტი, განსაკუთრებით ძილის წინ, რადგან მოშარდვიდან მოშარდვამდე ინტერვალის გაზრდა კიდევ უფრო აღმავებს შარდის გამოყოფის სარეგულაციო მექანიზმების ეფექტიან მუშაობას;
- თუ თქვენი სამუშაო მუდმივად ჯდომას მოითხოვს, ყოველი ნახევარი ან ერთი საათის შემდეგ წამოდექით და ხუთიოდე წუთით გაიარ-გამოიარეთ.
- იკვებეთ რეგულარულად და სრულყოფილად.

### მედიკამენტური უსაფრთხოება

შარდის დარღვევით მიმდინარე დაავადებებისას განსაკუთრებული მედიკამენტური უსაფრთხოება მართებთ ორსულებს, რომელთაც ეკრძალებათ ასეთი სახის პათოლოგათა სამკურნალო პრეპარატების დიდი ნაწილი.

პრეპარატების მიღებისგან თავის შეკავება განსაკუთრებით პირველ ტრიმესტრში გმართებთ. ეცადეთ ორსულობის ამ პერიოდში ფონს ვიტამინებითა და მცენარეული საშუალებებით გახვიდეთ.

ასეთი ღონისძიებით, უპირველეს ყოვლისა, დაიცავთ ნაყოფს პრეპარატის მავნე ზემოქმედებისაგან, თუმცა, მოგვიანებით, აუცილებელია შარდის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, რათა ინფექციური აგენტის არსებობის შემთხვევაში ექიმმა-სპეციალისტმა ზუსტად ის ანტიბიოტიკი შეგირჩიოთ, რომელიც არ დაგაზიანებთ არც თქვენ და არც ნაყოფს.

### შარდის შეუკავებლობა მოხუცებში

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს შარდის შეუკავებლობა მოხუცებში. ამის მიზეზია შარდის ბუშტის სფინქტერის დაზიანება, რაც თავის მხრივ, მომჭერი რგოლის ასაკობრივ ცვლილებებთან არის დაკავშირებული.

სფინქტერის მოდუნება შესაძლოა, ახალგაზრდებშიც განვითარდეს, განსაკუთრებით კი — ქალებში, მშობიარობის შემდგომ, რასაც საშვილოსნოს დაწევა და ზოგიერთი სხვა ფაქტორიც უწყობს ხელს.

მამაკაცებში შარდის შეუკავებლობა მეტწილად პროსტატის კეთილთვისებიან სიმსივნეს და მის მკურნალობას უკავშირდება.

### როგორ მოვიქცეთ?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ეწვიოთ სპეციალისტს, რათა მან შეაფასოს ნერვული სისტემა და ცნობიერება, თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა, ყოველდღიური აქტივობა და მოშარდვის ჩვევები.

აუცილებელია განისაზღვროს შარდის შეუკავებლობა საშარდე სისტემის ინფექციებს, ზოგიერთ მედიკამენტს, პასიურ ცხოვრების წესს, ყაბზობას უკავშირდება, თუ იგი ნერვული სისტემის, გულ-სისხლძარღვთა და კუნთოვანი აპარატის დაზიანებისა და ფუნქციის მოშლის შედეგია.

როცა შარდვის შეუკავებლობა სფინქტერის დაზიანებითაა განპირობებული, რეკომენდებულია მისი კორექცია ოპერაციული გზით.

შარდის ბუშტის ნერვული გენეზის დისფუნქციისას ცხოვრების წესის შეცვლა და რეჟიმული შარდვაა აუცილებელი.

ქალები შარდვის შეუკავებლობის პროფილაქტიკისათვის, 40-50 წლის შემდეგ, გარკვეული პერიოდულობით აუცილებლად უნდა ეწვიონ გინეკოლოგს, მამაკაცები კი — უროლოგს, რათა საწყის ეტაპზე გამოვლენილი ცვლილებები გაცილებით ადვილად და ნაკლები სიმწვავით აღმოიფხვრას.

# შინაგანმა ორგანომ ადგილი იცვალოს

***სხეულში ნებისმიერ ორგანოს მისთვის მკაცრად განკუთვნილი ადგილი გააჩნია, რომელსაც ზოგჯერ, გარკვეულ მიზეზთა გამო, იცვლის. ეს ყოველივე მხოლოდ მის მიერ განხორციელებული ფუნქციის შეზღუდვას კი არ იწვევს, არამედ ნეგატიურად მეზობელ ორგანოებზეც ისახება. ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მივიჩნიეთ პრაქტიკული რჩევები შევთავაზოთ მათ, ვისაც გარკვეული ორგანოების დაწევა ან ადგილის შეცვლა ახასიათებს.***

***ორგანოთა ადგილის შეცვლას მედიცინაში ვისცეროფტოზი ეწოდება. აღნიშნული პათოლოგიური მდგომარეობის მქონეთათვის გასათვალისწინებელია სამი ძირითადი ფაქტორი: კვების რეჟიმი-დიეტა, სამკურნალო ფიზკულტურა და სპეციალური დამზოგავი ბანდაჟის ტარება.***

### სამკურნალო კვება — დიეტა

ნებისმიერი ფორმის ვისცეროფტოზისას კვება უნდა იყოს მაღალკალორიული, ადვილად ასათვისებელი და დანაწევრებული. პაციენტების მენიუში უნდა დომინირებდეს ისეთი საკვები, რომელიც ხელს უწყობს კუჭის მოქმედების რეგულაციას და აწესრიგებს დეფეკაციას; დაწეული ორგანოებისას მეტად საშიშია ყაბზობა და მასთან დაკავშირებული ჭინთვა, რომელიც მნიშვნელოვნად ართულებს ისედაც მოდუნებული მუცლის კუნთების მდგომარეობას.

საკვები უნდა მიირთვათ ნელ-ნელა, მცირე ულუფებით, ლუკმა საგულდაგულოდ უნდა დაღეჭოთ, კარგია, თუ მას წყალს მიაყოლებთ. აკრძალულია მკვრივი, მაგარი, უხეში, მშრალი პროდუქტების მიღება.

აუცილებელია, ჭამის შემდეგ მიიღოთ 1/2 ჭიქა თბილი მინერალური ან გაზიანი წყალი. აბსოლუტურად იკრძალება სიმძიმეების აწევა და მნიშვნელოვანი ფიზიკური დატვირთვები.

### სამკურნალო ფიზკულტურა

სამკურნალო ფიზკულტურის მთავარი მიზანია მუცლის კედლის კუნთების გამაგრება. ასთენიური ტიპის პაციენტებისთვის, რომელთაც გაცილებით ხშირად ახასიათებთ კუჭის დაწევა, სამკურნალო ფიზკულტურა ზოგჯერ უაღრესად სასარგებლოა — ვარჯიში არა მარტო კუნთებს გაუმაგრებს მათ, არამედ დადებით ემოციურ განწყობას შეუქმნის, რაც შესამჩნევად აქვეითებს ნერვულ სიმპტომატიკას.

დადებითი შედეგი მოაქვს ჰიდრომასაჟსაც. 12-15 პროცედურის შემდეგ პაციენტები უკვე თავად სწავლობენ მასაჟის ჩატარების ხერხებს და დამოუკიდებლად იტარებენ ბინაზე რეგულარულად.

### ვისცერომასაჟი

უკანასკნელ წლებში, როგორც ვისცეროფტოზის, ისე სხვა სახის პათოლოგიებისას, განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ სამკურნალო მასაჟის ისეთ სახეს, როგორიც არის ვისცერომასაჟი, ანუ შინაგანი ორგანოების მასაჟი.

მასაჟის პრინციპი ეფუძნება იმას, რომ ნებისმიერ დაწეულ და ადგილნაცვალ ორგანოში განვითარებულია ნერვული ბოჭკოს დამბლა და სისხლძარღვთა სპაზმი, ჟანგბადისა და საკვების უკმარისობა, ვენური და ლიმფური შეგუბება, ყოველივე კი უჯრედის თვითმოწამვლას იწვევს.

მუცლის არეში მანუალური (ხელით) მოქმედებით ვისცერომასაჟისტები არა მარტო მუცლის ღრუში, არამედ თავის ტვინში, გულმკერდსა და კიდურებში სწორედ სისხლისა და ლიმფის მიმოქცევის გაუმჯობესებას ცდილობენ,

ხელითდაწოლით მოქმედებებით ისინი ამასაჟებენ შინაგან ორგანოთა ირგვლივ არეებს გარკვეული თანმიმდევრობით და საჭირო მიმართულებით, რაც საბოლოო ჯამში ორგანოთა საჭირო ადგილზე ფიქსაციას უწყობს ხელს.

ვისცერომასაჟისას გასათვალისწინებელია შემდეგი: იგი ტარდება მხოლოდ პაციენტის კონკრეტული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ. აუცილებელია პაციენტის გამოკითხვა, მისი მდგომარეობის დიაგნოსტიკური დაზუსტება, რადგან მასაჟის ამ სახეს გააჩნია თავისი ჩვენებები და უკუჩვენებები



### სამკურნალო-დამზოგავი ბანდაჟი

გამოიყენება თირკმლების, ღვიძლის, ნაწლავებისა და მუცლის სხვა ორგანოების დაწევისას, იქნება ეს მუცლის ღრუსა და მენჯის კუნთების შეძენილი თუ თანდაყოლილი ხასიათის სისუსტე, წონაში უცაბედი გახდომით გამოწვეული და სხვა.

ბანდაჟი შეკერილია სპეციალური ბადისებრი სტრუქტურის ელასტიკური ქსოვილისაგან, რაც სხეულს საშუალებას აძლევს „ისუნთქოს", არ იწვევს ალერგიასა და კანის გაღიზიანებას. იგი არეგულირებს მუცელშიდა წნევას, რის შედეგადაც იზღუდება შინაგანი ორგანოების აღრევა.

უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი: ბანდაჟი უნდა ჩაიცვათ ზურგზე დაწოლილ მდგომარეობაში, მენჯის მსუბუქად აწევით.

ბანდაჟის გამოყენებამდე აუცილებელია ექიმის კონსულტაცია, მისი გამოყენება შესაძლებელია მუცლის მასაჟთან და სამკურნალო ფიზკულტურასთან კომპლექსში.

მუცლის გარშემოწერილობის მიხედვით ბანდაჟის ზომები ასე ისაზღვრება:

| | |
|---|---|
| №3 (S) | №4 (M) |
| 60-80 სმ | 80-100 სმ |
| №5 (L) | №6 (XL) |
| 100-120 სმ | 120-140 სმ |

### მითები ორგანოთა დაწევის შესახებ

ძალიან ხშირად პაციენტები მკურნალობის შესახებ გავრცელებული მითებისა და შეხედულებების გავლენის ქვეშ ექცევიან , რის შედეგადაც ხელი ეშლებათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. მცდარი ინფორმაციის წყარო ჩვეულებრივ არასპეციალისტები არიან. გთავაზობთ მათ შორის ყველაზე გავრცელებულ მითებს.

**მითი 1.** ვისცეროფტოზი არ იკურნება, არ არსებობს ეფექტიანი მკურნალობა. თუ ორგანომ ერთხელ მაინც დაიწია, იგი აუცილებლად ისევ დაიწევს.

**კომენტარი:** თანამედროვე მედიცინის არსენალში საკმაოდ მოიპოვება ისეთი მეთოდები და საშუალებები, რომლებსაც სამუდამოდ შეუძლია ადამიანის ვისცეროფტოზისგან განკურნება.

**მითი 2.** საშვილოსნოს გაკერვას რა უნდა, მას ნებისმიერი გინეკოლოგი უპრობლემოდ მოახერხებს.

**კომენტარი:** მენჯის ქირურგია ექიმისგან საკმაოდ რთული ოპერაციული მეთოდების ცოდნას მოითხოვს. საკმაოდ ბევრ ქვეყანაში სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ გინეკოლოგები რამდენიმე წელი დამატებით სწავლობენ უროგინეკოლოგიას და მენჯის ორგანოების რეკონსტრუქციულ ქირურგიას. ამიტომ ოპერაციამდე საგულდაგულოდ უნდა შეარჩიოთ შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ექიმი.

**მითი 3.** ვისცეროფტოზი მკურნალობას არ საჭიროებს, 40-50 პროცენტს აქვს, ესე იგი, იგი თითქმის ნორმაა.

**კომენტარი:** ვისცეროფტოზი ნორმა არ არის, იგი დაავადებაა. თუ გსურთ, თავი კვლავ სრულფასოვან ადამიანად შეიგრძნოთ, ნუღარ აყოვნებთ, დროულად შეუდექით მკურნალობას.

**გვერდი მოამზადა
ზვიად ღონღაძემ**

# ხალხს უნდა მიეწოდოს ნამდვილი ხელოვნება და აუცილებლად უნდა აღსდგეს კინოსტუდია „ქართული ფილმი“



*გვესაუბრება კინორეჟისორი*
*გიორგი შენგელაია*

**— ბატონო გიორგი, ტელეკომპანია "კავკასიამ" საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარა ამასთან დაკავშირებით. მაყურებელთა 49% იყო მომხრე, რომ სამინისტრო გაუქმდეს. მეცხრე არხზე გამოსვლისას თქვენ აღნიშნეთ, რომ კულტურის სამინისტროს გაუქმება არ შეიძლება...**

— საზოგადოების წარმომადგენლების საგაზეთო მწერილები გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში არის გონიერი ხალხი, ახლა ვინც მხარი უჭერს მხარს კულტურის სამინისტროს არსებობას. ახალი თაობის უმეტესობა აზროვნებს საბაზრო ეკონომიკის პრინციპის. მაგალითად, მიაჩნიათ ის, რომ კულტურის სამინისტრო არ არის ამერიკაში. ჩვენთანაც არ უნდა არსებობდეს. სამაგიეროდ, ის არის საფრანგეთში, იტალიაში, მგონი, გერმანიაშიც.

ახლა ჩამოგიყალიბებთ პირადად ჩემს პოზიციას. ჩვენ კულტურის სამინისტრო ჰაერივით გვჭირდება. რეფორმები, რომელსაც ახლა ბიძინა ივანიშვილი ატარებს, მარტო მატერიალურ მხარეს არ ემსახუროს. ხალხს უნდა მიეწოდოს ნამდვილი კულტურა. არ გიფიქრიათ, რომ ასეთ პატარა ერს გვყავს შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა. გადახედეთ, ასეთ პატარა ერებს ჰყავთ ამდენი ბუმბერაზი? ჩვენ კოსმოპოლიტებიც ვართ კარგი გაგებით. ყველა ეპოქაში ადვილად ვითვისებდით სხვა კულტურებსაც. ამის მაგალითები არის ის, რომ ადვილად შევითვისეთ ელინური, შემდგომში ქრისტიანული კულტურა. რუსთაველის "ვეფხისტყაოსანში" აღმოსავლეთიცაა და ნეოპლატონიზმიც.

კულტურის მინისტრი ფუნქციონალურად შეიძლება იყოს მწერალი ან პოეტი, მაგრამ კოლექტივი უნდა იყოს დაკომპლექტებული ხელოვნებათმცოდნეებით.

**— ალბათ სასურველიცაა, მინისტრი კარგი მენეჯერიც იყოს...**

—აუცილებელი არ არის. რას აიჩემეთ ეს ამერიკული სიტყვები. მენეჯერები უნდა იყვნენ მოადგილეები. მთლიანად სამინისტრო უნდა იყოს დაყოფილი დარგობრივი პრინციპით, ასევე უნდა იყოს განაწილებული მოადგილეების საქმიანობა.

**— თქვენ თქვით, რომ კულტურის სამინისტრო არ არის ამერიკაში, სამაგიეროდ, არის ევროპის ქვეყნებში და მათ უნდა მივბაძოთ....**

— დიახ, ამერიკას სხვა ისტორია აქვს. შეიძლება 200 წლის მერე ჩვენც მივაღწიოთ იმას, რა დონეც ახლა მათ აქვთ. ჩვენ ახლა ამ სტრუქტურის აშენება ნულიდან უნდა დავიწყოთ. საფრანგეთში კულტურის მინისტრი წლების განმავლობაში იყო ანრი მალრო, მწერალი. ამავე დროს იგი კულტუროლოგიც გახლდათ. შვეციაში კინოს სახელმწიფო დაფინანსება აქვს. ვთქვათ, ბერგმანმა არ უნდა იჭყლიტოს თავი იმაზე, სად იშოვოს ფული, ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

რუსულ გაზეთში წავიკითხე ჟურნალისტის წერილი. ეს ჟურნალისტი მივლინებით იყო ჩინეთში. იქ გამოიკითხა, თქვენთან სკოლაში ძირითადად რა საგნები ისწავლებაო და იცით, რა უპასუხეს? მუსიკა და ხატვაო. ხედავთ, რა ბრძენი ხალხია?! ადამიანის ფორმირება ჯერ ბუნებაში ხდება, ხატავს, მუსიკას უსმენს. კომპიუტერს — ამ სათამაშოს მერე აძლევენ.

**—ბატონო გიორგი, ახლა ვისაუბროთ ქართულ კინოზე. რა პერსპექტივა გესახებათ მისთვის სამომავლოდ?**

—მეორე მთავარი პრობლემა, რაც მე ძალიან მაწუხებს, ეს არის ქართული კინო. აქ ჩემთან, სოფელ დიღომში, მოდიან ხოლმე ბავშვები და მეკითხებიან, ძია გიორგი, სადაა კარგი ქართული ფილმები, ისეთი, ადრე რომ იყოო.

საერთოდ, რატომღაც ყველაზე სულელური ნაბიჯი ჩვენ უნდა გადავდგათ ხოლმე. სომხები "ტუტუც ვრაცებს" ტყუილად კი არ გვეძახიან.

საბჭოთაა კავშირის დანგრევის შემდეგ კინოსტუდია უცებ გადავიყვანეთ საბაზრო ფორმაში, ის სააქციო საზოგადოება გახდა. ვაპირებდით გადაგველო ფილმები, გაგვეყიდა, ფული რომ შემოსულიყო. ეს ასე არ მოხდა, აღარ გვქონდა ბაზარი. ძირითადი ბაზარი ქართული კინოსთვის ხომ რუსეთი იყო? დასავლეთის ბაზრის მოპოვება კი რთულია. მე, მაგალითად, ღვინოსაც ვაკეთებ, "ნატო ვაჩნაძე" ჰქვია. საფრანგეთში რომ ჩავედი, ჩემმა მეგობრებმა მიმიყვანეს ერთ მაღაზიაში მივიტანე ღვინო, გასინჯა კაცმა, ძალიან კარგი ღვინოა, მაგრამ თაროზე ადგილი არ მაქვს, რომ დავდოო. იქ უამრავი ფირმის ღვინო აქვთ სხვადასხვა ქვეყნებიდან. ჩვენ იქ ძალიან ძნელად გავალთ.

ერთი სიტყვით, კინოსტუდია დაიქცა. პრივატიზაცია რომ მოხდა, ჩვენ, კინოსტუდიის თანამშრომლებს, შეგვხვდა სააქციო საზოგადოების აქციათა ერთი მესამედი, ორი მესამედი ეკონომიკის სამინისტრომ წაიღო. არველაძემ და მისმა ხელქვეითებმა, დავარაშვილებმა და მისთანებმა ნახევარზე მეტი გაყიდეს. 6 მილიონად გაიყიდა კინოსტუდიის მიწის ერთ-ერთი ფართობი. 6 მილიონი გადამხდელებს ნაღდი ფული გამოართვეს, 2 მილიონი ჩარიცხეს კინოსტუდიაში. დანარჩენი 4 მილიონი სად წავიდა? არველაძის და მისთანების ჯიბეებში.

ჩვენ უკან არ დავიხევთ, ცოცხალი თავით არ დავთმობთ იმ ადგილს, სადაც ქართული კინო არსებობდა, სადაც მუშაობდნენ ძველი თაობის კინოკლასიკოსები, ვმუშაობდით მე, ჩემი ძმა, ოთარ იოსელიანი, ჩემი თაობის სხვა რეჟისორები.

**— თქვენ ასევე აღნიშნეთ, რომ სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს ქართული ფილმი, როგორც ხდებოდა საბჭოთა კავშირის პერიოდში. არის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამის მაგალითი?**

— პოსტსაბჭოთაა ქვეყნებში კინოსტუდიებს დღემდე სახელმწიფო აფინანსებს. უკრაინას, ბელორუსიას, ყაზახეთს, აზერბაიჯანს ჭკუა ეყოთ, დატოვეს კინოსტუდიები და მათ პატრონობს მთავრობა. ჩვენს გვერდზეა ამისი მაგალითი, თუ როგორ აძლევენ სახელმწიფოები დოტაციას კინოს. გასაგებია, რომ მათ ბიუჯეტი უფრო დიდი აქვთ, ვიდრე ჩვენ. თუ მივაღწიეთ მიზანს და ქართული კინო გადავიყვანეთ სახელმწიფო დოტაციაზე. პირველ წელიწადს ორ-სამ ფილმს მაინც გადავიღებთ.

**— გაქვთყიმედი, რომ ეს რეალურად განხორციელდება და ახალი ხელისუფლება ხელს შეგიწყობთ?**

— ბიძინას ივანიშვილს დიდი პლიუსი რა გახლავთ, იცი? ხელოვნება უყვარს. ბიძინა რომ არ ყოფილიყო, მე და ჩემნაირებს წამლის ფული არ გვექნებოდა. როცა მმართველი კარგია, და გონიერი, ხელოვნებაც ვითარდება.

ბიძინასა და სააკაშვილის ისტორია დავითისა და გოლიათის ისტორიას მაგონებს ბიბლიიდან. გოლიათს უნდა შერკინებოდა ვინმე ებრაელთა ჯარიდან. ვერავინ გაბედა. დავითი ახალგაზრდა კაცი იყო, არც ისე დიდი ტანის პატრონი. იყო მწყემსი, თან ლირაზე უკრავდა. გოლიათთან შესარკინებლად რომ წავიდა, თან ჰქონდა უბრალო მწყემსის შურდული, გზაზე აიღო ქვა და ის გოლიათს შუბლში მოახვედრა. არ გაგონებთ ეს ჩვენს დღევანდელობას?

**— ბოლოდროინდელ მიუზიკლებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. "ქეთო და კოტე" და "ვერის უბნის მელოდიები" მაქვს მხედველობაში. მათი პოლიტიზირება მოხდა. რატომღაც სააკაშვილის მომხრეებს უნდა მოსწონებოდათ, მოწინაალმდეგეებს — არა. ჯანსაღი კრიტიკა კი არც შეხებია, აქა-იქ თუ გაისმა რაღაც. ეს უცნაურად არ ჩანს?**

— მოდით, ვთქვათ სიმართლე: ამ მიუზიკლების არა მარტო პოლიტიზირება, სექსუალიზირებაც მოხდა. ეს იყო ფავორიტებისთვის დადგმული სპექტაკლები. თევზი თავიდან ყარს.



**— თქვენ გაქვთ გეგმა, იდეა, გადაიღოთ ფილმი ახლო მომავალში?**

— მე მქონდა სცენარი. დავწერე ამათზე — "ნაციონალებზე". ამ სცენარზე ვიმუშავე ახალგაზრდა სცენარისტთან ბესო სოლომანაშვილთან ერთად. მოქმედება მიმდინარეობს ლტოლვითა გარემოში. აქ, დიღომში, ჩემს სახლს სახურავი გაუფუჭდა. მომიყვანეს ორი მეთუნე, აღმოჩნდნენ ლტოლვილები კეხვიდან. შესვენების დროს ისეთი ისტორიები მომიყვნენ, სცენარისტი ისე ვერ მოიფიქრებს. მეც გავაკეთე სცენარი ამ ისტორიების ნიადაგზე. მივიტანე კულტურის სამინისტროში — ჩამიგდეს. მაშინ ჯერ ბიძინა არ იყო გამოჩენილი.

კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს: უნდა მოხდეს კულტურის აღორძინება და ამისი ფუნქცია აქვს კულტურის სამინისტროს, მთავრობას. მე არ მომერიდება, მივიდე ბატონ ბიძინასთან და ვუთხრა: ბატონო ბიძინა, აიყვანეთ კინოსტუდია, როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია, დოტაციაზე. მე კინოს ვუყურებ, როგორც ხელოვნებას. კინოსტუდია "ქართული ფილმი" უნდა აღდგეს, როგორც კულტურული ინსტიტუცია.

**თამუნა ქადაგიძე**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
*მთვარისა კევლიშვილი.*
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ვინ არიან პირველი რიგის მემკვიდრეები?**

— პირველი რიგის მემკვიდრეები არიან მშობლები, შვილები, მეუღლე.

* * *

**— რა ფორმით უნდა შედგეს ანდერძი?**

— ანდერძი უნდა შედგეს წერილობით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძის შედგენა სანოტარო ფორმით ან მის გარეშე.

* * *

**— რას ნიშნავს მემკვიდრეობა წარმომადგენლობით?**

— წარმომადგენლობითი მემკვიდრეობა გახლავთ ისეთი შემთხვევა, როდესაც სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება მემკვიდრე და მის კუთვნილ წილს იღებს ამ მემკვიდრის მემკვიდრე. კანონი ასე სამ შემთხვევას იცნობს:

1. თუკი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გარდაცვალა მამკვიდრებლის შვილი, მაშინ მემკვიდრეობას წარმომადგენლობით იღებენ შვილიშვილები;

2. თუკი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გარდაიცვალნენ მისი ბებია-პაპა, მაშინ ბებია-პაპის წილს მიიღებენ მისი მშობლები;

3. თუკი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გარდაიცვალა მისი და ან ძმა, მაშინ მათ მაგივრად მემკვიდრეობას მიიღებენ დისშვილები ან/და ძმისშვილები.

* * *

**— შეიძლება თუ არა შვილად აყვანა გაფორმდეს სანოტარო წესით?**

— არა. შვილად აყვანა მხოლოდ სასამართლო წესით უნდა მოხდეს.

* * *

**— რა შემთხვევაში ხდება მშობლის უფლების ჩამორთმევა?**

— მშობლის უფლების ჩამორთმევა არის უკიდურესი ზომა და ყველაზე მძიმე სასჯელი, რაც შეიძლება მშობლის მიმართ იყოს გამოყენებული, ვინაიდან, მშობლის უფლების ჩამორთმევით მშობელი კარგავს ყველანაირ უფლებას თავის შვილზე.

ეს ზომა შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი მშობლის მიმართ, რომელიც სისტემატურად არიდებს თავს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს; ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ან ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან რომლის შვილიც მიტოვებულადაა აღიარებული.

მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება აღდგეს, თუკი აღმოიფხვრება ის საფუძველი, რომლის გამოც მოხდა მშობლის უფლების ჩამორთმევა. მაგალითად, თუკი პირს ჩამოერთვა მშობლის უფლება იმის გამო, რომ იგი სისტემატურად ბოროტად იყენებდა ალკოჰოლს, უხეშად ექცეოდა შვილს და არ ზრუნავდა მის აღზრდა-განვითარებაზე, მაგრამ რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ მან თავი დაანება ალკოჰოლის მოხმარებას და სრულიად გამოსწორდა, -შესაძლოა, სასამართლომ აღადგინოს მისი, როგორც მშობლის უფლებები და მოვალეობები. ეს შეიძლება მოხდეს როგორც ერთ-ერთი მშობლის, ისე ბავშვის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით.

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენისას სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის სურვილსაც, თუ მას შეუსრულდა ათი წელი.

აქვე გეტყვით, რომ მშობლის უფლება-მოვალეობების აღდგენა არ დაიშვება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სხვამ იშვილა.



* * *

**— რამდენ ხანში უნდა განიხილოს სასამართლომ სარჩელი ალიმენტის გადახდის შესახებ?**

— სარჩელის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

* * *

**— შვილად ამყავს გოგონა. შეიძლება თუ არა, სასამართლო პროცესი ჩატარდეს ჩემი მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ ჩემი წარმომადგენლის დასწრებით?**

— არა.

აკრძალულია ბავშვის შვილად აყვანა მშვილებლის სასამართლო სხდომაში მონაწილეობის გარეშე. ეს გახლავთ კანონის იმპერატიული მოთხოვნა.

* * *

**— ჩემმა ბიძაშვილმა ანდერძით მიიღო მამაჩემის ქონება. მინდა შევიტანო სარჩელი ანდერძის ბათილობის შესახებ. რა ვადაში შეიძლება ანდერძის ბათილობაზე დავა?**

— კანონით განსაზღვრულია ვადა, რომლის განმავლობაშიც ანდერძის ბათილობაზე დავა შეიძლება. ეს ვადაა ორი წელი, სამკვიდროს გახსნის დღიდან.

მოგზაურობა სამშობლოში

# xoreniuli istoria

## ცენტრალური ჯავახეთი

**ახალქალაქიდან ბავრისკენ მიმავალ ნაცნობ გზას დავადექით, კურსი სამხრეთ-აღმოსავლეთით გვიკავია. ჯერ თორიაში უნდა ავიდეთ, იქიდან კი ხორენიაში დავეშვათ. თორიამდე 12 კმ-ია, იქიდან ხორენიამდე – 6 კმ. თორია აბულის კალთებზე, ზღვის დონიდან 1900 მეტრზეა. აქამდე ჩვენი „ნივა“ დაუბრკოლებლად მიდის, უფრო ზევით კი, სადაც მიტოვებული სალოცავი გვეგულება, გზა გვირთულდება.**

**თორიის** ძველი ქართული მოსახლეობის სალოცავს უცნაური ფორმა მიუღია – ბაზალტის ფლეთილი ქვის ისედაც ქაოტური წყობით აყვანილი კედლები კიდევ უფრო დაუდევრად აღუდგენიათ და შიფერით დაუხურავთ. ოღრო-ჩოღრო იატაკზე თივა, ტალახი და სკორეა ერთმანეთში აზელილი. კართან თუნუქის ჯამჭურჭელი და ბოთლები ყრია. მიტოვებული სამლოცველო მწყემსებს თავშესაფრად გამოუყენებიათ, მაგრამ დამტვრეული ქვაჯვრისა და მისი პოსტამენტისთვის ხელი არ უხლიათ.

დასაფიქსირებელი ბევრი არაფერია და ძირითადად ქვევით შეფენილი სოფლის ხედებს ვიღებთ. თორია მოზრდილი სომხური დასახლებაა. ცენტრში სრული საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობაა, იქვე არსებული ძველი კლუბის დარბაზი კი დუქნად გადაუქცევიათ. მთაზე არსებულ სალოცავსა და სოფელს შორის კიდევ ერთი საყდრის კედელი და ძველი საფლავის ლოდებია შემორჩენილი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ თანახმად, **XVI საუკუნეში თორიაში 21 ქრისტიანი ქართული ოჯახი ცხოვრობდა, მათი ნაწილი გადასახლდა, ნაწილი კი იერლად იქცა და რუსეთ-თურქეთის ომის დროს გადაიხვეწა. თორიაში XIX საუკუნის 30-იან წლებში თურქეთიდან ამოყვანილი სომხები დაასახლეს.**

თორია ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონების საზღვარზეა. აქედან, **ეშტიის** გავლით, ძალიან საინტერესო სოფელში, **ტონთიოში** შეიძლება მოხვედრა, მაგრამ ჩვენ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებას ვირჩევთ, რათა ცენტრალური ჯავახეთის პირობით საზღვრებს არ დავცილდეთ და დიდ ხორენიაში ჩავიდეთ.

**დიდი ხორენია** ფარავნისწყლის (ჯავახეთის მტკვრის) მარჯვენა ნაპირზეა. ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ სხვა არცერთ სომხურ სოფელში ისე არ გამჭირვებია ხალხთან საერთო ენის გამოძებნა, როგორც აქ.



თორიის საფლავის ქვა

– თქვენი აზრით, რას ნიშნავს ჩვენი სოფლის სახელწოდება? – ყალბი თავაზიანობითა და გამომცდელი ღიმილით მეკითხება ერთი შავტუხა ხორენიელი, რომელსაც პაპანაქება სიცხეში გაქონილი კოსტუმი აცვია და ჭრელ პერანგზე ჰალსტუხი „მოურგია“. დგას და ყოვლისმცოდნე კაცის მზერით მჭვალავს. სურს კამათში გამომიწვიოს. არადა, ვიცი, რისი თქმაც უნდა.

– იცი, ახპერჯან, – მივმართავ უბირს და კამათის სურვილზე ცივ წყალს ვუსხამ, – მოსე ხორენეცი ცნობილი სომეხი მემატიანე კი იყო, მაგრამ ამ ხორენიასთან საერთო არაფერი ჰქონია.

ჰალსტუხიანი აიმრიზა და განზე გადგა.

ჩვენ ერთ მცირე ბორცვზე ავდივართ, სადაც პატარა საყდარია. აქვეა ტერასაზე შეფენილი ძველი სასაფლაოს ლოდები.

**პატარა საყდარი დიდი თლილი ლოდებითაა აგებული, ღორფინი სრულიად მორღვევია და აქა-იქ პერანგიც დასზიანებია. დასავლეთის სამერცხულს წრეზე ჩუქურთმა დასდევს, სამხრეთ კედელზე კი ჯვარია გამოსახული. XIII-XIV საუკუნეების ეკლესია უნდა იყოს.**

მცირე საყდრიდან სოფელი სრული პანორამით იშლება. უწინარესად თვალში გეცემათ ყორეების ლაბირინთი, რომელსაც მთელი სოფელი შუკებად და უბნებად დაუსერავს. ამის შემხედვარემ ძნელია დაძლიო ცთუნება, რომ სოფლის სახელწოდება „ხორენია“ ყორეებს არ დაუკავშირო, მაგრამ ეს აშკარად ემოციური დასკვნა გამოვა. თითქოს ის უფრო მართებული იქნებოდა, რომ ტოპონიმი ბიბლიურ ხორებთან დაგვეკავშირებინა. ხორების კლდიდან მოსემ, უფლის ნებით, აკი წყარო დაადინა უდაბნოში მოხეტიალე ებრაელებისთვის. **სხვათა შორის, ამ ხორებს უნდა უკავშირდებოდეს ჰერეთის უძველესი დედაქალაქის სახელწოდება ხორანთა. იგივე შეიძლება ვთქვათ ხორნაბუჯზე (დედოფლისწყაროს რ-ნი), ხორითზე (ხარაგაულის რ-ნი) და ხორეთზე (ლანჩხუთის რ-ნი).** სიტყვა „თითქოს“ იმიტომ წარვუმძღვარე ჩემს მოსაზრებას, რომ ახალქალაქის ხორენიას თავდაპირველად სხვა სახელწოდება ჰქონია – **ხვირანიო.** ასეა იგი ნახსენები ორ ისტორიულ საბუთში: მეზობლად მდებარე კარნეთის ეკლესიის XIV საუკუნის წარწერაში (მომდევნო მოგზაურობისას ჩვენ სწორედ კარნეთში შევივლით) და 1609 წლის იმ სიგელში, რომელიც მანუჩარ ათაბაგს რუისის საყდრისთვის შეუდგენია დედამისის – დედისიმედის (იგივე დებორას) საფლავის საალაპოდ. ამ საბუთის ფრაგმენტი აუცილებლად უნდა მოვიყვანოთ, რადგან ის, ხორენიის უძველეს სახელთან ერთად, ქართველების ერთი ნაწილის აქედან აყრის ამბავსაც გვიმხელს: **„შემიწირავს ხვირანიელნი ბებნის მსახლობელნი და რაცა ამა ქუეყანასა იყვნენ და ან იქიდამ-ლა ჩამოვიდნენ“.** როდის უნდა ჩასახლებულიყვნენ შიდა ქართლში, კერძოდ კი ბებნისში ხორენიელი ქართველები? ეს ამბავი 1578 წლის მერე უნდა მომხდარიყო, როცა ჩილდირის ველზე ოსმალეთმა სპარსელები დაამარცხა. ასე რომ, ბებნისისა და რუისის დღევანდელი მოსახლეობის ძარღვებში ხორენიელი ქართველების – ჯავახების სისხლიც ჩქეფს და რუისის ტაძარში დაკრძალული ქეთევან წამებულის მამიდის, სამცხის ათაბაგ ქაიხოსრო II-ის მეუღლის, დედისიმედის ნეშტსაც ისინი ინახავენ. როგორ გინდა, რომ ყოველივე ეს აუხსნა ჰალსტუხიან ხორენიელს, რომლის წინაპარი ორი საუკუნეც არაა, რაც ჯავახეთის ამ სოფელში ჩამოასახლა პასკევიჩმა ერზრუმის მხრიდან? ახლა ეს კაცი, რატომღაც ჩემზე და მთელ ქართველობაზე გაგულისებული, თოფნაკრავივით მიცუხცუხებს თავქვე, რათა სოფელს დაუპატიჟებელი ქართველების გამოჩენა აუწყოს. სულ მალე ჩვენც ქვევით ვეშვებით, სადაც დიდი ხორენიის მთავარი საყდარია.

საყდართან რამდენიმე ხორენიელი შეკრებილა „შესაგებებლად“. მათ შორისაა ჩვენი ნაცნობიც, რომელსაც ახლა ცილინდრიც წამოუკოსებია. მართალია, მასთან და დანარჩენ კაცებთან ჩვენი მეგზური გურამ წინწკალაძე ლაპარაკობს და სომხურისა მე არ გამეგება რა, მაგრამ მოსაუბრეთა გაცხარების შემხედვარე ვშიშობ, რომ პროვოკაცია არ მოხდეს. ამიტომ, მობილური ტელეფონით ახალქალაქის რაიონის მაშინდელ გამგებელს ათო ამბარცუმიანს ვუკავშირდები და ხორენიელებთან ვალაპარაკებ. მცირე სატელეფონო დიალოგის შემდეგ სოფლელები ისე შემოგვეცალნენ, რომ მერე, როცა ეკლესიაზე მიდგმული ფარდულის გახსნა მჭირდება, გასაღების მქონე პიროვნებას ძლივს ვაგნებ სოფელში.



ხორენიის კლდეზე მდგარი მცირე ეკლესია







ხორენიის მთავარი ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და დასავლეთ ფასადის ძველი და გვიანდელი ორი რელიეფი

**ფარდულიდან სამხრეთით სტოის ნახვა იმიტომ მჭირდება, რომ მის არქიტრავზე მელქისედეკ კალათიკოსის წარწერა მეგულება. წითელი სალებავით შესრულებული ეს წარწერა ჯერ ექვთიმე თაყაიშვილს უნახავს, მერე კი – 1933 წელს ნიკო ბერძენიშვილს. ამ უკანასკნელის ჩანაწერებში** ნათქვამია, რომ მის წინაშე წარწერიან ქვასთან შეკრებილ სომხებს თავი გაუგიჟებიათ – გინდა თუ არა წარწერა სომხურიაო. არადა, დაზიანების მიუხედავად, ექვთიმე თაყაიშვილს მაინც წაუკითხავს ქართული ასომთავრული წარწერა: **„ჯუარი ქრისტესი, ქრისტე ადიდე მელიქიზედეკ კათალიკოსი ორთავე შინა ცხოვრებათა ამინ. ქორონიკონი სმთ** (1029 წ. – ***გ.ქ.***)“. ბატონი ნიკო სოფლიდან ისეთი შეშფოთებული წასულა, – ემანდ, წარწერა არ ხელყონო – რომ მეორე დღეს უკანვე ამობრუნებულა და ძეგლი შეუმოწმებია. მას შემდეგ 70 წელმა განვლო. ტაძრის კედლები ერთავად კირის სქელი ხსნარითაა შეთეთრებული. წარწერას ვერ ვაგნებ...

ხორენიის ამ ტაძარზე 1896 წელს, ივ. როსტომაშვილს ოთხი სხვა ქართული წარწერაც უნახავს, რომელიც ექვ.თაყაიშვილს აღარ დახვედრია. მათგან ერთ-ერთი XIII საუკუნით თარიღდებოდა და დროებითი სახურავის ქვეშ ყოფილა მოთავსებული: **„ოდეს თათართა** (იგულისხმება მონღოლები – ***გ.ქ.***) **ყოველნი ქუეყანანი წაგუართოა, მისგან დაუმთავრებელნი კარის ბჭენი მე, ჩოგამან გავათავენ. ვინცა ამას ნახვიდეთ, მოგვიგონებდეთ. ოცდაჩვიდმეტი ათასი თეთრი... კათალიკოზსა და მეფეს ვემსახურეთ“.**

ტაძრის ძირითადი დარბაზი X საუკუნეზე ადრე უნდა იყოს აგებული. შესასვლელებს ნალისებრი თაღები აქვს, ერთ-ერთ კაპიტელზე კი საკმაოდ არქაული ვარდული და მტრედია გამოსახული. ისინი გადათეთრებულია. კიდევ უფრო საინტერესოა სტოაში შემონახული სხვა, მცირე რელიეფები.

ვდგავარ ტაძარში და X-XIII საუკუნეების საქართველოს: ზემო ქართლს, მამფალებს, კუროპალატებს, წმინდა მამებსა და კირითხუროებს ვიხსენებ, გარეთ კი... გარეთ სომხური სოფელი ფუთფუთებს და მისი ჰალსტუხიანი მკვიდრი იმაზე ოცნებობს, რაც შეიძლება მალე მოვწყდე აქაურობას.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**







ხორენიის მთავარი ეკლესიის საკურთხევლის აბსიდი და ინტერიერის რელიეფები

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

**ჯემალ დავლიანიძე**

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14-44

### ჯაბა იოსელიანი („აფხაზეთში, კონფედერატებმა და სომხებმა შემოტევა დაიწყეს... პარლამენტი აყოლილია შევარდნაძის ინტრიგებს“):

„1994 წლის თებერვალს თბილისში ველოდებით პრეზიდენტ ბორის ელცინს... გრაჩოვთან ჩემი საუბრების თემა აფხაზეთია. ახლა მდგომარეობა გამძაფრებულია იმითაც, რომ დალის ხეობაში აფხაზებმა, კონფედერატებმა და სომხებმა შემოტევა დაიწყეს. დავკარგეთ ლათასთან არსებული გვირაბები... წვეულებაზე გრაჩოვი ჩემს გვერდითაა. თითქოს თავს იმართლებს ჩემს წინაშე: „კიტოვანი გავაფრთხილე, როცა ტექნიკა გადავეცი, ვუთხარი, თენგიზ, აფხაზეთში არ შეხვიდე, ცუდად დამთავრდება-მეთქი. ხელწერილიც ჩამოვართვი... ორი კვირაც არ გასულა, დაადო თავი და შერიხინდა“ (რა თქმა უნდა, კიტოვანი შევარდნაძის მხარდაჭერით და უშუალო ბრძანებით მოქმედებდა. — ჯ.დ.).

...როგორც ეტყობა, ელცინთან შევარდნაძეს ღია, გულახდილი და საქმიანი ლაპარაკი არ გამოუვიდა. საბოლოოდ ვერ გაირკვა, რა უნდა დავთმოთ ჩვენ და რაზეა მზად რუსეთი, რომ აფხაზეთის პრობლემა დროებით მაინც გადაიჭრას. არც ჩვენ ხალხში და არც პარლამენტში, ჯერ კიდევ გაცნობიერებული არ არის, თუ რა სერიოზულ ამბავთან გვაქვს საქმე... რუსეთი არ შეცვლის კავკასიის სტრატეგიულ პოლიტიკას, არ დათმობს შავ ზღვას, რიწას, გაგრას, ბიჭვინთასა და მიუსერას... რაკი თავის დროზე პოლიტიკურად ვერ მოვუარეთ საქმეს, უნდა გვეომა ჩვენი მიწა-წყლისათვის და არა კარიერისა და ძალაუფლებისათვის. სამწუხაროდ, ყველაფერ ამისათვის საქართველო მზად არ არის. ჩვენი პოლიტიკაა პოპულიზმი, ლოზუნგები და ქიმერების დევნა... აფხაზები დალის ხეობაში უკვე წინ მოიწევენ. დაიკარგა ქვემო და ზემო ლათა. თავდაცვის სამინისტროში სძინავთ. პარლამენტი მთლიანად აყოლილია შევარდნაძის ინტრიგებს (ისეთი ადამიანიც კი, როგორიც ჯაბა იოსელიანია, კარგად გრძნობდა, რომ ყველა უბედურება, რაც საქართველოს თავს დაატყდა აფხაზეთში და რუსეთთან ურთიერთობაში, ედუარდ შევარდნაძის ბრალია და „ინტრიგებია“ — ჯ.დ.).

ემზარ კვიციანი ვაჟკაცია და პანიკიორი არ არის, რაკი მან გადმოგვცა, თუ არ მოგვეშველებით, ხეობა დაიკარგებაო, მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა (ემზარ კვიციანმა შემდგომაც, სააკაშვილის დროსაც, ამცნო საქართველოს, რომ ორგანიზაცია „მონადირის“ დაშლით, ხელისუფლება დალის ხეობის დათმობა-ჩაბარებას აპირებსო და კიდეც აღსრულდა ბოლოს და ბოლოს! — ჯ.დ.).

გენერალი კონდრატიევი ბოდიშს მიხდის... მოვილაპარაკეთ: როცა დალის ხეობაში გადავალთ, იქ გადავწყვიტოთ, როდის შევიყვანოთ ლტოლვილები. „რაც მეტს მოუყრით თავს, მით უკეთესი,



ორმოცდაათი ათასი, ასი ათასი... უსაფრთხოების გარანტიას შეყვანის დროს და პირველ ხანებში, სანამ მოილაპარაკებთ, მე ვიძლევი. მთელ ტექნიკას და ჯარს გავამწკრივებ ოჩამჩირის არხთან. ამ დროს გალელი ლტოლვილები ენგურით გადმოვლენ და გაეშურებიან თავთავიანთ სახლებისკენ. აბა, ერთი, აფხაზებმა რამე გაბედონ!“ — იგინება.

ჩავდივართ ზუგდიდში. ლტოლვილებს ფსიქოლოგიურად ვამზადებ... შევარდნაძე გამოკვეთილად არაფერს ამბობს. გასაგებია: გამოვა, ხომ კარგი, არადა, ჩვენ დაგვბრალდება...

დღე დაინიშნა. დილის ათი საათისთვის ხიდიდან და, საერთოდ, სადაც შეიძლებოდა გადასვლა, უნდა დაწყებულიყო შესვლა. წინა დღეს გააფრთხილეს ლტოლვილების თავკაცთა ერთი ნაწილი, დანარჩენები ოთარ ფაცაციას, ზურაბ ერქვანიას და ვახტანგ ყოლბაიას უნდა მოემზადებინათ. როგორც ჩვენი დამკვირვებლები, ისე რუსთა სამშვიდობო ჯარის ხელმძღვანელები მოწმობს — ტექნიკა მოცილებული იყო ენგურის მიდამოებს. საკონტროლო პუნქტზე ყარაულები აღარ იდგნენ და ელოდებოდნენ მსვლელობას.

მხოლოდ პირველი საათისათვის მოხერხდა 500-მდე ლტოლვილის შეკრება... აქ საჭირო იყო მასა — 40, 50 ათასი ადამიანი, ამის ორგანიზება ვერ მოახერხეს და ლტოლვილთა დაბრუნების ერთ-ერთი გამოსავალი ჩაიშალა. ვფიქრობ, ამას გადაჰყვა კონდრატიევიც“ (უეჭველია, შევარდნაძეს რომ მოენდომებინა, ლტოლვილთა საჭირო რაოდენობას შეაგროვებდა, მაგრამ ეს სულაც არ შედიოდა მის გეგმებში! — ჯ.დ.).

### ვისთან დაიმალა შევარდნაძე აფხაზეთში?

როგორც ჩანს, ჯაბა იოსელიანი სახელმწიფო მოღვაწეობას, ლიტერატორობას, პუბლიცისტობას, მშვენივრად უთავსებდა ერთმანეთს. „ომებისას“ კი, როგორც იულიუს კეისარი, დღიურებსაც სწერდა. სწორედ ამ ჩანაწერების საფუძველზე დაწერა მან წიგნი „სამი განზომილება“, რომლის ნაწყვეტებსაც ჩვენ სულ ახლახანს გავეცანით.

უნდა ითქვას, ბევრი სიმართლე უწერია და ნებსით თუ უნებლიედ, უამრავი ადამიანი ჰყავს მხილებული. პირველ რიგში, შევარდნაძეზე, მის მოღალატეობრივ საქმიანობაზეც ამახვილებს ყურადღებას, ოღონდ ნახევრად ქილიკით, ირონიით... ეს იმიტომ, რომ ერთად იყვნენ. ჯაბა, ფაქტიურად, მეორე კაცად ითვლებოდა ხელისუფლებაში. ამ მიზეზით



იგი ბევრ ამბავს ბოლომდე არ ამბობს და აფუჩეჩებს... მაგალითად, ჟიული შარტავას დაღუპვის გარემოება გაკვრით აქვს ნახსენები... თურმე, შევარდნაძესთან ერთად უცბად მოვიდა გონებაზე და აფხაზეთის მთავრობის სახლში დარჩენილი ჟიული შარტავა გაახსენდა... „ვაჟკაცურად“ გაემართნენ გადასარჩენად, ჯვარედინ სროლაში მოხვდნენ და შეჩერდნენ. ჯაბა ტელეფონით დაუკავშირდა ჟიული შარტავას და გაესაუბრა. ამ დროს კი მთავრობის სახლის მეორე სართული უკვე აღებული ჰქონიათ... შეჭოჭმანდნენ შევარდნაძე-იოსელიანი, რაღაც ხომ უნდა ელონათ? ამ დროს ჯანიაშვილი გამოჩნდა, რომელმაც თქვა, რომ შარტავა მან გადაარჩინა ანუ გამოიყვანა ალყიდან! ალბათ სადმე ახლომახლო იქნებაო, - გადაწყვიტეს და გულრიფშისკენ მოკურცხლეს.

ამას მოგვითხრობს ჯაბა იოსელიანი და აღარც იმ დღით, აღარც მერე, არც შევარდნაძე და არც თვითონ, აღარ დაინტერესებულან მოეკითხათ „გამოყვანილი, გადარჩენილი“ ჟიული შარტავა, როგორ აღმოჩნდა ტყვედ და შემდეგ როგორ დახვრიტეს!

ჯაბა ბოლომდე არ ამბობს, რომ ჟიული შარტავას მხოლოდ თვითონ კი არა, არამედ შევარდნაძეც ესაუბრა. მათი დიალოგიც მოკლე, მაგრამ საბედისწერო გამოდგა ჟიული შარტავასთვის, რომელმაც შევარდნაძეს ერთი მთავარი კითხვა დაუსვა: „სად იმყოფებით ამჟამად?“ შევარდნაძემ მოუჭრა: საჭირო არ არის ამის თქმაო, რაზედაც მიიღო პასუხი: „მე მთელ საქართველოს ვეტყვი, რა ჩაიდინეთ სოხუმში!“

ჟიული შარტავას უამრავი მეგობარი ჰყავდა, როგორც თბილისში და სოხუმში, ასევე მოსკოვში. ვითომ რუსების ინტერესებში შედიოდა შარტავას ლიკვიდაცია? სხვათა შორის, შარტავას მეგობრებმა როცა რუსეთში მყოფი არძინბა ნახეს და ჰკითხეს — რას ერჩოდი ჟიული შარტავასო, მას უპასუხნია: მე სულაც არ მსურდა და არ მჭირდებოდა შარტავას ფიზიკური განადგურება. ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე ათეულ ტყვეში გავცვლიდი, მაგრამ არც საამისოდ გამიმეტებია. სოხუმიდან გადაგვყავდა გუდაუთაში, გზაზე შეიარაღებული სულ უცნობი ხალხი დახვედრია და ჩემი აფხაზი ბადრაგიც მას მიაყოლეს, ყველა სიცოცხლეს გამოასალმესო.

ყოველ შემთხვევაში, ამ უბედურების ანალიზი იძლევა საბაბს ამგვარი ვარაუდისა... აბა დააკვირდით, თვით ჯაბა იოსელიანმა და თვით შევარდნაძის დაცვის „ამერიკელმა“ სპეცჯგუფმაც კი არ იცოდა სად იმყოფებოდა შევარდნაძე... უფრო სწორად, ვისთან დაიმალა? ვინ დამალა და ვინ გადაარჩინა?

პასუხი ერთადერთია: შევარდნაძეს გასაჭირში ხელი გაუმართა იმ ძალამ, ვინც მას აღმერთებდა, ვინც მას დავალებებს აძლევდა, ვინც მას „დიდ პოლიტიკოსს“ უხმობდა, ვინც „ცივი ომის“ დასრულების ავტორად მიიჩნევდა, ვინც მას ხელს უწყობდა და აფინანსებდა, ბოლოს კი, - ვინც მას მშვიდი სიცოცხლის, მშვიდი სიბერის გარანტია მისცა!

არ გჯერათ? მაგალითი?

აგერ ბატონო, აი, მაგალითიც... ჩავხედოთ 1998 წლის 6 თებერვლის გაზეთს, რომელსაც ჰქვია „დილის გაზეთი“ და თვალი გადავავლოთ მეოთხე გვერდზე დაბეჭდილ მოზრდილ მიძღვნას, მილოცვას, აღიარებას, რომლის სათაურია: „პრეზიდენტი შევარდნაძე — ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ცენტრალური საერთაშორისო-პოლიტიკური ფიგურა“.

როგორ ფიქრობთ, ვინ წერს ამ აღიარება-მიძღვნას? სად, რომელი ქვეყანაა მისი ავტორი? უფრო სწორად, რომელი ქვეყნის უმაღლესი ორგანო ანუ ხელისუფლების შტოა მისი ავტორი?

არც მეტი, არც ნაკლები, - ეს ქვეყანა, რაღა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატებია. ავდგეთ და წავიკითხოთ წერილის ანუ მიძღვნა-მილოცვის ანოტაცია:

„28 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატაში — სენატის სხდომაზე სენატორმა რობერტ ჰერდმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დაბადების 70 წლის იუბილეს მიუძღვნა. სენატორ ჰერდის გამოსვლას ერთსულოვნად მიესალმნენ კოლეგები და მიიღეს იგი, როგორც ამერიკის სენატის მიმართვა ედუარდ შევარდნაძისადმი“.

როგორ მოგწონთ მეგობრებო? ხომ დიდი დონეა? განა დაუმსახურებლად, უმიზეზოდ ამერიკის სენატი ვინმეს შეაქებს და ჩინმედლებს დაჰკიდებს?

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# bioteqnologia _ qveynis ekonomikuri aRorZinebis realuri gza



XX საუკუნის მეორე ნახევარში, ბიოლოგიური და ინჟინრული მეცნიერებების შერწყმით შექმნილმა ახალ მეცნიერულ-პრაქტიკულმა მიმართულებამ-ბიოტექნოლოგიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

სხვადასხვა პრინციპებზე აგებულ ბიოტექნოლოგიებს იყენებენ მრეწველობაში, ფარმაკოლოგიაში, მედიცინაში, ენერგეტიკაში, სოფლის მეურნეობაში, ეკოლოგიაში, მასიური და ეკოლოგიურად სუფთა სურსათის წარმოებაში. ამ მიზნით შექმნილია სპეციალური სახელმწიფო პროგრამები და ამ დარგში წარმატებით მოღვაწეობს ათასობით მცირე, საშუალო და მსხვილი კომპანია.

მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ესტონეთი, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პატარა ქვეყანა, რომლის მოსახლეობა მხოლოდ 1,5 მილიონს შეადგენს. უკანასკნელი სამი კრიზისული წლის მანძილზე მხოლოდ სამთავრობო ინვესტიციამ ამ ქვეყნის ბიოტექნოლოგიაში 28 მილიონი ევრო შეადგინა. აღსანიშნავია რომ, მსოფლიოში ბოლო წლების მონაცემებით ბიოტექნოლოგია ფულის ბრუნვით ნავთობის და საავტომობილო ბიზნესის შემდეგ მესამე ადგილზეა.

**ქვეყანაში ბიოტექნოლოგიის დარგში უკონკურენტო ლიდერის, დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დაქვემდებარებაში არსებობდა, ინსტიტუტის თანამშრომლების დიდი ძალისხმევით აშენებული, ქვეყანაში ერთადერთი, ექსპერიმენტული საწარმო "ბიოტექი", აღჭურვილი თანამედროვე, ძვირად ღირებული დანადგარებით, სადაც წლების მანძილზე სხვადასხვაგვარი ანაკრების ბიოტექნოლოგიური პროდუქცია იწარმოებოდა და აპრობირდებოდა ქვეყანაში შექმნილი ბიოტექნოლოგიები. ამასთანავე ეს დაწესებულება სტუდენტებისათვის ერთადერთ სასწავლო და საწარმოო ბაზას წარმოადგენდა. ძალზედ სამწუხაროა, რომ ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აღნიშნული საწარმო გაასხვისა და მის ადგილას ამჟამად საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მთავრდება. "ბიოტექი"-ს პრივატიზაციის პროცესს სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი დავით გიორგაძე ხელმძღვანელობდა. მიუხედავად მასთან და მის თანამშრომლებთან მრავალი შეხვედრისა, და მათგან შესაბამისი დაპირებისა, რომ საწარმოს პროფილი პრივატიზაციის შემთხვევაში არ შეიცვლებოდა, არაფერს ანგარიში არ გაეწია. ისმის კითხვა, სად წავიდა ქარხანაში არსებული უნიკალური დანადგარები? ვინ უნდა აგოს პასუხი ამ ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი სამომავლო დარგის ერთადერთი საწარმოს განადგურებაში?**

აქვს თუ არა ბიოტექნოლოგიას პერსპექტივა საქართველოში? საქართველო უნიკალური ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების ქვეყანაა, რომლის ანალოგი მთელ ევროპის კონტინენტზე და აზიის დასავლეთნაწილში ძნელად თუ მოიძებნება. წლების მანძილზე საქართველოში თანმიმდევრობით იქმნებოდა ქვეყნის პოტენციალი ბიოტექნოლოგიაში. სავსებით გაუგებარი მიზეზების გამო, საქართველოში არსებული ბიოტექნოლოგიის, ისევე როგორც სხვა დარგის ინსტიტუტები, სადაც, კონცენტრირებული იყო მეცნიერული კვლევები და დარგის პროფესიონალები, უნივერსიტეტებს გადაეცა. განათლების და მეცნიერების სამინისტროს მითითებით ექსპერიმენტული პროფილის კვლევითი ინსტიტუტები რაოდენობრივად მნიშვნელოვნად შეამცირეს და ზოგიერთი საერთოდ აღარ არსებობს. არადა, როგორც ქვეყნის ბუნებრივი მონაცემებიდან და განსაკუთრებით მისი აგრარული პოტენციალიდან ნათლად ჩანს, საქართველოს ეკონომიკის სამომავლო განვითარების მაგისტრალურ გზად ბიოტექნოლოგია უნდა გადაიქცეს. ასე მაგალითად, მსოფლიოს პრაქტიკაში, 2008-2011 წლების კრიზისულ პეროდშიც, ბიოტექნოლოგიაში, ინვესტიციები ყოველწლიურად 15-17%-ით მატულობდა და ნანოტექნოლოგიებთან ერთად ეს კვლავ ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგია. პრაქტიკაში ბიოტექნოლოგიის მთავარი ინსტრუმენტი - ფერმენტები ინტენსიურად გამოიყენება: სოფლის მეურნეობაში, საქონლის და ფრინველის საკვების წარმოებაში; მიკროორგანიზმების არატოქსიური ფორმების და ფერმენტების საშუალებით შესაძლებელი ხდება მთელი რიგი აგრარული ნარჩენებიდან მაღალ ხარისხის, ცილით მდიდარი, ეკოლოგიურად სუფთა საქონლის საკვების წარმოება; მრეწველობაში ფერმენტების გამოყენება ბევრი მიმართულებით წარმოებს ბიოსაწვავის, სხვა ორგანული გამხსნელების და მცენარეული ზეთების წარმოება; კომერციული სურსათის დიდი უმრავლესობა ფერმენტულ დამუშავებას ექვემდებარება; სარეცხი საშუალებების ძირითად მომქმედ სუბსტანციას ჰიდროლიზური ფერმენტები წარმოადგენს; მედიცინაში ფერმენტების გამოყენება გასტროენტეროლოგიაში, საჭმლის მონელების გაუმჯობესებაში, ოპერაციების შედეგად ნაწიბურების მოშორებაში, ფართო მასშტაბით ფარმაკოლოგიაში და სხვა მიმართულებითაც ხორციელდება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში ათეული წლების მანძილზე აქტიურად ხორციელდებოდა ფერმენტების მეწარმე არატოქსიკური მიკროორგანიზმების შერჩევა—სელექცია. დღეისათვის ქვეყანაში შექმნილია სხვადასხვა ტაქსონომიური ჯგუფების მიკროორგანიზმების კოლექციები და დამუშავებულია 10-მდე სამრეწველო დანიშნულების ფერმენტის მიღების ბიოტექნოლოგია. ძვირად ღირებული ფერმენტების მეწარმე მიკროორგანიზმების სელექცია ფერმენტული მრეწველობის საფუძველს წარმოადგენს, ამდენად ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო უკვე შესრულებულია. 10 ფერმენტული პრეპარატის გამოყენება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის აგრარული დარგის და მრეწველობის საერთო კლიმატს. ხელმისაწდომი სამრეწველო ფერმენტების არსებობა ქვეყანაში დასაბამს დაუდებს ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ბიოტექნოლოგიების შექმნას. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ფერმენტების წარმოებით ქვეყანაში საფუძველი ჩაეყრებოდა მრეწველობის ჯერჯერობით არ არსებულ მიკრობიოლოგიურ სინთეზს, ერთ-ერთ ყველაზე მეცნიერებატევად და ეკონომიკურად მომგებიან მრეწველობის დარგს. ჩვენს სინამდვილეში მიკრობიოლოგიური სინთეზის დიდ მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ საქართველოში არც ერთი ფარმაკოლოგიური კომპანია არ ფლობს მიკროორგანიზმების სტერილური ფერმენტაციის ტექნოლოგიას, რომლის საშუალებითაც თანამედროვე კომერციული ფარმაკოლოგიური პრპარატების 60%-ზე მეტი იწარმოება.

– დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი პირობები ძალზედ ხელსაყრელია სიმინდის მაშტაბური წარმოებისათვის. ეს კულტურა ქვეყანაში ტრადიციულად ძალიან პოპულარულია და მრავალმხრივ გამოყენებას პოულობს. ასევე პოპულარულია სიმინდი აშშ-ში, სადაც მას დიდი სამრეწველო მნიშვნელობაც ენიჭება. ამ ქვეყანაში სიმინდისაგან დაახლოებით 300 სახის პროდუქტი მზადდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორ პროდუქტს, ეთილის სპირტს და გლუკოზა/ფრუქტოზის ნარევს. ეს უკანასკნელი საკონდიტრო მრეწველობაში ფართო გამოყენებას პოულობს, მათი ექსპორტით ქვეყანა დიდ მოგებას ნახულობს. დასავლეთ საქართველოში არსებული ჯიშების მიხედვით სიმინდის ყოველწლიური მოსავალი 200-250 ათას ტონას უდრის. სამტრედია – აბაშის მიდამოებში ყველაზე დიდი სიმინდის მოსავალი მიიღება. თუ ამ რეგიონში ამერიკული მასშტაბით საშუალო ზომის სპირტის ქარხანა აშენებულიყო, რომელიც დასავლეთ საქართველოში მოყვანილ სპირტის მაღალი მწარმოებლობის ამერიკულ ჯიშის სიმინდს გადაამუშავებს, ეს ორ მეტად სერიოზულ პრობლემას გადაჭრის. ჯერ ერთი, ამ ტიპის სიმინდის მომყვანი ფერმერი საკუთარ ნაკვეთში შრომით გარანტირებულად მიიღებს 6-8 ათას ლარს წელიწადში. ამის გარდა, დასაქმდება ბევრი ადგილობრივი მკვიდრი. რაც შეეხება ოჯახის მოთხოვნილებებს ტრადიციული სიმინდიდან საკვების მისაღებად, ნაკვეთის მცირეოდენი ნაწილი (დაახლოებით 10%) ამისათვის სავსებით საკმარისი იქნებოდა.

სიმინდიდან მიღებული სასურსათო ხარისხის სპირტი გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, კვების მრეწველობაში, მედიცინაში, ქიმიურ მრეწველობაში, ბიოტექნოლოგიებში, მეცნიერულ კვლევებში. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მეზობელ ქვეყნებში: თურქეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ირანში, შუა აზიასა და არაბეთის ქვეყნებში სპირტი არ იწარმოება. რაც შეეხება ქვეყნის მზადყოფნას ამ ტექნოლოგიის გასახორციელებლად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სიმინდის გარდა საქართველოში სელექციურად შერჩეულია სახამებლის მადუღარ შაქრებამდე დამშლელი ძვირად ღირებული, ფერმენტების – (ამილაზის და გლუკოამილაზის მეწარმე მიკროორგანიზმები და დამუშავებულია ამ ფერმენტების სუფთა სახით მიღების იაფი ბიოტექნოლოგიები. ეს ტექნოლოგიები აპრობირებულია სამრეწველო მასშტაბით და დაპატენტებულია აშშ-ში, ქართველი ბიოტექნოლოგების ავტორობით (აშშ პატენტი №3826716).

– ქვეყანაში არსებული სასურსათო პროდუქტების მრავალფეროვნებაზე დაყრდნობით დამუშავებულია ახალი ტიპის სურსათის წარმოების ტექნოლოგია, რომლის მიზანია საჯარისო ფორმირებების საკვების გამდიდრება მცენარეული, ბიოლოგიურად აქტიური, ანტიოქსიდანტური ბუნებრივი ნივთიერებებით, რომლებიც ერთის მხრივ ამდიდრებენ საჯარისო ფორმირებების ყოველდღიურ საკვებს და მეორეს მხრივ ხასიათდებიან სამკურნალო ეფექტით, მიმართული საჯარისო ფორმირებების პირადი შემადგენლობის ჯამრთელობის გაუმჯობესებისაკენ.

– ქვეყანაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მკურნალობის ახალი ტექნოლოგიებით დაგროვებული სამედიცინო ნარჩენების სწორი უტილიზაცია. სამედიცინო ნარჩენებს მიეკუთვნება: შპრიცები, მინის ჭურჭელი, ბამბა, ბინტი, სინჯარა, პეტრის თასი, ერთჯერადი პლასტიკური ჭურჭელი, პლასტიკური პიპეტის წვერები, და სხვა საგანი რომელიც პირდაპირ შეხებაშია სისხლთან, ჩირქთან ან რაიმე სხვა დასნებოვნებულ ბიოლოგიურ სითხესთან. გარდა ამისა, სამედიცინო ნარჩენებს წარმოადგენს ის ბაქტერიოლოგიური ჭურჭელი სადაც ხდება ბაქტერიების კულტივირება და მიმდინარეობს ანალიზი. აღნიშნული ნარჩენები წარმოადგენს "ბ" და "გ" კლასის ნარჩენებს რომლებსაც ესაჭიროება სპეციალური დამუშავება. გარდა ამისა არსებობს ისეთი ნარჩენები, როგორიცაა ფარმაცევტული ნარჩენები, ანატომიური და ორგანული ნარჩენები და სხვა რომლებიც ექვემდებარება ინსენერაციას.

შპს "ექსპრეს დიაგნოსტიკა" ახორციელებს სამედიცინო ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას და გაუვნებელყოფას მათივე დამუშავებული ბიოტექნოლოგიებით. შპს "ექსპრეს დიაგნოსტიკა"-ს გააჩნია ნარჩენების გადამუშავების მცირე მასშტაბის სრულყოფილი ინფრასტრუქტურა.

- შექმნილია ბოსტნეული კულტურების (პომიდორი, ლობიო) ბაქტერიული დაავადებების საწინააღმდეგო ბაქტერიოფაგზე დაფუძნებული პრეპარატები.

აღნიშნული პრეპარატები გამოირჩევა სპეციფიკურობით, ეფექტურობით და აბსოლუტურად უსაფრთხოა ადამიანისა და გარემოსათვის. მათი გამოყენება დაავადებების ბიოლოგიური კონტროლისათვის შესაძლებელია როგორც პრევენციის, ისე სამკურნალო მიზნით.

ქვეყანაში დამუშავებული სხვა ბიოტექნოლოგიებზე მსჯელობის გაგრძელება კიდევ შეიძლება. შემოვიფარგლები მხოლოდ მათი ჩამონათვალით.

- აგრარული, სამედიცინო და მუნიციპალური ნარჩენების გადამუშავების ბიოტექნოლოგიები;

- ქვეყანაში არსებული მცენარეული რესურსების ხარჯზე ფუნქციური საკვების შექმნა და წარმოება:

- ბიოსაწვავის მიღების ორიგინალური ტექნოლოგიები;

- დამლაშებული და ეროზირებული ნიადაგების რეაბილიტაციის ბიოტექნოლოგიები.

აარსებობს კიდევ სხვა, კვლევის პროცესში მყოფი ბიოტექნოლოგიები, რომლებიც დასრულებას საჭიროებენ. თუ ამ დარგს ქვეყანაში ხელსაყრელი პირობები შეექმნა, სავარაუდოდ 2-3 წელიწადში შესაძლებელია 20-მდე ხარისხობრივად ახალი ბიოტექნოლოგიის დანერგვა რომლის პროდუქციაც გამოყენებული იქნება როგორც შიდა ბაზარზე, ასევე საექსპერტოდ. სრული რწმენით მსურს განვაცხადო, რომ თუ პატენტის შეძენის საშუალებით შესაძლებელია სხვა ქვეყნების ქიმიურ, მექანიკურ, ფიზიკურ პრინციპებზე მოქმედ ტექნოლოგიის შეძენა-გამოყენება, ბიოტექნოლოგიების უმრავლესობა ადგილზე უნდა შეიქმნას. ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ ის რომ ბიოტექნოლოგიები, განსაკუთრებით ეკოლოგიური, ბიოკონტროლის და რემედიაციული ეფექტური უნდა იყოს ბუნებრივი მიკროფლორის მიმართ, დაფუძნებული მხოლოდ ადგილობრივი წარმოშობის მიკრობულ შტამებზე, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სპონტანური მუტაციების და სხვა შესაძლო ზემოქმედებას მასზე.

**საერთო დასკვნის სახით უნდა აღვნიშნო, რომ ახალი ბიოტექნოლოგიების შექმნასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში ძალზედ დიდია მეცნიერების როლი, ხოლო ბიოტექნოლოგია როგორც მეცნიერულ-პრაქტიკული მიმართულება უნდა გადაიქცეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთერთ მაგისტრალურ გზად.**

**გიორგი კვესიტაძე,**
**აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათაეროვნული აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი – მდივანი**

# `dRes saqarTvelos marTavs xeCua, qveyana dneba Tvalis da xelis Sua~

დღეისთვის საქართველოში, რეფორმებით დახუნძლულ "დემოკრატიულ ქვეყანაში", საზოგადოების, ხელისუფლების წინაშე მწვავედ დგას პრობლემათა ჯგუფი, რომელიც არათუ ისეთ "დემოკრატიულ" (პრეზიდენტის განმარტებით) სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, არამედ ახალი გვინეის, აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაშიც კი არ არსებობს. მე არ ვეხები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ფუნდამენტურ საკითხებს – ისედაც ცნობილია, რომ ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, 60-70% მოსახელობისა უმუშევარია და სიღატაკის ზღვარს ქვევით დგას, რომ სოფლის მეურნეობის ქვეყანაში 80% მდე პროდუქტი შემოგვაქვს, საგადასახადო ტარიფები და ფასები გვაქვს ევროპული და ამერიკული, ხოლო შემოსავალი შიმშილის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის საარსებო მინიმუმზე ქვემოთ, მრეწველობა არ არსებობს, არ არსებობს მოსახლეობის საშუალო ფენა (სახელმწიფოს ხერხემალი), 600 000 დევნილი გვყავს, მილიონზე მეტი იმიგრანტია...

უბედურებებს ე.შევარდნაძემ ჩაუყარა საფუძველი1964-72, 1972-85, 1991-92-2003 წლებში. საუბედუროდ, იგივე ყოველივე ცუდს და კიდევ უფრო ცუდს წარმატებით აგრძელებს მისი "აღზრდილი" სააკაშვილი და მომავალშიც გააგრძელებს, თუ არ ავლაგმავთ. დღესაც არიან სუბიექტები, რომლებიც თვლიან, "რა დროს შევარდანძეა", ცდებით, ბატონებო! ან ცდებით კი? თქვენ ხომ მის გვერდით იდექით ამ ყველაზე ცუდის მოხდენისას ან ახლაც დგახართ შევარდნაძის და სააკაშვილის გვერდით და იცავთ არა მათ, არამედ საკუთარ თავს.

ახალი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობა ე.შევარდნაძის გასამართლებით უნდა დავიწყოთ. მის მიერ ერის და ქვეყნის წინაშე ჩადენილი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სისხლის სამართლის და სხვა ბოროტმოქმედებები **ხანდაზმულობას** არ ექვემდებარება. ქართული სახელმწიფო არ შედგება, არც ერთი პრეზიდენტი, არც ერთი ხელისუფლება არ იქნება ლეგიტიმური, თუ არ გასამრთლდა ეს მსოფლიო მნიშვნელობის ბანდიტი, საკუთარი ქვეყნის გამყიდველი, ერის დამყაჩაღებელი, ისტორიული თაღლითი და აფერისტი, რომლის დანაშაულთა ჩამოთვლას გაზეთის მთელი ფორმატი არ ეყოფოდა.

1993 21 მარტს I არხით ე.წ "სახელმწიფო მეთაურმა", ხალხზე ზრუნვით ტანჯულმა შევარდნაძემ მოუწოდა მოსახლეობას მიებარებინათ მისთვის (მიაბარე მგელს ბატკანი) ლუკმა პურის და დასამარხად კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ფული 1 წლის ვადით, შემდეგ ორმაგად დაბრუნების გარანტიით. ამ დროს ე. შევარდნაძის მეთაურობით მისმა ხროვამ (გოცირიძე, ჩხარტიშვილი, ინგოროყვა, სიორიძე, ბურჯანაძე, ხაზარაძე, პატეიშვილი, თარგამაძეები, გაბაშვილი, მამალაძე, ბეჟუაშნია "გურიას" კუთვნილი წილები ("ქურდის ქურდი ცხონდა") და დღეს გაახსენდათ მათი უკან დაბრუნება, მაგრამ არ გახსენებიათ მათ მიერ დაყაჩაღებული მოხუცები, რომელთა დასამარხი ფულით ე.შევარდნაძის ხელმძღვანელობით "შეიძინეს" ეს ქონება და არა მარტო ეს...

ჩვენ ვწერთ არარსებულზე – ქართულ მართლმსაჯულებაზე. (იხ. მიხეილ ბაბუნაშვილის 6 წერილი არარსებულ სასამრთლოს უზენაესი თავმჯდომარის სახელზე; 1) კანცელარია, 2) გაზეთი "ახალი თაობა" №279, 7.10.2009წ. 3) გაზეთი "ქრონიკა", №29, 19.07.2010წ. 4)" საერთო გაზეთი" №24 23.05.2012. სათაურებით: "ქართული მართლმსაჯულება-განუკითხაობა, ანგარება, უვიცობა, დაუსჯელობის სინდრომი, ვილები, ზოდელავა, მაღლაკელიძე, ლორთქიფანიძე და "ასავალ-დასავალში"(№16) გამოქვეყნებულ 50 ბოროტმოქმედთა არასრული სია და ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლა და მათთვის პასუხის მოთხოვნა ახლო მომავლის საქმეა, დააყაჩაღა 2 მილიონზე მეტი (ძირითადად, მოხუცები) 14-18 მილიარდი დოლარით, 1993-2003 წწ. ქვეყნის და ერის კუთვნილი ასეული მლრდ ღირებულების ნაციონალური ქონება მიითვისეს ე.წ. "პრიხვატიზაციის" გზით (მაგ. ცირკის უნიკალური შენობა "გაიყიდა" 68 აშშ დოლარად.) რაც შეეხება 2003 წლიდან დღემდე მოპარულს, ეს ცალკე თემაა. ზემოთჩამოთვლილი სუბიექტებიდან არავინ დასჯილა. ამჟამად ითვლებიან "პატივცემულ მოქალაქეებად", "მოღვაწეობენ" სახელმწიფოს ყველა სფეროში,, ,,ითვლებიან" წარმატებულ ბიზნესმენებად და არავის ახსოვს დაყაჩაღებული 2 მილიონი ადამიანი, სამაგიეროდ, მათ ყოფნით თავხედობა იყვირონ ,,კარაულ", როცა მათ მიერ მოპარულ ქონებას შეეხებიან. მაგალითი: ვანო ჩხარტიშვილი, სიორიძე და სხვები; 2011 წელს მათ წაართვეს ტელეკომპა-





მაღალჩინოსნებისთვის მორგებული კანონები გვაქვს – სამართალი არა". პარალელურად რესპუბლიკის მთ.პროკურორის სახელზე გაიგზავნა 4 კატეგორიული განცხადება. პასუხი: დაბალჩინოსნების მიერ აბსოლუტური უვიცობით შეთითხნილი "დადგენილება". (ბოლო წერილზე პასუხი საერთოდ არ მიმიღია.)

შეიძლება ჩემი ეს სტრიქონები ვინმეს დაუჯერებლად ეჩვენოს, მაგრამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა ძალოვანი სტრუქტურის ყოფილი მაღალჩინოსნის ბ-ნი ალექსი კობაიძის გაზეთ "ქრონიკაში" №9, 2012 წ გვ.22-23 გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ, სადაც ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, მკაფიოდაა აღწერილი დღევანდელი "ქართული მართლმსაჯულების" ხელმძღვანელების: იუსტიციის მინისტრის ზ. ადეიშვილის, ძმები კუბლაშვილების, მთ. პროკურორის მ. ზოდელავას, ვინმე რამაზ ჟღენტის (მიხ. მაჭავარიანის სიმამრი) კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები. ეს სუბიექტები მათ მიერ ჩამოყალიბებული სისტემით დანაშაულებრივი გზით ითვისებდნენ და ითვისებენ ასეული მილიონი ღირებულების ქონებას. ვინ ჭამს, ბატონებო, "რომ ამ ბოროტმოქმდეთა შესახებ არ იცოდა მიხეილ სააკაშვილმა. მახსენდება ბატონი პრეზიდენტის 2003 წლის 23 ნოემბერს გამოსვლის ფრაგმენტი - " მათი ადგილები ციხეშია" ან "ყველა ციხეში". ბ-მა პრეზიდენტმა ეს ახლა აუცილებლად უნდა გაიხსენოს, როდესაც მის მიერ შექმნილ დიქტატორულ სახელმწიფოში სრული ქაოსია, განსაკუთრებით ძალოვან სტრუქტურებში. რაც დღეს ხდება, ე. შევარდნაძის დაწყებულია ჯერ კიდევ 1964 წელს და გრძელდება მისი " აღზრდილის მიერ".

არადა, ზემოთ ჩამოთვლილმა სუბიექტებმა საერთოდ მოსპეს მართლმსაჯულება ჩვენს "დემოკრატიულ" სახელმწიფოში. მე არ გავიმეორებ კ.კუბლაშვილის და მისი უწყების მიერ ჩადენილ დანაშაულთა მცირე ნაწილსაც კი, მაგრამ, უნდა აღვნიშნო, რომ კ. კუბლაშვილის თავხედობასაც ხომ უნდა ჰქონდეს ზღვარი. ახლო მომავალში დაგეგმილ "მოსამართლეთა" ყრილობაზე აპირებს "მოსამართლეთა" პენსიების გაზრდას. საინტერესოა რა დამსახურებითვის? ბევრი მათგანი მალე აღმოჩნდება საბრალდებო სკამზე; დ. ჩიხრაძეებმა, ღიბრაძეებმა, კოპალიანებმა და ბევრმა, ბევრმა იფიქრონ არა პენსიაზე, არამედ ადვოკატებზე (თუ მათ ადვოკატები მონახეს). ე.წ. მოსამართლეები მალე უმანკო გამომტყველებით წამოიკნავლებენ, რომ ასრულებდნენ ე.წ. პროკურორების ბრძანებებს. (საინტერესოა, რას იტყვიან ცაცუები, გურასპაშვილები და სხვა პროკურორები). უზენაესი სასამრთლოს ე.წ. თავჯდომარე ურცხვად აცხადებს, რომ მათ ბიუჯეტს ვერ შეეხებიან იუსტიციის საბჭოს (რომლის ფუნქციები უზენაესი სასამრთლოს დადგენილებათა დუბლირებაა) გადაწყვეტილების გარეშე და რომლის ხელმძღვანელიც ინიშნება კ. კუბლაშვილის წარდგენით!!!) მახსენდება მუხრანის ცნობილი გამოთქმა: "ეხ, სადაა თვარა კია კაი სინდის-ნამუსი". მ. სააკაშვილს და მის გარემოცვას თავი ჯადოქრებად წარმოუდგენიათ, თვლიან რომ მათ ვერ შეეხებიან. პრეცედენტი ასობითაა. ბოლო დღეებში იტალიის ყოფილ პრემიერ მინისტრს ბერლუსკონის მიუსაჯეს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა გაცილებით უმნიშვნელო ფინანსური მახინაციებისთვის, ვიდრე ე. შევარდნაძემ და მ. სააკაშვილმა ჩაიდინეს. ყველა უბედურება რაც დღეს ჩვენს თავს ხდება, ედვარდ წყეულიდან (ასე შევა ის ისტორიაში) დაიწყო. 1964-72, 1972-85, 1991-92-2003 წლებში შეიქმნა პოლიციური სახელმწიფო, რომელმაც თავს აპოგეას მიაღწია დღეს. მე გარკვეულწილად მჯერა, რომ ძალოვანი სტრუქტურების საშუალო და დაბალი ფენა არაკორუმპირებულია. მაღალჩინოსანთა მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე ინიშნებოდნენ გოგო-ბიჭები, რომლებიც თავიანთი უვიცობით და მაღალანაზღაურებადი თანამდებობების დაკარგვის შიშით მორჩილად ასრულებდნენ მათ ბრძანებებსგაზეთის ერთ სტატიაში შეუძლებელია ყველა იმ უბედურებათა ჩამოთვლა, რაც ე. შევარდნაძემ და მისმა "აღზრდილმა" მოუტანეს ქართველ (არა საკუთარ) ხალხს. მათ ყოველთვის ამოძრავებდათ მხოლოდ სავარძლის შენარჩუნების და აქედან გამოდინარე პირადი მატერიალური (ათეული მილიარდები) მომხვეჭელეობა.

ამ ბოლო პერიოდში ე. შევარდანძე "გადემოკრატდა", მან "მოინანია" თავისი უდიდესი, წინასწარ გამიზნული საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე "შეცდომა" აღზარდა რა მ.სააკაშვილი. მან უბრალოდ იყნოსა მოსალოდნენლი სახელისუფლო ცვლილებები და თავისი ნაქურდალი მილიარდების დასაცავად (ეს მას 2003 წელს გამოუვიდა) ეტმასნება მომავალ ხელისუფლებას. **სირცხვილი** მომავალ პრეზიდენტს ან (პრემიერ - მინისტრს) თუ ის არ გამოიჩენს ელემენტარულ პოლიტიკურ ნებას, ადამიანობას და მოხუცებს არ დაუბრუნებს წართმეულ დასამრხ ფულს. თუ არ გაასამართლებს სისხლის სამართლის დამნაშავეებს, ე. შევარდნაძეს, მ. სააკაშვილს და მათ ხროვას ყოველგვარი ზეწოლის მიუხედავად.

**მიხეილ ბაბუნაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## გლდანის №8-ე საპყრობილიდან 145 პატიმარი შედარებით მსუბუქი რეჟიმის დაწესებულებაში გადაიყვანეს



გლდანის №8-ე საპყრობილიდან 145 პატიმარი თბილისის №12-ე დაწესებულებაში გადაიყვანეს.

როგორც სასჯელ აღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა, სოზარ სუბარმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ დღეებში საპყრობილეებიდან კიდევ რამდენიმე ასეულ პატიმარს გადაიყვანენ სხვადასხვა, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში.

მისი თქმით, შედარებით მსუბუქი რეჟიმის დაწესებულებაში აღნიშნული პატიმრები უკეთ იქნებიან

„ამ დროისთვის გლდანის საპყრობილეში 2600 პატიმარია, რომელთაც სასჯელი უკვე შეფარდებული აქვთ და მათი ნაწილის გადაყვანა სხვა საპატიმროებში შესაძლებელია. პატიმრების ეტაპირება, რომლებიც შედარებით მსუბუქი დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს, რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდება და გლდანის საპყრობილე განიტვირთება.“, – აღნიშნა მინისტრმა.

**„მედიანიუსი“**

# anzor Sonias xsovnas



... მიჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ ანზორ შონია ცოცხალი არ არის, ამიტომაც მიჭირს ამ ნეკროლოგის დაწერაც...

სექტემბრის დასაწყისი იყო, რედაქციაში რომ გვესტუმრა.

ჩვეულებისამებრ, ყველა მოიკითხა, ყველას მოეფერა, მალე ახალ წერილს მოგიტანთო, დაგვიბარა და წავიდა.

მხნედ, ჯანმრთელად გამოიყურებოდა და რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი სტუმრობა.

ანზორ შონია ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება იყო — გულუხვი, გულკეთილი, ჭირსა თუ ლხინში გვერდით მდგომი, გაჭირვებულისთვის ხელის გამწვდენი, ერთგული მეგობარი, ავისა და კარგის გამრჩევი და, რაც მთავარია, თავის ქვეყანაზე და თავის ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული.

უაღრესად ნიჭიერი, უაღრესად სხარტი და გამჭრიახი გონების კაცი იყო და ხშირად გვაოცებდა ხოლმე თავისი არაორდინარული მოსაზრებებით, ანალიზის შესაშური უნარით.

პროფესიით ისტორიკოსი არ ყოფილა, მაგრამ იმდენად კარგად იყო ჩახედული საქართველოს ისტორიის საკითხებში, ცნობილ და ავტორიტეტულ ისტორიკოსებსაც კი ანცვიფრებდა თავისი განსწავლულობით.

— თუ თვითნასწავლი მხატვარი შეიძლება, რატომ არ შეიძლება თვითნასწავლი ისტორიკოსი არსებობდეს? მე თვითნასწავლი ისტორიკოსი ვარ, ოღონდ ზოგიერთებისაგან განსხვავებით, ისეთი, რომელსაც ყველაფერი წაკითხული და შესწავლილი აქვს, საქართველოს ისტორიაზე თუკი რამე დაწერილა და შექმნილაო, — მითხრა ერთხელ.

მისი ყველა წერილის, ყველა ნარკვევის გამოქვეყნება თავისებური მოვლენა იყო, რომელსაც მუდამ თან ახლდა აჟიოტაჟი, განცვიფრება, ხმაური, მავანთა განაწყენება და გაღიზიანება.

მისი კვლევის მთავარი საგანი ქართული სახელმწიფოს და ქართველი ერის შორეული ფესვების კვლევა და ძიება იყო.

ქართული სახელმწიფოებრიობის ნერჩად და საძირკვლად მას უძველესი კოლხეთი მიაჩნდა, ისე, როგორც ქართული ენის პირველწყაროდ მეგრულ ენას თვლიდა.

— ვისაც ამის გაგონება და დაჯერება არ უნდა, ის შეგნებულად თუ შეუგნებლად ამახინჯებს საქართველოს ისტორიასო, — გულისტკივილით ამბობდა და იქვე უამრავ არგუმენტს მოიყვანდა იმის დასამტკიცებლად, რომ მისი მოსაზრება სწორი იყო.

არანაირი სეპარატისტული და კუთხური ეგოიზმი არ ამოძრავებდა, პირიქით — სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი იყო და მტკიცედ სჯეროდა, რომ რასაც ამბობდა და ამტკიცებდა, სწორედ ქართული სახელმწიფოს და ქართველი ერის ერთიანობისთვის იყო აუცილებელი.

უაღრესად საყურადღებო ნაშრომი დატოვა ანზორ შონიამ აფხაზეთის და აფხაზების შესახებ, სადაც დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ აფხაზები ქართველები (მეგრელები) არიან, ხოლო აფხაზური (არა აფსუური) გვარები აშკარად კოლხური წარმომავლობისაა.

ანზორ შონიას ბევრ საპასუხისმგებლო თანადებობაზე უმუშავია და ყველგან კაცური კაცის სახელი დაუტოვებია.

ბრწყინვალე ოჯახი დატოვა ბატონმა ანზორმა, მისი ბინა სალონივით იყო, სადაც ანზორის მეუღლე, უსათნოესი ქალბატონი დიანა დიდი სიყვარულით ხვდებოდა სალონის სტუმრებს — ანზორის უამრავ მეგობარს თუ მადლობის სათქმელად მოსულ მისი წიგნების მკითხველებს.

ბოლო დროს ხუმრობდა — ადრე ანზორ შონიად მიცნობდნენ, ახლა ნანა შონიას მამას მეძახიანო.

შესანიშნავი მამა იყო, შესანიშნავი მეუღლე, ნათესავების და ახლობლების ბურჯი და იმედი.

მთელი ცხოვრება თბილისში გაატარა, მაგრამ გული მაინც სამეგრელოსკენ და ზუგდიდისკენ მიუწევდა.

რამდენჯერაც არ უნდა მოგეკითხა, სულ სამეგრელოსკენ მიდიოდა — ხან ჭირში, ხან ლხინში, ხან — ვიღაცის მოსანახულებლად...

ახლაც, ალბათ, სამეგრელოსკენ მიფრინავს ანზორის სული, რომ იქაურობას ერთხელ კიდევ მოავლოს თვალი და მერე ზეციურ საქართველოს სამუდამოდ შეუერთდეს.

**ვახტანგ ხარჩილავა**

## მეცნიერებმა გამოიკვლიეს ღამის კოშმარების საიდუმლოება

გერმანელმა მკვლევარმა დეტალურად შეისწავლა ღამის კოშმარების ბუნება და ამოხსნა მისი საიდუმლო.

თითქმის ყველა ადამიანს სიცოცხლის მანძილზე ესიზმრება საშინელი სიზმრები, ზოგიერთი მათგანი ყოველ ღამით ხედავს კოშმარებს და იტანჯება. არავინ



იცის, რას ნიშნავს ეს, — წერს „ფისორგი“.

ძილის შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის თანამშრომელი პროფესორი მაიკლ შრედლი აღნიშნავს, რომ არსებობს განსხვავებები მამაკაცებისა და ქალების კოშმარებს შორის.

კოშმარები, ძირითადად, ესიზმრებათ სწრაფი ძილის პერიოდში და აღნიშნავს საგანგაშო ფსიქიურ მდგომარეობას. ამასთანავე ის, ვინც კოშმარებს ხედავს, ცდილობს სწრაფად გამოფხიზლდეს. ყველაზე მძიმე კი ის არის, რომ საშინელი სიზმრები მთელი დრამატულობით უფრო მოზრდილებს ესიზმრებათ. რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, უფრო მძიმე კოშმარები აწუხებს.

დოქტორი შრედლის კვლევის თანახმად, მამაკაცებს ესიზმრებათ, რომ კარგავენ სამსახურს, მით უფრო ხშირად აქვთ სექსუალური სიზმრები ან ახლობლების სიკვდილი. ქალები სიზმრებით მაშინ უმეტესად იტანჯებიან, როცა ესიზმრებათ, რომ თმები და კბილები სცვივათ. ადამიანები ხშირად ნახულობენ სიზმრებს, როცა მტაცებელი მოსდევთ, ეს შეიძლება იყოს მეტაფორა რეალური პრობლემისა, რომლის გადაჭრა ადამიანს არ შეუძლია.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ქალებს უფრო ხშირად ესიზმრებათ კოშმარული სიზმრები, რადგან მათი ძილი უფრო ღრმაა და მეტ შთაბეჭდილებას ტოვებს გაღვიძების შემდეგაც. ფსიქოლოგების ცნობით, სხეულის ტემპერატურის ცვალებადობა, რომელიც ქალებს თვიური ციკლის პერიოდში აღენიშნებათ, ამძაფრებს მათ სიზმრებს და უფრო საგანგაშოს ქმნის მათ.

ცნობილია, რომ ძილი ეხმარება ტვინს „გადაყაროს“ უსარგებლო ინფორმაციები. დღის ძილი იცავს ადამიანს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისაგან. ძილის უკმარისობა ბავშვებში ჭკუასუსტობას იწვევს.

იდეალურ ძილის დროდ 7 საათი ითვლება დღე-ღამეში, უფრო მეტი ხნით ძილის სურვილი პათოლოგიად ითვლება.

ბავშვებსა და მძიმე სამუშაოზე მტოფ მოზრდილებს დღე-ღამეში 10 საათიანი ძილი ესაჭიროებათ.

არასრულყოფილი ძილი ყურადღების დეფიციტს იწვევს.

## „ღმერთი ბრუნდება“?!

ორი ამერიკელი სოციოლოგი — ადრიან ვულდრიჯი და ჯონ მიკლეტვეიტი აქვეყნებენ თავიანთ ბოლო ნაშრომს: „ღმერთი ბრუნდება, როგორ შეცვლის სამყაროს რელიგიის აღორძინება“. სოციოლოგებმა შეისწავლეს სიტუაცია ჩინეთში, ნიგერიაში, კენიაში და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში. ისინი ამტკიცებენ, რომ რელიგიის მიმართ ინტერესი საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ უფრო იზრდება. ამავე დროს რწმენას კარგავს ევროპა, ამ მხრივ, არც ამერიკაა გამონაკლისი.

სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ მსოფლიოში ყველაზე დინამიურ რელიგიად კვლავ ქრისტიანობა რჩება. „თუ მხოლოდ ციფრებით ვიმსჯელებთ, ისლამი მოსდევს ქრისტიანობას“, - ამბობენ ისინი.



სოციოლოგი ვულდრიჯი ათეისტი იყო, მაგრამ წიგნზე მუშაობის შემდეგ უფრო მეტად დააფასა რელიგია. „შეძრული ვიყავი იმით, როცა საკუთარი თვალით ვიხილე მორწმუნეები საკუთარი ტყავიდან როგორ ძვრებოდნენ გაჭირვებულების დასახმარებლად. ათეისტებს კი არაფრის დანახვა და გაკეთება არ სურთ. მომავალი რელიგიისაა“, - ირწმუნება ადრიან ვულდრიჯი.

## მსოფლიოს მოსახლეობის 70% საფრთხის ქვეშ არის

გერმანიის ეკოლოგიის მინისტრი რობერტ რიოტგენი აცხადებს, რომ კლიმატის ცვლილებებმა მრავალნაირი სახის ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს მცენარეებსა და ცხოველებში. ადამიანი, მიუხედავად თანამედროვე განვითარებისა, ვერ გაუმკლავდება გარემომცველ სამყა-



როს და იმ მოვლენებს, რაც შეიძლება განვითარდეს. მას შემოუტევს ველური ბუნება.

განვითარებული ქვეყნების 70% მთლიანად გარემომცველ სამყაროს მოწყალებაზეა დამოკიდებული. ბუნებრივი საკვები ადამიანის რაციონის 90% შეადგენს. ტანსაცმელი, სათბობი, სამკურნალო საშუალებები ბუნების საჩუქარია.

2100 წლისათვის გაქრება ცხოველთა და მცენარეთა 30%, გაქრობა თანმიმდევრულად გაგრძელდება ადამიანის „დახმარებით“.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**